*ახალი რედაქცია დამტკიცებულია*

*რექტორის ბრძანება № 01-90 29.08.2024*

*რექტორი________________პ. ხვედელიძე*

# შინაგანაწესი

## შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის“ საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება

ნდ №2-010102

ბათუმი

2024

## შინაარსი

პრეამბულა: გავრცელების სფერო, ნორმატიული საფუძვლები, ძირითადი განმარტებები და შემოკლებები.......4

თავი I. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა, სტრუქტურა, მართვა, ძირითადი წესები.......5
მუხლი 1. ზოგადი დებულებები.......5
მუხლი 2. ბნსუ-ს სტატუსი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქმიანობა, საკონტაქტო ინფორმაცია.......5
მუხლი 3. ბნსუ-ს მართვის ორგანოები (სუბიექტები). ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულები.......5
მუხლი 4. ბნსუ-ს მართვის და გადაწყვეტილების მიღების პრინციპები.......6
მუხლი 5. სუბორდინაციის (დაქვემდებარების) სისტემა. ბნსუ-ს პერსონალისათვის განკარგულების გაცემის წესი.......7
მუხლი 6. ინფორმირება, კომუნიკაცია.......7
მუხლი 7. განცხადებების განხილვა.......7
მუხლი 8. პერსონალური მონაცემების დაცვა. პერსონალური მონაცემების დამუშავება.......7
მუხლი 9. ეთიკის კოდექსი.......8
მუხლი 10. მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობა.......8
მუხლი 11. წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა.......9
მუხლი 12. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.......9
მუხლი 13. საგანგებო სიტუაციები. ქცევის წესები.......9

თავი II. პერსონალი. პერსონალის უფლებები და მოვალეობები.......10
მუხლი 14. ბნსუ-ს პერსონალი. ბნსუ–ში დასაქმებული სხვა პირები. პერსონალის შერჩევის ძირითადი პრინციპები.......10
მუხლი 15. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.......11
მუხლი 16. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ერსონალი.......11
1. აკადემიური პერსონალი, აფილირებული პერსონალი, ემირიტუსი. საპატიო დოქტორი; 2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეული პირები (მოწვეული პერსონალი)
მუხლი 17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი.......14
მუხლი 18. შრომითი ხელშეკრულება.......15
მუხლი 19. შრომითი ურთიერთობები, წარმოშობა, შეჩერება, შეწყვეტა.......15
მუხლი 20. ინფორმირება პერსონალური მონაცემების და უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ.......14
მუხლი 21. შრომის დაცვა.......16
მუხლი 22. შრომის ანაზღაურება. ზეგანაკვეთური სამუშაო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება.......16
მუხლი 23. შრომის შინაგანაწესი.......16
1. სამუშაო განრიგი; 2. უქმე დღეები; 3. შვებულება; 4. სამუშაოს შესრულების ადგილი. სამსახურებრივი მივლინება; 5. მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა; 6 შრომითი დისციპლინა
მუხლი 24. ბნსუ-ს პერსონალის და სხვა დასაქმებულ პირთა ქცევის წესები.......18
მუხლი 25. პერსონალის დისციპლინური სახდელები. დისციპლინური საქმისწარმოება.......19
1. დისციპლინური სახდელები; 2. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება
მუხლი 26. დისციპლინური სახდელის მოხსნა.......21
მუხლი 27. პერსონალის წახალისების მექანიზმები.......21

თავი III. სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი. სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის უფლებები და მოვალეობები.......21
მუხლი 28. სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება.......21
მუხლი 29. ინფორმირება პერსონალური მონაცემების და უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ.......22
მუხლი 30. განათლების მომსახურების ხელშეკრულება.......22
მუხლი 31. სწავლის საფასური. სხვა ფინანსური ვალდებულებები.......22
მუხლი 32. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება, ადმინისტრაციული რეგისტრაცია.......23
1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება; 2. საგანმანათლებლო პროგრამაზე პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია; 3. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია
მუხლი 33. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების - სპეციფიკური საორგანიზაციო ასპექტები.......25
1. აკადემიური რეგისტრაცია; 2. დამატებითი კრედიტები; 3. არჩევით სასწავლო კურსებზე არჩევანის შეცვლა; 4, სასწავლო ჯგუფი. არჩევითი სასწავლო კურსების/ინტენსიური სწავლების სასწავლო ჯგუფების ჩამოყალიბება
მუხლი 34. სასწავლო განრიგი, არდადეგები. უქმე დღეები.......26
1. სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის წახალისება; 2. აკადემიური სტიპენდია

მუხლი 35. საპატიო მიზეზად მიჩნეული გარემოებები. ინდივიდუალური განრიგი და სასწავლო გეგმა ....26
მუხლი 36. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის პროცედურები ....27
1. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება; 2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა; 3. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა
მუხლი 37. კვალიფიკაციის, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება. მოწმობა პროგრამის კომპონენტების მოსმენის შესახებ ....29
მუხლი 38. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები ....30
მუხლი 39. შეფასების გასაჩივრება ....31
მუხლი 40. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ქცევის წესები ....31
1. ქცევის ზოგადი წესები; 2. გამოცდაზე/დაცვაზე ქცევის წესები.
მუხლი 41. სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა დისციპლინური სახდელები. დისციპლინური საქმისწარმოება ....33
1. დისციპლინური სახდელები; 2. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება
მუხლი 42. დისციპლინური სახდელის მოხსნა ....35
მუხლი 43. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის წახალისების მექანიზმები ....35
მუხლი 44. სტიპენდია ....35
მუხლი 45. სოციალური და მატერიალური დახმარების მიღება ....35
მუხლი 46. სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ხელშეწყობა ....36
1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელებს ხელშეწყობა; 2. ავადმყოფობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ხანგრძლივი მკურნალობის, შრომისუუნარობის, ორსულობის, ბავშვის მოვლის, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობის, საზღვაო რეისში ყოფნის, ბნსუ-ში სწავლის პარალელურად მუშაობის შემთხვევებში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ადმინისტრაციული ხელშეწყობა
თავი IV. დასკვნითი დებულებები ....37
მუხლი 47. დანართები ....37
მუხლი 48. შინაგანაწესის საჯაროობა/კონფიდენციალურობა ....37
მუხლი 49. დასკვნითი დებულებები ....37
ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი ....38

## პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დებულების დამტკიცების აქტით;
2. წინამდებარე დებულებას და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ფაკულტეტების დეკანები, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელი, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი, სხვა პირები (საჭიროებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებას და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება დებულების გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს წესი;
4. დებულებაში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
5. დებულების ორიგინალი (ელ. ვერსიის სახით) ინახება ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერთან.

## გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დებულება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საქნიამობის ძირითადი მომწესრიგებელი (შიდა ნორმატიული) დოკუმენტია;
2. დებულება ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც წარმოადგენს ამ დებულების რეგულირების სფეროს, და ყველა დოკუმენტზე, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე დებულებაში არსებული წესები, მათ შორის: 1. სტრუქტურული ერთეულების დებულებები; 2. პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები; 3. მმართველი ორგანოების (სუბიექტების) ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტები; 4. სასწავლო პროცესის განხორციელების მარეგულირებელი დებულებები/წესები.

## ნორმატიული საფუძვლები

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
5. საქართველოს შრომის კოდექსი;
6. საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ;
7. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
8. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
9. განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონები: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“; „პროფესიული განათლების შესახებ“; განათლების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტები;
10. საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ;
11. კომერციული საქმიანობის და ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
12. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
13. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
14. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
15. ნდ № 2-020101 - ხარისხის სახელმძღვანელო;
16. ნდ №2-020101-01 –დოკუმენტების მართვის პროცედურა.

## ძირითადი განმარტებები და შემოკლებები

შიდა ნორმატიული დოკუმენტი - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

დოკუმენტის ორიგინალი - დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია დოკუმენტის ხელმოწერის უფლებამოსილი პირის ორიგინალი ხელწერა;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეულის დებულება - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უბანს ან მიმართულებას, ქვედანაყოფის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;

სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო პროგრამაზე;

პროფესიული სტუდენტი – პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო / სამაგისტრო / პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;

ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი";

| | | |
|---|---|---|
| ISO | - | სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; |
| ხს | - | ხარისხის სისტემა; |
| ნდ | - | ნორმატიული დოკუმენტი; |
| შნდ | - | შიდა ნორმატიული დოკუმენტი; |
| გნდ | - | გარე ნორმატიული დოკუმენტი. |

## თავი I. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა, სტრუქტურა, მართვა, ძირითადი წესები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება - შინაგანაწესი" (შემდგომში - შინაგანაწესი) წარმოადგენს შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის" (შემდგომში - ბნსუ) საქმიანობის ძირითად მომწესრიგებელ დოკუმენტს, არის შრომითი და განათლების მომსახურების ხელშეკრულებების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი და სარგებლობს უპირატესი იურიდიული ძალით ყველა სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტის მიმართ;
2. შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოში საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, მოიცავს ბნსუ–ს მართვისა და საქმიანობის ძირითად კონცეპტუალურ მარეგულირებელ პრინციპებს და წესებს, განსაზღვრავს შრომისა და სწავლა-სწავლების განაწესს, ბნსუ–ს და ბნსუ–ში დასაქმებულ პირებს შორის ურთიერთობებს, შრომით და დისციპლინურ უფლება-მოვალეობებს, ბნსუ–ს და სწავლის სუბიექტებს შორის ურთიერთობებს, სწავლის სუბიექტების უფლება-მოვალეობებს, ბნსუ-ში მოქმედ ქცევის წესებს, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, ბნსუ–ს ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესებს და სხვ.;
3. შინაგანაწესის მოთხოვნები ვრცელდება ბნსუ-ს პერსონალზე და შრომით ურთიერთობებში მყოფ სხვა პირებზე, ბნსუ-ს სწავლის სუბიექტებზე (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებზე, პროფესიულ სტუდენტებზე და მსმენელებზე);
4. ბნსუ–ს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შინაგანაწესში და ბნსუ–ს სხვა მარეგულირებელ დებულებებში/წესებში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
5. ბნსუ უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის, ვებგვერდის მეშვეობით. ბნსუ–ს სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, პერსონალი და ბნსუ-ში სხვა დასაქმებული პირები ვალდებულნი არიან გაეცნონ ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და შეასრულონ ბნსუ-ში მოქმედი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;

### მუხლი 2. ბნსუ-ს სტატუსი, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქმიანობა, საკონტაქტო ინფორმაცია

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით შექმნილი შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი (Ltd Batumi Navigation Teaching University) წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სახე - სასწავლო უნივერსიტეტი). საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში ბნსუ-ს დამოუკიდებლობა ვრცელდება ადმინისტრაციულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, საგამომცემლო, საფინანსო-ეკონომიკურ, შემოქმედებით და სამეწარმეო საქმიანობაზე და გადაწყვეტილებების მიღებაზე;
2. ბნსუ უფლებამოსილია: შეიმუშაოს და კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს უმაღლესი (საბაკალავრო და სამაგისტრო) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მიანიჭოს შესაბამისი კვალიფიკაციები და გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები; შეიმუშაოს/განახორციელოს მომზადება/გადამზადების (მათ შორის პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამები, კანონმდებლობით დადგენილი პროცეურების გავლის შემდგომ), საწვრთნელი და კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი პროგრამები/კურსები; დაგეგმოს და განახორციელოს ბნსუ–ს პრიორიტეტების, მისიის და განვითარების სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე მიმართული საქმიანობა; საერთაშორისო, მათ შორის საგანმანათლებლო, სივრცეში ბნსუ–ს ინტეგრაციის, მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ინოვაციების, საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების და პრიორიტეტების, საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი საგანმანათლებლო, მათ შორის ერთობლივი/გაცვლითი პროგრამების და სხვადასხვა პროექტების შემუშავების, განხორციელებისა და სრულყოფის, სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და აკადემიური პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლების მობილობის ხელშეწყობის, ბნსუ-ს პერსონალისა და ბნსუ-ში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლების, კურსდამთავრებულთა დასაქმების ინტერნაციონალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით დაამყაროს კავშირები და პარტნიორული ურთიერთობები, გააფორმოს მემორანდუმები, შეთანხმებები, ხელშეკრულებები და სხვ. ადგილობრივ და უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, ორგანიზაციებთან/სხვ., კერძო სექტორის წარმომადგენლებთან და სხვ.; მოიწვიოს ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერები, მკვლევარები და სპეციალისტები საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის, კონფერენციების, მასტერ-კლასების, ტრენინგების და სხვ. ჩატარების მიზნით, მოამზადოს, თარგმნოს და გამოსცეს სამეცნიერო ჟურნალი, კრებულები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო, მეთოდური და საინფორმაციო მასალები ან/და მიიღოს მონაწილეობა მათ მომზადებაში, თარგმნაში, გამოცემაში, გამოსცეს ბნსუ–ს საქმიანობის ამსახველი სარეკლამო-საინფორმაციო ბუკლეტები, ა.შ., განახორციელოს სხვა საქმიანობა, რაც ნებადართულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
3. ბნსუ-ს საიდენტიფიკაციო კოდი: 245433623; იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: აჭარა, ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38; ოფიციალური ვებგვერდი: www.bntu.edu.ge; ოფიციალური ელექტრონული ფოსტა: info@bntu.edu.ge

### მუხლი 3. ბნსუ-ს მართვის ორგანოები (სუბიექტები). ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულები

1. ბნსუ-ს მართვის ორგანოები (სუბიექტები):
- პარტნიორთა კრება;
- რექტორი;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი;
- აკადემიური საბჭო;
- ფაკულტეტების საბჭოები;
- პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო;
- ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

2. ბნსუ-ს ძირითადი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულებია:
- ფაკულტეტი - უმაღლესი განათლების სფეროში ძირითადი საგანმანათლებლო, სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულია, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების და თავისი კომპეტენციის სფეროს შესაბამისად, უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, ცვლილებების შეტანას, პროგრამების განხორციელებასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, შესაბამისი აკადემიური ხარისხის კვალიფიკაციების მინიჭებას, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და ბნსუ-ს მარეგულირებელი წესებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. ფაკულტეტის მართვის პრინციპებს, უფლებამოსილებებს და ფუნქციებს ადგენს ფაკულტეტის დებულება;
- პროფესიული განათლების დეპარტამენტი - პროფესიული განათლების სფეროში ძირითადი საგანმანათლებლო, სასწავლო და

ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულია, რომელიც კანონმდებლობით დადაგენილი მოთხოვნების და თავისი კომპეტენციის სფეროს შესაბამისად, უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (არსებობის შემთხვევაში პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების) შემუშავებას, ცვლილებების შეტანას, პროგრამების განხორციელებასა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების მინიჭებას, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების დამზადებას, აღრიცხვასა და გაცემას, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და ბნსუ-ს მარეგულირებელი წესებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს. პროფესიული განათლების დეპარტამენტის მართვის პრინციპებს, უფლებამოსილებებს და ფუნქციებს ადგენს პროფესიული განათლების დეპარტამენტის დებულება;

3. ბნსუ–ში სხვა სტრუქტურული ერთეულები იქმნება ბნსუ-ს შეუფერხებელი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფის, დასახული მიზნების მიღწევისა და სამოქმედო/განვითარების გეგმების რეალიზების მიზნით. ბნსუ-ს სტრუქტურაში შედის:
   1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
   2. კვლევების ცენტრი;
   3. საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი;
   4. საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი (ასევე, მის შემადგენლობაში შემავალი უცხოენოვანი განათლების დეპარტამენტი);
   5. ბიზნესისა და ლოგისტიკის ფაკულტეტი;
   6. პროფესიული განათლების დეპარტამენტი;
   7. რექტორის აპარატი;
   8. კანცლერის აპარატი;
   9. ბიბლიოთეკა;
   10. სტუდენტების რეგისტრაციის, შეფასების და მონიტორინგის სამსახური;
   11. სტუდენტური სერვისების სამსახური;
   12. ენების შემსწავლელი სკოლა;
   13. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
   14. საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური;
   15. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;
   16. კანცელარია (ასევე, მის შემადგენლობაში შემავალი არქივი);
   17. ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახური;
   18. საფინანსო სამსახური;
   19. შრომის უსაფრთხოების სამსახური;
   20. სამეურნეო სამსახური;
   21. დაცვის სამსახური;
   22. სამედიცინო პუნქტი;
   23. კვების ბლოკი;
   24. საერთო საცხოვრებელი და სასტუმრო;
   25. იურისტი;
   26. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი;

4. სტრუქტურული ერთეულების დაქვემდებარების სისტემას და მათ ურთიერთკავშირს ასახავს ბნსუ-ს სტრუქტურის სქემა;

5. ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულების (გარდა იმ სტრუქტურული ერთეულებისა, რომლებიც ექვემდებარებიან მხოლოდ რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს) მუშაობის ადმინისტრირებას და ოპერატიულ მართვას უზრუნველყოფენ რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მოადგილე(ები) (არსებობის შემთხვევაში), რომლებიც პასუხისმგებლები არიან მათ დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტუტრული ერთეულების გამართულ მუშაობაზე და ანგარიშვალდებულნი არიან რექტორთან (რექტორის მოადგილე(ებ)ი) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მოადგილე(ებ)ი). რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მოადგილე(ებ)ის საქმიანობის სფერო, უფლება-მოვლეობები, პასუხისმგებლობები და სხვ. განსაზღვრულია შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციით;

6. ბნსუ-ს საქმიანობის სამართლებრივ ასპექტებზე და იურიდიულ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ბნსუ-ს იურისტი, რომლის საქმიანობის სფეროს, უფლება-მოვლეობებს, პასუხისმგებლობებს და სხვ. ადგენს შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქცია;

7. საბჭოების და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი და ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით, ხოლო რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის და ბნსუ-ს საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირების (რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მოადგილეები, პროგრამების ხელმძღვანელები, იურისტი, სხვ.) საქმიანობის წესი და ფუნქციები განისაზღვრება შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციებით. შესაბამის სამსახურეობრივ პოზიციაზე დანიშვნის/არჩევის წესი, შერჩევის კრიტერიუმები/მოთხოვნები, პირთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შესაბამისი დებულებებით და/ან თანამდებობრივი ინსტრუქციებით (არსებობის შემთხვევაში);

8. ბნსუ-ს შემადგენლობაში შედის სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობა (შემდგომში - სტუდენტთა თვითმმართველობა) აერთიანებს ბნსუ–ს სტუდენტებს და პროფესიულ სტუდენტებს, უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ბნსუ–ს მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათი უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას, შეიმუშავებს წინადადებებს ბნსუ–ში სწავლების და განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და სხვ. სტუდენტთა თვითმმართველობა ირჩევს ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოების წევრ-სტუდენტებს/წევრ-პროფესიულ სტუდენტებს. სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარე არის სადისციპლინო და სოციალური დახმარების კომისიების წევრი. სტუდენტთა თვითმმართველობის მართვის პრინციპებს, უფლებამოსილებებს და სხვ. აღწერს თვითმმართველობის დებულება.

### მუხლი 4. ბნსუ-ს მართვის და გადაწყვეტილების მიღების პრინციპები

- სამართლიანობა, თანასწორობა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, თავისუფლება გადაწყვეტილების მიღებისას;
- გადაწყვეტილებების, არჩევნების და კონკურსების სამართლიანობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა;
- პერსონალის, სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მონაწილეობა ბნსუ-ს მართვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- კანონმორჩილება, ინსტიტუციური ავტონომია და აკადემიური თავისუფლება;
- თანასწორი მოპყრობა და ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა;

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის.

**მუხლი 5. სუბორდინაციის (დაქვემდებარების) სისტემა. ბნსუ-ს პერსონალისათვის განკარგულების გაცემის წესი**

1. ბნსუ-ს სტრუქტურული ერთეულების ორგანიზაციულ დაქვემდებარებას და ადმინისტრაციულ კავშირებს ასახავს ბნსუ-ს სტრუქტურული სქემა, ხოლო ფუნქციონალური კავშირები განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების დებულებებში;
2. ბნსუ-ში სუბორდინაცია გულისხმობს ზემდგომ პირთან ანგარიშვალდებულებასა და პასუხიმგებლობას მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
3. ბნსუ-ში მოქმედებს დაქვემდებარების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ანგარიშვალდებულებებს:

- რექტორი - პარტნიორთა კრების წინაშე;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი - პარტნიორთა კრების წინაშე;
- ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - პარტნიორთა კრების, აკადემიური საბჭოს, რექტორის (ასევე, ყოველდღიურ საქმიანობაში - რექტორის მოადგილეს (არსებობის შემთხვევაში), რომლისთვისაც ეს უფლებამოსილება რექტორის მიერ არის დელეგირებული) წინაშე;
- ფაკულტეტის დეკანი - აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოების, რექტორის (ასევე, ყოველდღიურ საქმიანობაში - რექტორის მოადგილეს (არსებობის შემთხვევაში), რომლისთვისაც ეს უფლებამოსილება რექტორის მიერ არის დელეგირებული) წინაშე;
- პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი - პარტნიორთა კრების, პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს წინაშე, რექტორის (ასევე, ყოველდღიურ საქმიანობაში - რექტორის მოადგილეს (არსებობის შემთხვევაში), რომლისთვისაც ეს უფლებამოსილება რექტორის მიერ არის დელეგირებული) წინაშე;
- რექტორთან ანგარიშვალდებულია - რექტორის აპარატი; ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; კვლევების ცენტრი; საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი; რექტორის მოადგილე(ები) და მის/მათ დაქვემდებარებაში მყოფი სხვა სტრუქტურული ერთეულები;
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან ანგარიშვალდებულია - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის აპარატი; ბნსუ-ს იურისტი; საფინანსო სამსახური; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მოადგილე(ები) და მის/მათ დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულები.

4. პერსონალურ განკარგულებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გასცემენ რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მოადგილე(ებ)ი (მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვნელი უფლებამოსილია, კომპეტენციის ფარგლებში გასცეს განკარგულება, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი (ბრძანება) და შეასრულოს კანონმდებლობით, პროფესიული განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებითა და ბნსუ-ს ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილება. გაცემული განკარგულება შეიძლება იყოს ზოგადი და პერსონალური, წერილობითი და ზეპირი. წერილობითი განკარგულება გადაეცემა თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, რაც დასტურდება ხელმოწერით.

**მუხლი 6. ინფორმირება. კომუნიკაცია**

1. ბნსუ უზრუნველყოფს დასაქმებულების და სწავლის სუბიექტების (სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები სხვ.) ინფორმირებას საჯარო ინფორმაციის საინფორმაციო დაფაზე და/ან ოფიციალურ ვებ.გვერდზე განთავსებით (საჯარო ინფორმირება), ზეპირი ფორმით ინფორმაციის მიწოდებით ან ოფიციალური ელ.ფოსტით დასაქმებულის/სწავლის სუბიექტების ელ.ფოსტაზე პირადი შეტყობინების გაგზავნით (პერსონალური ინფორმირება);
2. დასაქმებულსა და სწავლის სუბიექტს შეუძლია მიმართოს ბნსუ-ს (ორშაბათი-პარასკევი, $9^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე) წერილობითი განცხადების/საჩივრის/სხვ. კანცელარიაში ჩაბარებით ან ბნსუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე გაგზავნით, ბნსუ-ს ოფიციალური ელ. ფოსტის მეშვეობით ან საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დარეკვით დაუკავშირდეს ბნსუ–ს ადმინისტრაციას, მიაწოდონ/მიიღონ/დააზუსტონ ინფორმაცია.

**მუხლი 7. განცხადებების განხილვა**

1. დასაქმებულს/სწავლის სუბიექტს შეუძლია საჭიროებისამებრ მიმართოს ბნსუ-ს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, ფაკულტეტის დეკანს/პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, რაც შეიძლება მოხდეს სამუშაო დღეებში (ორშაბათი-პარასკევი, $9^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე) განცხადების/საჩივრის/სხვ. კანცელარიაში  წერილობით წარდგენით ან ბნსუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე გაგზავნით. შემოსული განცხადება/საჩივარი/სხვ. იქნება რეგისტრირებული შესაბამის სააღრიცხვო ჟურნალში. განცხადების/ საჩივრის/სხვ. შემოსვლიდან მომდევნო სამუშაო დღეს კორესპონდენცია წარედგინება ბნსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, რის შემდეგ განცხადება/საჩივარი/სხვ., მისი შინაარსიდან გამომდინარე, გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს/პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბნსუ-ს იურისტს, ხარისხის უზრუნველყოფის ან სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს პასუხის პროექტის მოსამზადებლად. პასუხის პროექტს ეცნობა ბნსუ-ს იურისტი და რექტორი/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი (საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე). თანხმობის შემთხვევაში ხდება პასუხის ამობეჭდვა ბნსუ-ს ოფიციალურ ბლანკზე, ხელმოწერა და ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში რეგისტრაცია. განცხადებაზე/საჩივარზე/სხვ. პასუხის მომზადება ხდება კანცელარიაში მისი რეგისტრაციიდან/ელ.ფოსტით მიღებიდან 05 სამუშაო დღის ვადაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო განხილვა და პასუხის მომზადება მოითხოვს მეტ ვადას;
2. ზემოთ მითითებულიდან გამონაკლისს წარმოადგენს: ა) პირის ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების, მანიპულირების ფაქტებთან დაკავშირებული სააპელაციო განცხადების წარდგენის ვადა და განხილვის წესი (იხ. „აკადემიური ეთიკის კოდექსი“), ბ) წინამდებარე შინაგანაწესში გათვალისწინებული სოციალური და მატერიალური დახმარების მიღების მიზნით განცხადებების წარდგენის ვადები და განხილვის წესი; გ) პროფესიული სტუდენტის/აპლიკანტის სააპელაციო  განცხადებების ან სხვა სახის განცხადებების წარდგენის ვადები და განხილვის წესი, რომელიც რეგულირდება შესაბამისი პროცესის მომწესრიგებელი ბნსუ-ს შიდა აქტებით, ამასთან განაცხადების განხილვისა და პასუხის გაცემის ვადები არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ვადებს;
3. განცხადებაზე/საჩივარზე პასუხის მიღება შესაძლებელია კანცელარიაში (ორშაბათი-პარასკევი, $9^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე) ან ბნსუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტის მეშვეობით.

**მუხლი 8. პერსონალური მონაცემების დაცვა. პერსონალური მონაცემების დამუშავება**

1. საჯარო ხასიათის დოკუმენტი შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს (ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება

იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს), რომელთა დაცვის და დამუშავების საკითხები წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ბნსუ-ს უფლება აქვს დასაქმებულის, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს (მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, გამოთხოვა/გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით) მოქმედი კანონმდებლობის დაცვით;
2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (მ.5) თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ: „ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით; გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად; ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი; ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად; თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად)“;
3. ბნსუ-ს მიერ პერსონალური მონაცემების (ინფორმაციის, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს) დამუშავება და გაცემა ხდება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

### მუხლი 9. ეთიკის კოდექსი

1. ეთიკის კოდექსი ეყრდნობა სამართლიანობის, ხალხის პატივისცემის, პირადი პასუხისმგებლობის პრინციპებს და გულისხმობს:
- საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების აღიარებასა და დაცვას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულებას;
- ნებისმიერი სახით დისკრიმინაციის დაუშვებლობის აღიარებას;
- აკადემიური თავისუფლების აღიარებას და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვას;
- ყველა სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის თავისუფალ გარემოში თანასწორ პირობებში განათლების მიღების უფლების აღიარებას;
- დასაქმებული პირისთვის თავისუფალ გარემოში თანასწორ პირობებში სამუშაოს შესრულების უფლების აღიარებას;
- პიროვნების კანონიერი ინტერესების, ინტელექტუალური საკუთრების, გამოგონებების და საავტორო უფლებების დაცვას;
- ურთიერთპატივისცემის, კეთილსინდისიერების, ნდობის, სამართლიანობის და პასუხისმგებლობის პრინციპების აღიარებას.
- საქმიანობის სამართლიანობის, საჯაროობის და ობიექტურობის პრინციპების აღიარებას და დაცვას.

2. ბნსუ-ს თანასაზოგადოება (ბნსუ-ში ყველა დასაქმებული პირი, სტუდენტები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები) აღიარებს, რომ:
- მისწრაფის შექმნას და შეინარჩუნოს ურთიერთნდობის გარემო, რომლის გარეშე წარმოუდგენელია იდეების თავისუფალი გაცვლა, შემოქმედება და პიროვნების განვითარება;
- ურთიერთობების და საქმიანობის საფუძველია სამართლიანობის, სოლიდარობის, ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთის საგანმანათლებლო, კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობის და მისი შედეგებისადმი პატივისცემის პრინციპები;
- მისთვის მიუღებელია: ეთიკის კოდექსის, აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქცევის და ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესების დარღვევა; აკადემიური თავისუფლების, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი, შემეცნებითი საქმიანობის უფლების რეალიზებაზე და კრიტიკაზე ან საჩივარზე პასუხის და/ან განმარტების გაცემის შესაძლებლობის დაუსაბუთებელი შეზღუდვების დაწესება; ბნსუ-ში ადმინისტრაციული და აკადემიური გადაწყვეტილების მიღების და სწავლა-სწავლებისას დისკრიმინაცია ასაკის, რასის/კანის ფერის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური ან სხვა შეხედულებების, სპეციალური საჭიროებების ან სხვ. ნიშნით; ბნსუ-ში პოლიტიკური თუ რელიგიური პარტიების/საზოგადოებების ორგანიზება; სხვისი აზრისადმი მიუღებლობის ან უპატივცემლობის გამოხატვა, შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამოყენება ან მსგავსი ქმედების ჩადენა; პირადი ანტიპათიის გამოხატვა ან უთანხმოებების გამო კონფლიქტური სიტუაციის შექმნა.

3. ეთიკის კოდექსი ვრცელდება ბნსუ-ში დასაქმებულ პირებზე, სტუდენტებზე, პროფესიულ სტუდენტებზე/მსმენელებზე, წარმოადგენს ბნსუ-ში მოქმედი ქცევის წესების საფუძველს, მას უნდა შეესაბამებოდეს ბნსუ-ში მოქმედი სტანდარტები, წესები, პრაქტიკები;
4. ეთიკის კოდექსის პრინციპების დარღვევისთვის დადგენილი დისციპლინური სანქციები მითითებულია წინამდებარე შინაგანაწესში (დისციპლინური სახდელის საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ შესაბამის მუხლებში).

### მუხლი 10. მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობა

1. ბნსუ–ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, ტერიტორია, შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობიები, ინვენტარი და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, ლინგაფონის და სხვა კაბინეტები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, ფინანსური სახსრები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და სხვ. განკუთვნილია სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის. ბნსუ-ს ბიბლიოთეკაში დაცულია წიგნადი ფონდი - თანამედროვე ქართული და უცხოური სამეცნიერო, საგანმანათლებლო და უნივერსალური ხასიათის გამოცემები, სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, საინფორმაციო და საილუსტრაციო მასალები, რომლებიც განკუთვნილია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის. ბიბლიოთეკის ფონდი ბეჭდვითი გამოცემების გარდა მოიცავს სახელმძღვანელოების ელექტრონულ ვერსიებს, აუდიო- და ვიზუალურ მასალას. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, მუდმივი ინტერნეტით და უზრუნველყოფილია ონლაინ რეჟიმში Witherbys Library (ელექტრონული ბიბლიოთეკით) სარგებლობა;
2. მატერიალურ ტექნიკური რესურსებით დანიშნულებისამებრ სარგებლობა შეუზღუდავად თანასწორ პირობებში შეუძლიათ ბნსუ–ს სტუდენტებს, პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს, სწავლის სხვა სუბიექტებს (შემდგომში ყველა - სწავლის სუბიექტი), ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს;
3. დაუშვებელია ბნსუ–ს სწავლის სუბიექტის ან პერსონალის მიერ ბნსუ–ს სხვა სწავლის სუბექტისთვის ან პერსონალისთვის შენობით, ბიბლიოთეკის ფონდებით და ბნსუ–ს სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
4. ბნსუ-ში გამორიცხულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების ისეთი წესების შემოღება, რამაც შეიძლება შექმნას ცენზუ-

რის დაწესების საფრთხე ან შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. ბნსუ–ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს მათი გამოყენება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის.

### მუხლი 11. წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა

1. ბნსუ იღებს ვალდებულებას დაიცვას ბნსუ–ში მყოფი პირების უსაფრთხოება და უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით ყველა ნებადართული ზომა წესრიგის დარღვევის აღსაკვეთად;
2. ბნსუ-ში წესრიგის დარღვევაში მოიაზრება ბნსუ-ში მოქმედი ქცევის წესების დარღვევა ან ისეთი ქმედების ჩადენა/ვითარების შექმნა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბნსუ–ს შენობებში და ტერიტორიაზე მყოფთა უსაფრთხოებას, ბნსუ-ს ინფრასტრუქტურას და მატერიალური ფასეულობების დაცულობას. ბნსუ-ში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის სამსახური. დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან აღკვეთონ წესრიგის დარღვევა, განსაკუთრებულ შემთხვევებში - დაუკავშირდნენ სამართალდამცავ ორგანოებს და გახსნან ვიდეოკამერების ჩანაწერები. ბნსუ–ში შინაგანაწესით დადგენილი ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა ბნსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის სახელზე უნდა მოამზადონ ახსნა-განმარტებითი ბარათი, სადაც აღწერენ თუ რა დარღვევას ჰქონდა ადგილი და ვინ იყო წესრიგის დამრღვევი;
3. ბნსუ-ს სწავლის სუბიექტის და პერსონალის იდენტიფიცირება ხდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ბნსუ-ს მონაცემთა ბაზის მეშვეობით;
4. ბნსუ-ში წესრიგის დაცვა ხორციელდება ერთიანი სისტემის ფარგლებში: ფიზიკურ დაცვაში იგულისხმება დაცვის სამსახურის საქმიანობა, ტექნიკურ დაცვაში - შენობებში და ბნსუ-ს პერიმეტრზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერები. ბნსუ-ს შენობების ყველა სართულზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაწრები, ჰიდრანტი და სხვ.), რომლის ვარგისიანობის შემოწმება ხდება სისტემატურად;
5. ბნსუ-ში აკრძალულია: 1) შებობებში უცხო პირთა უნებართოდ შესვლა. ბნსუ-ს ყველა სტუმარი ვალდებულია იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზე გაიცემა საშვი. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი რჩება დაცვის სამსახურში სტუმრის მიერ ბნსუ-ს შენობის დატოვების მომენტამდე; 2) ბნსუ-ს ტერიტორიაზე უცხო პირთა უმიზეზოდ შემოსვლა, გადაადგილება ან ხანგრძლივი პერიოდით დარჩენა, 3) ცეცხლსაშიში, აალებადი, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური ნივთიერების, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება და შენახვა. დაცვის სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია მიმართოს დამრღვევ პირს და მოთხოვოს ბნსუ-ს წესების დაცვა, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში - დაუკავშირდეს სამართალდამცავ ორგანოებს;
6. ხანძრის წარმოქმნისას სწორად მოქმედების და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის გამოყენების წესების გაცნობის მიზნით სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები (მოწვეული და ბნსუ-ს პერსონალი) ბნსუ-ში ატარებენ ტრენინგებს;
7. ბნსუ–ში არაორდინალური სიტუაციების შექმნის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ბნსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, განსაკუთრებულ (საგანგებო, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ) სიტუაციებში - სამართალდამცავ ორგანოებს და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.

### მუხლი 12. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება

1. ბნსუ-ში მოქმედებს სამედიცინო პუნქტი, რომელიც აღჭურვილია გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი ინვენტარით, სამედიცინო საშუალებებით, რომელთა ვარგისიანობა კონტროლდება;
2. ბნსუ-ს სამედიცინო პუნქტის თანამშრომელი ვალდებულია მოახდინოს ჯანმრთელობის პრობლემის იდენტიფიცირება, დაადგინოს გადაუდებელი/სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროება, უფლებამოსილია პირს გაუწიოს მხოლოდ პირველადი/ექიმამდელი დახმარება (მაგ., ზედაპირული ტრავმების, გულის წასვლის, სუნთქვის პრობლემების, სისხლდენების, სიცხის, თავბრუსხვევის ან სხვ. შემთხვევები, რომელთა დადგომისას არ არსებობს საფრთხე პირის სიცოცხლისათვის), არ მოახდინოს და არ დაუშვას სხვა პირთა მიერ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მცდელობა;
3. ექიმამდელი/პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესების გაცნობის მიზნით სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები (მოწვეული და ბნსუ-ს პერსონალი) ბნსუ-ს პერსონალსა და სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უტარებენ ტრენინგებს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო პუნქტის თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური.

### მუხლი 13. საგანგებო სიტუაციები. ქცევის წესები

1. შენობებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, სადაც მითითებულია ძირითადი და სათადარიგო გასასვლელები, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებათა განლაგების ადგილები, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტი. საინფორმაციო დაფებზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციაში ქცევის წესები და შესაბამისი უწყებების საკონტაქტო ტელეფონები;
2. საგანგებო სიტუაციის შექმნისას დაცვის სამსახურის თანამშრომლები ვალდებულნი არიან: გააღონ საევაკუაციო გასასვლელები; სიგნალიზაციის ამოქმედებით გააფრთხილონ შენობაში მყოფი ადამიანები წარმოშობილი საფრთხის შესახებ; უზრუნველყონ შენობის დატოვების უსაფრთო გზების განსაზღვრა, სათადარიგო გასასვლელებით შენობის დატოვების შესაძლებლობა, პანიკის აღკვეთა, შენობაში მყოფი ადამიანების ორგანიზებული ევაკუაცია, დაზარალებულების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სამედიცინო პუნქტის თანამშრომლებისთვის გადაცემა;
3. საგანგებო სიტუაციის შექმნისას ბნსუ–ში მყოფი პირები ვალდებულნი არიან: პანიკის გარეშე დაუყოვნებლივ დატოვონ შენობა; დაემორჩილონ დაცვის სამსახურის თანამშრომლების განკარგულებებს, შეასრულებენ მათი მოთხოვნები; იმოქმედონ ორგანიზებულად და მხოლოდ მიღებული მითითების ფარგლებში; შენობიდან გასული პირები ვალდებულნი არიან დარჩნენ შენობიდან უსაფრთხო მანძილზე მიმდებარე ეზოში, რათა შესაძლებელი იყოს შენობაში დარჩენილ პირთა იდენტიფიცირება. ევაკუაციის დროს: შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დაშავების თავიდან აცილების მიზნით შენობას პირველ რიგში ტოვებენ ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ თავისუფალი გადაადგილება; შენობიდან გასულმა ადამიანებმა დაცვის სამსახურის თანამშრომელს უნდა შეატყობინოს შენობაში შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ადგილმდებარეობის შესახებ; შეზღუდული შესაძლებლობის პირებთან რჩებიან ბნსუ-ს პერსონალი ან დაცვის თანამშრომელი, რომლებიც ეხმარებიან მათ შენობის დატოვებაში; ცეცხლის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით შენობის დატოვებისას შეძლებისდაგვარად უნდა დაიხუროს ფანჯრები და დერეფანში გასასვლელი კარები; გასასვლელის ჩახერგვის შემთხვევაში აუცილებელია შედარებით უსაფრთხო ადგილზე განთავსება, ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სიმშვიდის შენარჩუნება; დაუშვებელია ნებართვის გარეშე შენობაში დაბრუნება პირადი ნივთების გამოტანის ან სხვა მიზნით;
4. ბნსუ–ში არაორდინალური სიტუაციების შექმნის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ბნსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს, განსაკუთრებულ სიტუაციებში - სამართალდამცავ ორგანოებს. ბნსუ-ში საგანგებო (სიცოცხლისთვის, ჯანმრთე-

ლობისთვის, სხვა საფრთხის შემცველი) სიტუაციის შექმნისთანავე დაცვის სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრს და გამოიძახოს სახანძრო, სასწრაფო დახმარების სამსახური და სხვა.

## თავი II. პერსონალი. პერსონალის უფლებები და მოვალეობები

### მუხლი 14. ბნსუ-ს პერსონალი. ბნსუ–ში დასაქმებული სხვა პირები. პერსონალის შერჩევის ძირითადი პრინციპები

1. ბნსუ-ში არსებობს აკადემიური, სამეცნიერო, პროფესიული განათლების მასწავლებლის, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები, აგრეთვე შეიძლება იყოს ბნსუ-ს მიერ განსაზღვრული სხვა თანამდებობები. ბნსუ უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოიწვიოს (კონკურსის გარეშე დააკონტრაქტოს) ან კონკურსის წესით შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები - სპეციალისტები, მასწავლებლები (შემდგომში ორივე კატეგორია - მოწვეული პერსონალი). ასევე, ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, ბნსუ–ში არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია ერთჯერადი სამუშაოს შესრულების მიზნით დააკონტრაქტოს/კონკურსის წესით შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები;

2. დაუშვებელია ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია პერსონალის შესარჩევი კრიტერიუმების დადგენის და გამოყენების, შერჩევის პროცესის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების, სამუშაო პირობების განსაზღვრის ან სამუშაოს შესრულების ეტაპებზე;

3. ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს გამოსაცხადებელი ვაკანსიების მიმართულებები (სფეროები), ვაკანტური თანამდებობები და ვაკანტური ადგილების რაოდენობა (შემდგომში - ვაკანსია), საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვ.;

4. ბნსუ-ში ვაკანსიები გამომდინარეობს ბნსუ-ში არსებული/სამომავლოდ დაგეგმილი საჭიროებებიდან: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი ადგენს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ვაკანსიებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელ-კანცლერთან შეთანხმებით) - სტრუქტურული ერთეულის პერსონალის ვაკანსიებს, ფაკულტეტის დეკანი/პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი (კომპეტენციის სფეროს შესაბამისად) - ასევე, უმაღლესი/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების ვაკანსიებს;

5. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში ბნსუ-ში აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის მიზნით ტარდება ღია კონკურსი, რომლის გამოცხადების პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ვადები, ასევე კონკურსის ჩატარების, გამარჯვებულ კონკურსანტთა გამოვლენის და დასაქმების წესი განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ბნსუ-ში მოქმედი „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესით“;

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის ან პირდაპირი შერჩევის გზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შერჩევისა და პერსონალის მართვის სხვა საკითხები რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მართვის წესით“;

7. ადმინისტრაციული პერსონალის (გარდა რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერისა), დამხმარე პერსონალის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეული პერსონალის შემთხვევაში:

7.1. ბნსუ უფლებამოსილია განსაზღვროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირთა ბნსუ-ში დასაქმების მექანიზმი (პირდაპირი დაკონტრაქტება/კონკურსი), ინფორმირების მექანიზმი (ინფორმაციის მასმედიის საშუალებებით გამოქვეყნება/დასაქმების ვებგვერდ(ებ)ზე ან/და ბნსუ–ს ვებ-გვერდზე განთავსება), საკვალიფიკაციო მოთხოვნები/შერჩევის კრიტერიუმები, წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი, საბუთების წარდგენის წესი (ბნსუ-ში ამონაბეჭდი სახით წარდგენა/ელ.ფოსტით გაგზავნა) და ვადები, საბუთების შემსწავლელი პირ(ებ)ის ვინაობა, საბუთების განხილვის და გასაუბრების ჩატარების (არსებობის შემთხვევაში), შედეგების გამოცხადების და გასაჩივრების ვადები და წესი, შრომითი ხელშეკრულების პირობები, ანაზღაურების ოდენობა და სხვ.;

7.2. კონკურსის წესით ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის შერჩევის შემთხვევაში:

1) ბნსუ უზრუნველყოფს შემდეგი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას: ვაკანტური თანამდებობები, ვაკანტური ადგილების რაოდენობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი, მათი წარდგენის ვადა/თარიღ(ებ)ი (სამუშაო დღეებისა და საათების მითითებით) და წესი (ბნსუ-ში ამონაბეჭდი ფორმით წარდგენა და/ან ელ.ფოსტაზე გაგზავნა), გასაუბრების (არსებობის შემთხვევაში) თარიღი და საათი/განრიგი, შედეგების გამოცხადების ვადა/თარიღ(ებ)ი (სამუშაო დღეების და საათების მითითებით) და წესი (დასაქმების მსურველის პირად ელ.ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნა/სხვ.), საბუთების განხილვის შედეგების გასაჩივრების - საპრეტენზიო განცხადებების წარდგენის ვადა/თარიღ(ებ)ი (სამუშაო დღეების და საათების მითითებით) და წესი (ბნსუ-ში ამონაბეჭდი ფორმით ჩაბარება და/ან ელ.ფოსტაზე გაგზავნა, საპრეტენზიო განცხადების განხილვის შედეგის გამოცხადების ვადა/თარიღი და წესი (დასაქმების მსურველის პირად ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნა/სხვ.), დასაქმების მსურველთა მიერ ბნსუ-ში წარსადგენი ანკეტები/ფორმები (არსებობის შემთხვევაში) და დამატებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა (ბნსუ-ს მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა, ვებგვერდი);
2) კონკურსის ეტაპებში მოიაზრება ვაკანსიების (ვაკანტური თანამდებობების და რაოდენობების), წარსადგენი საბუთების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების და დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მექანიზმის (მასმედიის საშუალებებით გამოქვეყნება/დასაქმების ვებგვერდ(ებ)ზე ან/და ბნსუ–ს ვებგვერდზე განთავსება) განსაზღვრა, შესაბამისი ბრძანების გამოცემა, კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება, დასაქმების მსურველთა საბუთების მიღება-შესწავლა და გასაუბრება (არსებობის შემთხვევაში), შედეგების გამოცხადება, შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში - საპრეტენზიო განცხადებების მიღება, განხილვა და შედეგის გამოცხადება, დანიშვნის ბრძანების გამოცემა, შრომითი ხელშეკრულების გაფორმება;
3) რამდენიმე თანაბარი კვალიფიკაციის მქონე დასაქმების მსურველთა შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება: ა) მოწვეული სპეციალისტის შემთხვევაში - მაგ., შესაბამისი სასწავლო კურსის გაძღოლის გამოცდილება, შესაბამის დარგში აკადემიური/მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, შესაბამის დარგში გამოცემული/გამოქვეყნებული ნაშრომების/პუბლიკაციების რაოდენობა, დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება (ე.წ. „სტაჟი“), სპეციალური მომზადება/ განათლება და/ან სხვ.; ბ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შემთხვევაში - მაგ., შესაბამის თანამდებობაზე მუშაობის/შესაბამისი ფუნქციების შესრულების ხანგრძლივობა (ე.წ. „სტაჟი), სპეციალური მომზადება და/ან სხვ.;
4) ბნსუ-ში დასაქმების საფუძველია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა: ა) პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეული პერსონალის შემთხვევაში ეს არის კვალიფიკაციის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებთან და ბნსუ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (მაგ., შესაბამის დარგში აკადემიური/მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, შესაბამის დარგში გამოცემული/გამოქვეყნებული ნაშრომები/პუბლიკაციები, დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, სპეციალური მომზადება/განათლება და/ან სხვ.); ბ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შემთხვევაში - შესაბამისობა შესასრულებელ ფუნქციებთან (მითითებულია შესაბამის დებულებაში/თანამდებობრივ ინსტრუქციაში) და ბნსუ-ს

მიერ დადგენილ სხვა მოთხოვნებთან (მაგ., ანალოგიურ სამსახურეობრივ პოზიციაზე მუშაობის/ანალოგიური ფუნქციების შესრულების გამოცდილება, ადმინისტრაციული პერსონალის და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შემთხვევაში - შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ეფექტიანობის/ხარისხის უზრუნველყოფის ხედვა და/ან სხვ.).

8. ბნსუ-ში რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხს წყვეტს ბნსუ-ს პარტნიორთა კრება, რომელიც უფლებამოსილია გამოიყენოს შესაბამის თანამდებობრივ ინსტრუქციებში მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაადგინოს და გამოიყენოს დამატებითი პირობები/მოთხოვნები (მაგ., ბნსუ-ს განვითარების ხედვა/გეგმა/სტრატეგია და ან/სხვ.), დაადგინოს და გამოიყენოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის რექტორის/ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის თანამდებობაზე დანიშვნის/შერჩევის მექანიზმი (პირდაპირი დაკონტრაქტება/კონკურსი, რომელიც ტარდება ზემოთ აღწერილი წესების შესაბამისად);

9. რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მოადგილეების შერჩევის საკითხს წყვეტს შესაბამისად რექტორი/ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი. მათ შეუძლიათ გამოიყენონ შესაბამის თანამდებობრივ ინსტრუქციებში მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დაადგინოს და გამოიყენოს დამატებითი პირობები/მოთხოვნები (მაგ., ბნსუ-ს განვითარების ხედვა/გეგმა/სტრატეგია და ან/სხვ.), დაადგინოს და გამოიყენოს შერჩევის მექანიზმი (პირდაპირი დანიშვნა/კონკურსი, რომელიც ტარდება ზემოთ აღწერილი წესების შესაბამისად) და სხვ.;

10. ბნსუ–ს პერსონალმა და ბნსუ–სთან შრომით ურთიერთობებში მყოფმა სხვა პირებმა პირადად უნდა შეასრულონ დამსაქმებლისთვის კანონმდებლობით და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებები, შეასრულონ ბნსუ–ს ხელმძღვანელობის კანონიერი მოთხოვნები, ბნსუ–ს შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ქცევის და სხვა მარეგულირებელი წესები, პასუხისმგებლობა აიღონ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და დაიცვან არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალობა. ბნსუ–ს პერსონალს და ბნსუ–სთან შრომით ურთიერთობებში მყოფ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ შრომითი ხელშეკრულების პირობების და დამსაქმებლისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესრულება, წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დაცვა.

### მუხლი 15. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

1. ბნსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამსახურებრივი პოზიციები და რაოდენობა განისაზღვრება საშტატო ნუსხით (განრიგით), რომელსაც შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი და ამტკიცებს რექტორი. პროფესიული განათლების დეპარტამენტის პერსონალის სამსახურებრივი პოზიციები და რაოდენობა განისაზღვრება საშტატო ნუსხით (განრიგით), რომელსაც შეიმუშავებს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ამტკიცებს რექტორი;

2. ბნსუ-ს ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი–კანცლერი, რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მოადგილეები, ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში), პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში), სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, ბნსუ-ს იურისტი;

3. დამხმარე თანამდებობებს მიეკუთვნება: ბნსუ-ს საშტატო ნუსხით დადგენილი სტრუქტურული ერთეულების პერსონალი და სხვა პირები (არსებობის შემთხვევაში);

4. უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობები:

4.1. ადმინისტრაციულ პერსონალს აქვს უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები ბნსუ–ს მართვის და საქმიანობის სრულყოფის მიზნით, მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა, მისი სამსახურეობრივ დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების და თანამშრომლების საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, სხვადასხვა რესურსებით უზრუნველყოფა, განახორციელოს სხვა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე შინაგანაწესისა და ბნსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად. ადმინისტრაციული პერსონალი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს ბნსუ–ს შეუფერხებელი და გამართული მუშაობა, დაგეგმოს და განახორციელოს საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის, ბნსუ–ს შინაგანაწესის და მოქმედი მარეგულირებელი წესების შესაბამისად, პასუხისმგებლობა აიღოს თავის საქმიანობაზე, მის სამსახურეობრივ დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულების და თანამშრომლების საქმიანობის ხარისხზე, შეასრულოს ზემდგომი მართვის ორგანოს (სუბიექტის) კანონიერი გადაწყვეტილებები;

4.2. დამხმარე პერსონალს აქვს უფლება თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს მონაწილეობა სტრუქტრული ერთეულის საქმიანობაში, შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები სტრუქტურული ერთეულის მართვის და საქმიანობის სრულყოფის მიზნით, მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა, განახორციელოს საქმიანობა ბნსუ–ში მოქმედი შინაგანაწესის, დებულებების/წესების და სამსახურეობრივი ინსტრუქციების (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად და სხვ. დამხმარე პერსონალი ვალდებულია შეასრულოს თავისი კომპეტენციის შესაბამისი საქმიანობა, პასუხისმგებლობა აიღოს შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, შეასრულოს ზემდგომი მართვის ორგანოს (სუბიექტის) და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანონიერი გადაწყვეტილებები;

4.3. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ვალდებულია: იცოდეს ბნსუ-ს მისია, ნორმატიული დოკუმენტები და ძირითადი მარეგულირებელი დებულებები/წესები, მოთხოვნები ხარისხის სფეროში, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებები და თანამდებობრივი ინსტრუქციები (არსებობის შემთხვევაში), გაეცნოს ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბნსუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას, შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები;

4.4. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირად პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:

- შრომითი ხელშეკრულებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით და თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე შინაგანაწესით და სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით დაკისრებული მოვალეობების დროული და ხარისხიანი შესრულება;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მიხედვით ხარისხის სისტემის მოთხოვნების დაცვა;
- შრომითი შინაგანაწესის, დისციპლინისა და უსაფრთხოების წესების, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების, კანონიერებისა, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპების, არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

4.5. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უფლებამოსილია ჩაერთოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში აკადემიური პერსონალის/მოწვეული სპეციალისტის ან პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსით. ასეთ შემთხვევაში ბნსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სასწავლო დატვირთვა, რომლოის დროსაც სააუდიტორიო მუშაობის საათები ემთხვევა ბნსუ-ს ადმინისტრაციული პოზიცისთვის განსაზღვრულ სამუშაო საათებს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 8 საათს.

მუხლი 16. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი

1. აკადემიური პერსონალი. აფილირებული აკადემიური პერსონალი, ემერიტუსი. საპატიო დოქტორი

1. აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი (შემდგომში მათი ერთობლიობა - პროფესორთა შემადგენლობა) და ასისტენტები. პროფესორთა შემადგენლობა მონაწილეობს სასწავლო პროცესში/წარმართავს მას და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავს მათ, ხოლო ასისტენტი (პროფესორის, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით) ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში. აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების და პირობების დაცვით ჩატარებული ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ 01 თვით ადრე ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით. ბნსუ-ში კონკურსის ძირითადი მოთხოვნები განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ბნსუ-ში შესაძლებელია პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავება. ბნსუ-ში პირი აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა კონკურსის ჩატარების მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის (მათ შორის, მოთხოვნების, თანამდებობაზე არჩევის ვადების და სხვ.) გათვალისწინებით. ბნსუ–ში აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით კონკურსის ჩატარების პროცესი რეგულირდება ბნსუ-ში მოქმედი „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესით“;
2. აკადემიური თავისუფლება: აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს მართვაში, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება და სამეცნიერო კვლევა, თავისუფალია სწავლებისა და კვლევის პროცესში, მის მიერ განხორციელებული სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის შინაარსის, სწავლა/სწავლების მეთოდების, სტუდენტთა შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების განსაზღვრაში. ამავდროულად, აკადემიური პერსონალი ვალდებულია გაითვალისწინოს ბნსუ-ს საგანმანათლებლო პრიორიტეტები, უზრუნველყოს პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობისა და ბნსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების მოთხოვნები;
3. აკადემიური პერსონალის საქმიანობის მიმართულებები, ატესტაცია: ბნსუ-ში პროფესორთა შემადგენლობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია - პედაგოგიური საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის ღონისძიებები, ბნსუ–ს და ბნსუ–ში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა. მითითებულ მიმართულებებში ასისტენტი საქმიანობას განახორციელებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. მითითებული მიმართულებები თანხვედრაშია საატესტაციო მიმართულებებთან. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და ბნსუ-ში მოქმედი წესებით დადგენილ შემთხვევებში პროფესორები გადიან სავალდებულო ატესტაციას. ასევე, ბნსუ-ში დადგენილი წესით ატესტაციას გადიან ასოცირებული პროფესორები. გარდა ამისა, ბნსუ-ს გადაწყვეტილებით შესაძლებელია სხვადასხვა რეიტინგული შეფასებების, ატესტაციების და ა.შ. ჩატარება. ატესტაციაში მონაწილეობა სავალდებულოა. ბნსუ-ში ატესტაციის პროცესი რეგულირდება „ატესტაციის ჩატარების წესით“;
4. აფილირებული აკადემიური პერსონალი: თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმებით, განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უსდ-სთან. ბნსუ-ში აფილირების საკითხებს აღწერს ამ შინაგანაწესის დანართი „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი“. ბნსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალი მიიჩნევა ბნსუ-ს სამეცნიერო პერსონალად, რომელიც გარდა პედაგოგიური საქმიანობისა, მონაწილეობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ასრულებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის დადგენილ წლიურ დატვირთვას, ხელმძღვანელობს ბნსუ-ში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით და სხვ. სამეცნიერო პერსონალად პირი ითვლება ბნსუ-სთან აფილირების ვადით. აფილირების შეწყვეტა არ იწვევს აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შეწყვეტას;
5. უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობები:
5.1. აკადემიურ პერსონალს (პროფესორთა შემადგენლობას) უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს მართვაში, არჩეული იყოს აკადემიურ და ფაკულტეტის საბჭოში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ბნსუ–ს საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებაში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში) და სხვ.; ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, შემოქმედებითი საქმიანობა; საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის სილაბუსის შინაარსი, სწავლების მეთოდები, სტუდენტის შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და სხვ. აფილირებულ პერსონალს აქვს უფლება განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ბნსუ-ს რესურსების გამოყენებით, ბნსუ-ში მოქმედი წესით მიიღოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსება და სხვ. პროფესორთა შემადგენლობა ვალდებულია სასწავლო პროცესი წარმართოს ბნსუ–ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების და სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის სილაბუსის შესაბამისად, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე გააცნოს სტუდენტებს სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის სილაბუსის შინაარსი და განუმარტოს სილაბუსში მოცემული ინფორმაცია, განაახლოს და დახვეწოს სასწავლო კურსის/პროგრამის სხვა კომპონენტის სილაბუსი და დაიცვას ბნსუ–ში მოქმედი სილაბუსის ფორმა, სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად შეადგინოს და საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე დათქმულ ვადაში წარადგინოს (ამონაბეჭდი და ელ.ვერსიები) შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების საკითხების რამდენიმე ვარიანტი, შეავსოს მიმდინარე შეფასებების და საგამოცდო უწყისები, უზრუნველყოს სტუდენტების ობიექტური შეფასება და სასწავლო პროცესში თანასწორი მონაწილეობა, ჩაუტაროს სტუდენტებს კონსულტაციები და უზრუნველყოს მათი შეფასებების განხილვა, შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობა და სხვ.;
5.2. ასისტენტს უფლება აქვს  გამოთქვას მოსაზრებები და წარადგინოს რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ორგანიზების და საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით, მიიღოს მონაწილეობა ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. ასისტენტი ვალდებულია პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით განახორციელოს სასემინარო და სხვ. სამუშაოები ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში, შეასრულოს მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების/წესების და სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსის მოთხოვნები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს სწავლის სუბიექტებს შესასწავლი საკითხების უკეთ გაგებაში, შედეგების გაუმჯობესებაში და სხვ.;
5.3. ბნსუ-ს აკადემიურ პერსონალს აქვს უფლება მოითხოვოს შრომითი ხელშეკრულებით და წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესრულება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები ბნსუ–ს მართვის და საქმიანობის სრულყოფის მიზნით, მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა და საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, მონაწილეობა მიიღოს ბნსუ–ში ჩატარებულ გამოკითხვებში და ღონისძიებებში, გამოთქვას მოსაზრებები სასწავლო პროცესის ორგანიზების, პროგრამის და პროგრამის კომპონენტის შესასწავლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის, წიგნადი ფონდის განახლების და სხვ. შესახებ, განახორცი-

ელოს საქმიანობა წინამდებარე შინაგანაწესისა და ბნსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად, განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება;
5.4. აკადემიური პერსონალი ვალდებულია დამატებითი მეცადინეობის/კონსულტაციების ჩატარებით აანაზღაუროს მის მიერ გაცდენილი საკონტაქტო (ლექცია, პრაქტიკული სამუშაო და/ან სხვ.) და არასაკონტაქტო (საკონსულტაციო) საათები, საქმიანობა წარმართოს ამ მუხლში მითითებული მიმართულებებით, პირადად შეასრულოს წინამდებარე შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, უზრუნველყოს სწავლების და განათლების ხარისხი, პასუხისმგებლობა აიღოს განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე, მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ში/ბნსუ-ს მონაწილეობით დაგეგმილ ღონისძიებებში/პროექტებში, სწავლის სუბიექტთა მხარდაჭერის პროგრამებში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს სწავლის სუბიექტთა ჩართულობას კურიკულუმისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში და კვლევითი და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება-სრულყოფას, დაეხმაროს სწავლის სუბიექტთა  კვლევითი/შემოქმედებითი ნაშრომების/პროექტების შემუშავებაში, მოამზადოს ისინი კონფერენციებში მონაწილეობისთვის; გაუწიოს დახმარება სწავლის სუბიექტთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით; ფაკულტეტის დეკანს წარუდგინოს შესრულებული აკადემიური დატვირთვის ანგარიში, შეასრულოს პარტნიორთა კრების, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის, აკადემიური და ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილებები, აკადემიური პერსონალისა და მისი საქმიანობისადმი ბნსუ-ში არსებული მოთხოვნები, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები;
5.5. აკადემიური პერსონალი ვალდებულია: იცოდეს უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი რეგულაციები, ბნსუ-ს მისია და სტრატეგიული პრიორიტეტები, ბნსუ-ს განათლებისა და ხარისხის პოლიტიკა, ბნსუ-ში მოქმედი ძირითადი მარეგულირებელი დებულებები/წესები, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება, სამეცნიეროკვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, სასწავლო პროცესების ორგანიზების, რეგულირების და კონტროლის სისტემა, სწავლებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების და ელექტრონული ბაზის გამოყენების წესები. აკადემიური პერსონალი ვალდებულია გაეცნოს ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბნსუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას, შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები.
5.6. აკადემიური პერსონალის პირად პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:

- შრომითი ხელშეკრულებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით და თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე შინაგანაწესით და სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით დაკისრებული მოვალეობების დროული და ხარისხიანი შესრულება;
- უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის და ბნსუ-ს მარეგულირებელი დებულებების/წესების, ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების დაცვა;
- შრომითი შინაგანაწესის, დისციპლინისა და უსაფრთხოების წესების, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების, კანონიერებისა, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპების, არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

6.  ემირიტუსი. საპატიო დოქტორი - არის აკადემიური წოდებები. ბნსუ-ს უფლება აქვს:

- საქართველოს ან უცხო ქვეყნის მეცნიერს, მკვლევარს, საზოგადო მოღვაწეს ან ბნსუ-ს პარტნიორი-დაწესებულების ხელმძღვანელს/წარმომადგენელს ბნსუ-ს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ბნსუ-სთან ხანგრძლივი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, ბნსუ-ს განვითარებაში ან მხარდაჭერაში შეტანილი წვლილისთვის მიანიჭოს საპატიო დოქტორის წოდება;
- ბნსუ-ს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ბნსუ-ს უფლება აქვს ბნსუ-ს პროფესორს მიანიჭოს ემერიტუსის აკადემიური წოდება. გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის/ემირიტუსის მინიჭების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით იღებს აკადემიური საბჭო. საპატიო დოქტორის/ემირიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში. ემერიტუსის წოდების მქონე პირს არ შეიძლება ბნსუ-ში ეკავოს აკადემიური თანამდებობა.

### 2.უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით მოწვეული პირები (მოწვეული პერსონალი)

1. ბნსუ უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისთვის მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები - სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით და სპეციალური კომპეტენციის/პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირები (მასწავლებლები) - პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობის გაძღოლის მიზნით; შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რომელიც შეიძლება დადასტურდეს, მაგ., შესაბამის დარგში მიღებული სპეციალური განათლებით/მომზადებით, პროფესიული/პრაქტიკული გამოცდილებით და/ან სხვ. აუცილებელი პირობაა პირის კვალიფიკაციის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;
2. უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობები:
2.1. მოწვეულ პერსონალს არ ეკრძალება სხვა, საქართველოს/უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობა. მოწვეულ პერსონალს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ბნსუ-ში ჩატარებულ გამოკითხვებში და ღონისძიებებში, სწავლის სუბიექტთა მხარდაჭერის პროგრამებში/პროექტებში, ხელი შეუწყოს სწავლის სუბიექტთა ჩართულობას კურიკულუმისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში, დაეხმაროს სხვადასხვა ნაშრომების/პროექტების და სხვ. შემუშავებაში, გამოთქვას მოსაზრებები სასწავლო პროცესის ორგანიზების, სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის შესასწავლად აუცილებელი მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის, წიგნადი ფონდის განახლების და სხვ. შესახებ, განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა უფლებამოსილება და სხვ., მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა, შრომითი ხელშეკრულებით და წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესრულება;
2.2. მოწვეულ პერსონალს არ ეკრძალება სხვა, საქართველოს/უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობა. მოწვეულ პერსონალს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა ბნსუ-ში ჩატარებულ გამოკითხვებში და ღონისძიებებში, სწავლის სუბიექტთა მხარდაჭერის პროგრამებში/პროექტებში, ხელი შეუწყოს სწავლის სუბიექტთა ჩართულობას კურიკულუმისგან დამოუკიდებელ საქმიანობაში, დაეხმაროს სხვადასხვა ნაშრომების/პროექტების და სხვ. შემუშავებაში, გამოთქვას მოსაზრებები სასწავლო პროცესის ორგანიზების, სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის შესასწავლად აუცილებელი მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის, წიგნადი ფონდის განახლების და სხვ. შესახებ, განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული სხვა უფლებამოსილება და სხვ., მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა, შრომითი ხელშეკრულებით და წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესრულება;
2.3. მოწვეული პერსონალი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგებში მიიღოს მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, უზრუნველყოს სწავლების ხარისხი, პასუხისმგებლობა აიღოს განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე, სასწავ-

ლო პროცესის მარეგულირებელი წესების და კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმართოს სასწავლო პროცესი/მიიღოს მონაწილეობა მის წარმართვაში, განუმარტოს სწავლის სუბიექტთა მეცადინეობაზე განსახილველი საკითხები ან ლაბორატორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობაზე შესასრულებელი სამუშაო, მიაწოდოს ამ სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაცია და დაეხმაროს მის შესრულებაში, უზრუნველყოს სწავლის სუბიექტების ობიექტური შეფასება და სასწავლო პროცესში თანასწორი მონაწილეობის უფლება, ჩაუტაროს სტუდენტებს კონსულტაციები და დაეხმაროს მათ სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოწვეული სპეციალისტი თავისი კომპეტენციის შესაბამისად ვალდებულია განაახლოს და დახვეწოს მის მიერ შემუშავებული სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი, სასწავლო კურსის შინაარსის შესაბამისად შეადგინოს და საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე დათქმულ ვადაში წარადგინოს შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების საკითხების რამდენიმე ვარიანტი (ამონაბეჭდი და ელ.ვერსიები), შეავსოს უწყისები, უზრუნველყოს შუალედური გამოცდების (შემოწმებების) შედეგების განხილვა; მოწვეული სპეციალისტი სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის პროგრამის (სილაბუსის) შედგენისას თავისუფალია სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის შინაარსის, სწავლა/სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდების, კრიტერიუმების და სხვ. განსაზღვრაში, ამავდროულად იგი ვალდებულია გაითვალისწინოს სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის სპეციფიკა, უზრუნველყოდ სასწავლო კურსით/პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა. მოწვეული პერსონალი ვალდებულია დამატებითი მეცადინეობის/კონსულტაციების ჩატარებით აანაზღაუროს მის მიერ გაცდენილი საკონტაქტო (ლექცია, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობა და/ან სხვ.) და არასაკონტაქტო (საკონსულტაციო) საათები, შეასრულოს ბნსუ-ს მართვის ორგანოების (სუბიექტების) გადაწყვეტილებები და შრომითი ხელშეკრულების პირობები;

2.4. მოწვეული პერსონალი ვალდებულია: იცოდეს განათლების სფეროში მოქმედი რეგულაციები, ბნსუ-ს მისია, ბნსუ-ს განათლებისა და ხარისხის პოლიტიკა, ბნსუ-ში მოქმედი ძირითადი მარეგულირებელი დებულებები/წესები, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესები, სასწავლო პროცესების ორგანიზების, რეგულირების და კონტროლის სისტემა, სწავლებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების და ელექტრონული ბაზის გამოყენების წესები. მოწვეული პერსონალი ვალდებულია გაეცნოს ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბნსუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას, შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები.

2.5. მოწვეული პერსონალის პირად პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:

- შრომითი ხელშეკრულებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის) დებულებით და თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე შინაგანაწესით და სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით დაკისრებული მოვალეობების დროული და ხარისხიანი შესრულება;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მიხედვით ხარისხის სისტემის მოთხოვნების დაცვა;
- უმაღლესი განათლების სფეროში (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების შემთხვევაში), პროფესიული განათლების სფეროში (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების შემთხვევაში) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ბნსუ-ში არსებული მარეგულირებელი დებულებების/წესების შესრულება;
- შრომითი შინაგანაწესის, დისციპლინისა და უსაფრთხოების წესების, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების, კანონიერებისა, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპების, არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

## მუხლი 17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს მიეკუთვნება პროფესიული განათლების მასწავლებელი, კოოპერაციული სწავლების შემთხვევაში მენტორი/ინსტრუქტორი/სხვ., რომელიც პასუხისმგებელია პარტნიორი დაწესებულების ბაზაზე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სწავლებაზე. პროფესიული განათლების მასწავლებლები მონაწილეობენ სასწავლო პროცესში/წარმართავენ მას. პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია კონკურსის ან მის გარეშე. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესით. ბნსუ-ში კონკურსის ძირითადი მოთხოვნები განისაზღვრება პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ბნსუ-ში პირი პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობაზე აირჩევა კონკურსის ჩატარების/კონკურსის გარეშე აყვანის მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის (მათ შორის, მოთხოვნების, თანამდებობაზე არჩევის ვადების და სხვ.) გათვალისწინებით. ბნსუ–ში პროფესიული განათლების მასწავლებლის აყვანის მექანიზმები რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მართვის წესით";

2. აკადემიური თავისუფლება: პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს მართვაში, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, თავისუფალია სწავლების პროცესში, მის მიერ განხორციელებული მოდულის შინაარსის, სწავლა/სწავლების მეთოდების, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების ფარგლებში, რაც რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობის მიმართულებები: ბნსუ-ში პროფესიული განათლების მასწავლებელთა შემადგენლობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია - პედაგოგიური საქმიანობა, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის ღონისძიებები, ბნსუ–ს და ბნსუ–ში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და სხვ. რაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემით;

4. უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობები:

4.1. პროფესიული განათლების მასწავლებლებს უფლება აქვს: მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს მართვაში (პროფესიული განათლების მიმართულებით), არჩეული იყოს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ბნსუ–ს პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებაში, საგანმანათლებლო მიმართულებების განსაზღვრაში და სხვ.; კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სწავლება, შემოქმედებითი საქმიანობა; საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლების მეთოდები, სტუდენტის/მსმენელის შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და სხვ. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია სასწავლო პროცესი წარმართოს ბნსუ–ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების და მოდულის/კალენდარული გეგმის და სხვ. შესაბამისად, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მოდულის შინაარსი და განუმარტოს მოდულში მოცემული ინფორმაცია, შეფასების მიდგომები, განაახლოს და დახვეწოს მოდულის სასწავლო თემატიკა, სასწავლო რესურსები და სხვ. და დაიცვას ბნსუ–ში მოქმედი კალენდარული გეგმის ფორმა, მოდულის შინაარსის შესაბამისად შეადგინოს და შეფასების პროცესის დაწყებამდე დათქმულ ვადაში წარადგინოს განმსაზღვრელი/შუალედური/საკვალიფიკაციო და განმეორებითი შეფასების ინსტრუმენტები, შეავსოს მიმდინარე შეფასებების და შეფასების უწყისები, უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტე-

ბის/მსმენელების ობიექტური შეფასება და სასწავლო პროცესში თანასწორი მონაწილეობა, ჩაუტაროს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს კონსულტაციები და უზრუნველყოს მათი შეფასებების განხილვა, შედეგების გაუმჯობესების შესაძლებლობა და სხვ.;

4.2. ბნსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება მოითხოვოს შრომითი ხელშეკრულებით და წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული პირობების შესრულება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშაოს წინადადებები და რეკომენდაციები პროფესიული განათლების მიმართულებით ბნსუ–ს საქმიანობის სრულყოფის მიზნით, მოითხოვოს სათანადო სამუშაო პირობების შექმნა და საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვოს შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, მონაწილეობა მიიღოს ბნსუ–ში ჩატარებულ გამოკითხვებში და ღონისძიებებში, გამოთქვას მოსაზრებები სასწავლო პროცესის ორგანიზების, პროგრამის და მოდულების განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფის, წიგნადი ფონდის განახლების და სხვ. შესახებ, განახორციელოს საქმიანობა წინამდებარე შინაგანაწესის და ბნსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად, განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება;

4.3. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დამატებითი მეცადინეობის/კონსულტაციების ჩატარებით აანაზღაუროს მის მიერ გაცდენილი საკონტაქტო (ლექცია, პრაქტიკული სამუშაო და/ან სხვ.) და შეფასების საათები, საქმიანობა წარმართოს ამ მუხლში მითითებული მიმართულებებით, პირადად შეასრულოს წინამდებარე შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, უზრუნველყოს სწავლების და განათლების ხარისხი, პასუხისმგებლობა აიღოს განხორციელებული საქმიანობის ხარისხზე, მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ში/ბნსუ-ს მონაწილეობით დაგეგმილ ღონისძიებებში/პროექტებში, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის პროგრამებში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართულობას კურიკულუმისგან დამოუკიდებელ საქმიანობას და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება-სრულყოფაში, დაეხმაროს სტუდენტებს შემოქმედებითი პროექტების შემუშავებაში, მოამზადოს ისინი კონფერენციებში მონაწილეობისთვის; გაუწიოს დახმარება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიღწევების გაუმჯობესების მიზნით; პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს წარუდგინოს შესრულებული დატვირთვის ანგარიში, შეასრულოს პარტნიორთა კრების, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს გადაწყვეტილებები, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობისადმი ბნსუ-ში არსებული მოთხოვნები, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები;

4.4. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია: იცოდეს პროფესიული განათლების სფეროში მოქმედი რეგულაციები, ბნსუ-ს მისია და სტრატეგიული პრიორიტეტები, ბნსუ-ს განათლებისა და ხარისხის პოლიტიკა, ბნსუ-ში მოქმედი ძირითადი მარეგულირებელი დებულებები/წესები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება, სასწავლო პროცესების ორგანიზების, რეგულირების და კონტროლის სისტემა, სწავლებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების და ელექტრონული ბაზის გამოყენების წესები. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია გაეცნოს ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბნსუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას, შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები.

4.5. პროფესიული განათლების მასწავლებლის პირად პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:

- შრომითი ხელშეკრულებით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით და თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე შინაგანაწესით და სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით დაკისრებული მოვალეობების დროული და ხარისხიანი შესრულება;
- პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის და ბნსუ-ს მარეგულირებელი დებულებების/წესების, ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების დაცვა;
- შრომითი შინაგანაწესის, დისციპლინისა და უსაფრთხოების წესების, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების, კანონიერებისა, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპების, არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

### მუხლი 18. შრომითი ხელშეკრულება

1. შრომითი ურთიერთობების გამომრიცხავი გარემოებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით (მაგ,. პირის ქმედუუნარობა, პატიმრობაში ყოფნა, სასამართლოს მიერ შესაბამისი საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, სხვ), რაც გამორიცხავს შრომითი ხელშეკრულების დადებას;

2. ბნსუ ვალდებულია დასაქმების მსურველს გააცნოს წინამდებარე შინაგანაწესი და მიაწოდოს ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს, შრომითი ხელშეკრულების ვადის, შრომის პირობების, დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობის და შრომის ანაზღაურების შესახებ, ხოლო დასაქმების მსურველი ვალდებულია ბნსუ-ს აცნობოს იმ გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას ბნსუ-ს ან მესამე პირის ინტერესებს. ბნსუ უფლებამოსილია შეამოწმოს წარდგენილი ინფორმაციის სისწორე და მოიპოვოს ინფორმაცია დასაქმების მსურველის შესახებ, რომელიც ესაჭიროება დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ბნსუ ვალდებულია არ გაასაჯაროოს მისთვის წარდგენილი ან მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულად ითვლება შრომითი ხელშეკრულების დადებით ან დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებით;

3. შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით (გარდა აკადემიური პერსონალის), ბნსუ-ს და დასაქმებულს შორის შესაძლებელია წერილობით განისაზღვროს გამოსაცდელი ვადა (არაუმეტეს 06 თვით). ბნსუ-ს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება ან შეწყვიტოს მასთან გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულება კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად;

4. შრომითი ურთიერთობების საფუძველია წერილობით დადებული შრომითი ხელშეკრულება, რომლის მხარეებს წარმოადგენენ ერთის მხრივ - ბნსუ (ბნსუ-ს სახელით ხელშეკრულებას ხელს აწერს ხელშეკრულების ხელმოწერის უფლებამოსილებს მქონე პირი) და მეორეს მხრივ - დასაქმებული პირი. შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და მოიცავს საქართველოს კანომდებლობით დადგენილ ყველა არსებით პირობას;

5. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას;

6. შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს წინამდებარე შინაგანაწესი, რომლის შინაარსი უნდა იყოს ცნობილი პირისთვის შრომითი ხელშეკრულების დადებამდე;

7. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული შრომით ხელშეკრულებაში, წინამდებარე შინაგანაწესში და ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად მითითებულ სხვა დოკუმენტ(ებ)ში, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

### მუხლი 19. შრომითი ურთიერთიბები, წარმოშობა, შეჩერება, შეწყვეტა

1. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
2. შრომითი ურთიერთობის შეჩერება წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობას (არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას) და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;
3. შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა (ვადიანი ხელშეკრულების შემთხვევაში); მხარეთა წერილობითი შეთანხმება; დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება; დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან (მათ შორის, ატესტაციის ვერ გავლა/ატესტაციის გავლაზე უარის თქმა); დასაქმებულის მიერ მისთვის შრომითი ხელშეკრულებით ან/და ბნსუ-ს შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა; ბნსუ-ში მოქმედი ქცევის წესების დარღვევა, რომლებიც ამ შინაგანაწესში გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევენ ხელშეკრულების შეწყვეტას; ხანგრძლივი შრომისუუნარობა (საქართველოს შრომის კოდექსისთ გათვალისწინებულ შემთხვევებში); ბნსუ-ს ლიკვიდაციის წარმოების დაწყება ან საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების (ავტორიზაციის) გაუქმება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე უარის თქმა ან/და ამ უფლების ჩამორთმევა; ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური/ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას, და სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას; დასაქმებულის გარდაცვალება; სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომლითაც გამოირიცხება სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა ან ეკრძალება/ეზღუდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმინობის განხორციელება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები;
4. წინასახელშეკრულებო ურთიერთობების, შრომითი ურთიერთობების წარმოშობის, განხორციელების, შეწყვეტის, შეჩერების და სხვა საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შინაგანაწესში ან ბნსუ-ში მოქმედ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში, ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 20. ინფორმირება პერსონალური მონაცემების და უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ

1. წინამდებარე შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, მისი შინაარსი ხელშეკრულების ხელმოწერამდე ცნობილია დასაქმებულისთვის. ამდენად, პირისთვის ცნობილია ბნსუ-ში მოქმედი პერსონალურ მონაცემთა და ბნსუ-ში უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ და ბნსუ-სთან ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს, რომ თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები ბნსუ-ს მიერ დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასაქმებული ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ბნსუ-ს ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (გარდა სამედიცინო დახმარების პუნქტის, სამუშაო, გამოსაცვლელი და ჰიგიენისთვის განკუთვნილი ფართისა) წესრიგის, უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ვიდეოკონტროლის მოწყობილობების გამოყენების შესახებ.

### მუხლი 21. შრომის დაცვა

1. ბნსუ უზრუნველყოფს სიცოცხლის და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას, უსაფრთხოების წესების, სანიტარული ნორმების და სხვ. დაცვით სამუშაო ადგილის ტექნიკურ აღჭურვას, უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის და სხვა წესების შესახებ დასაქმებულის ინფორმირებას, შრომის პირობების, უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარიის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და სხვა წესების შესრულების კონტროლს, შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;
2. ბნსუ იღებს ვალდებულებას შეასრულოს შრომის დაცვის ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და სამართლებრივი ნორმები და გონივრულ ვადაში დასაქმებულს მიაწოდოს ინფორმაცია იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. დასაქმებულს უფლება აქვს უარი თქვას იმ სამუშაოს შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბნსუ-ს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.

### მუხლი 22. შრომის ანაზღაურება. ზეგანაკვეთური სამუშაო.ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება

1. შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები (ოდენობა, გაცემის წესი, ვადა და სხვ.) გათვალისწინებულია შრომით ხელშეკრულებაში. ბნსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება ხდება შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილი ოდენობით. აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება ხდება აკადემიური თანამდებობისთვის დადგენილი ოდენობით, თვის განმავლობაში ჩატარებული საკონტაქტო საათების გათვალისწინებით, და შეიძლება იყოს ფიქსირებული ან საათობრივი ან/და ფიქსირებული და საათობრივი. მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობა გამომდინარეობს დატვირთვის (საკონტაქტო საათების) რაოდენობიდან და თითოეული საკონტაქტო საათის ღირებულებიდან, თვის განმავლობაში ჩატარებული საკონტაქტო საათების გათვალისწინებით. პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ოდენობა გამომდინარეობს დატვირთვის სქემიდან და შეიძლება იყოს ფიქსირებული ან საათობრივი ან/და ფიქსირებული და საათობრივი. აკადემიური/მოწვეული პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ გაცდენილი საკონტაქტო საათების და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მიერ გაცდენილი სამუშაო საათების ღირებულება დაიქვითება საანგარიშსწორებო თვის შრომის ანაზღაურებიდან. შრომის ანაზღაურება (ხელფასის გაცემა) ხდება ყოველთვიურად თვეში ერთხელ, შრომით ხელშკრულებაში განსაზღვრულ დღეს (თუ ხელფასის გაცემის დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეებს – მომდევნო სამუშაო დღეს). განსაკუთრებულ შემთხვევებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის გადაწყვეტილებით ხელფასი შეიძლება გაიცეს წინსწრებით. ბნსუ-ს უფლება აქვს დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, მისთვის დასაქმებულს აქვს გადასახდელი. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს. ბნსუ არ არის პასუხისმგებელი საბანკო დაწესებულებაში თანხის დაგვიანებით მიღებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე, თუ ამ თანხის გადარიცხვა ბნსუ-ს მიერ მოხდა დადგენილ ვადაში. დასაქმებულის სამუშაოს შესრულებისათვის შრომითი ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების გარდა ბნსუ-ს არ ეკისრება სხვა რაიმე ანაზღაურების (პრემია და/ან სხვ.) გაცემის ვალდებულება;

2. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები (ოდენობა, გაცემის წესი, ვადა და სხვ.) გათვალისწინებულია შრომით ხელშეკრულებაში. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ ჩაითვლება ბნსუ-ს მოთხოვნით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის მონაკვეთში, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს, ან სამუშაოს შესრულება უქმე დღეებში. ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ბნსუ-ს და დასაქმებულს შორის შეთანხმებით ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების გათვალისწინებით: ა) ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება საანგარიშსწორებო თვის ხელფასის გაზრდილი ოდენობით, ბ) შეიძლება იქნეს მიღწეული შეთანხმება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო: ა) ანაზღაურების გარეშე - სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის; ბ) სათანადო ანაზღაურებით - საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის.

### მუხლი 23. შრომის შინაგანაწესი

**1. სამუშაო განრიგი.** სამუშაო განრიგი საათების რაოდენობა, რომლის განმავლობაში ბნსუ-ს პერსონალი (შემდგომში - დასაქმებული) ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობები. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების, დასვენების და არასამუშაო საათებში ბნსუ-ში ყოფნის დრო. სრული განაკვეთით მომუშავე დასაქმებულის სამუშაო დრო კვირაში არ აღემატება 40 საათს, დღეში - არაუმეტეს 8 საათს, ხოლო არასრული (ნაწილობრივი) დატვირთის ოდენობა და პირობები განისაზღვრება ინდივიდუალურად დასაქმებულსა და ბნსუ-ს შორის შეთანხმებით ისევე, როგორც ინდივიდუალური 40-საათიანი კვირეული სამუშაო განრიგი. ზოგადი წესის თანახმად (გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა):

- სამუშაო დღის ხანგრძლივობა: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - $9^{00}$-$18^{00}$ სთ, შაბათს - $9^{00}$-$15^{00}$ სთ. სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე და ბნსუ-ს გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალისთვის/ცალკეული სტრუქტურული ერთეულებისთვის შეიძლება დადგინდეს განსხვავებული სამუშაო განრიგი - მაგ., ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: $9^{00}$-$17^{00}$ სთ, $10^{00}$-$18^{00}$ სთ-მდე, $11^{00}$-$19^{00}$ სთ-მდე და/ან სხვ., შაბათს - $9^{00}$-$15^{00}$ სთ. დასვენებისათვის (გარდა შაბათისა) დადგენილია ერთსაათიანი შესვენება სამუშაო განრიგიდან გამომდინარე: $13^{00}$-$14^{00}$ სთ ან $14^{00}$-$15^{00}$ სთ და/ან სხვ.;
- აკადემიური პერსონალის სამუშაოს დაწყების და დამთავრების საათები დაკავშირებულია სასწავლო პროცესთან და სხვა სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებასთან. დასვენებისათვის (გარდა შაბათისა) აკადემიური პერსონალისთვის დადგენილია ერთსაათიანი შესვენება, რომლიც გამოიყენება სასწავლო პროცესის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების სამუშაო დღეები, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების საათები განისაზღვრება სასწავლო პროცესის განრიგით და დაკავშირებულია საკონტაქტო, საკონსულტაციო საათებთან და წინამდებარე შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის სამუშაო დღეები, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების საათები განისაზღვრება სასწავლო პროცესის განრიგით და დაკავშირებულია საკონტაქტო, საკონსულტაციო საათებთან და წინამდებარე შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებასთან;
- ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 06 დღეს: $9^{00}$-$21^{00}$ სთ (ორშაბათი-პარასკევი, შესვენების გარეშე), შაბათს - $10^{00}$-$15^{00}$ სთ.

ზემოთ მითითებული ზოგადი წესისგან განსხვავებული შემთხვევები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

**2. უქმე დღეები.** უქმე დღეებად მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეები: 1 და 2 იანვარი; 7 იანვარი; 19 იანვარი; 3 მარტი; 8 მარტი; 9 აპრილი; სააღდგომო დღეები (დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომის დღე, აღდგომის მეორე დღე - ორშაბათი. თარიღები გარდამავალია); 9 მაისი; 12 მაისი; 26 მაისი; 28 აგვისტო; 14 ოქტომბერი; 23 ნოემბერი. დასაქმებულს უფლება აქვს არ იმუშაოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში, კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში ბნსუ-ს მოთხოვნით დასაქმებულის მიერ შესრულებული სამუშაო მიიჩნევა ზეგანაკვეთურად. კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა ბნსუ-ს მიერ შეიძლება დამატებითად განისაზღვროს ბნსუ–ში დასვენების/უქმე დღეები.

**3. შვებულება.** ბნსუ-ში მოქმედი წესების თანახმად:

1. ანაზღაურებადი შვებულება:

1) ანაზღაურებადი შვებულების (შემდგომში - შვებულება) მოთხოვნის უფლება დასაქმებულს წარმოეშობა მუშაობის 11 თვის შემდეგ;
2) ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შეთანხმებით ანაზღაურებადი შვებულება დასაქმებულს შეიძლება მიეცეს 11 თვის ვადის გასვლამდეც ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შეთანხმებით, დასაქმებულს შეუძლია ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება ან/და განსხვავებული ვადების და პირობების განსაზღვრა იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას;
3) ბნსუ-ს პერსონალს ანაზღაურებადი შვებულება (წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით) ეძლევათ წელიწადში ერთხელ, როგორც წესი, ზაფხულის არდადეგების პერიოდში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
4) შვებულებაში გასვლის თარიღები განისაზღვრება ბნსუ–ში სასწავლო პროცესის ვადებიდან და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე: შვებულებაში გასვლამ არ უნდა შეაფერხოს სასწავლო პროცესი, ხელი შეუშალოს ბნსუ–ში დაგეგმილი ღონისძიებების/სხვ. ჩატარებას, სხვ. შესაბამისად, ბნსუ უფლებამოსილია დაადგინოს დასაქმებულთათვის შვებულებაში გასვლის რიგითობა იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას;
5) აკადემიური პერსონალი/პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელიც ამავდროულად მიეკუთვნება ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალს, ანაზღაურებად შვებულებაში გადის მხოლოდ როგორც ადმინისტრაციული ან დამხმარე თანამდებობის პირი შესაბამისი საშვებულებო პერიოდისა და ანაზღაურების ოდენობით. ასეთ შემთხვევაში შვებულებაში მყოფი პირი განიხილება სხვა თანამდებობიდან ანაზღაურების გარეშე შვებულებაში გასულ პირად;
6) საშვებულებო პერიოდამდე 10 კალენდარული დღით ადრე ბნსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის სახელზე იწერება განცხადება შვებულებით სარგებლობის მოთხოვნით, რომელსაც უნდა დაერთოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/ფაკულტეტის დეკანის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანხმობა. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/ფაკულტეტის დეკანი/პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი უფლებამოსილია დაადასტუროს თანხმობა წარდგენილ განცხადებაზე ან არგუმენტირებული უარი თქვას მითითებულ პერიოდში შვებულებით სარგებლობაზე, თუ ამით შეფერხდება სამსახურის მუშაობა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, დაგეგმილი ღონისძიების/სხვ.

ჩატარება;

7) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია დასაქმებული თანხმობით შვებულებიდან გამოძახება. შვებულებიდან გამოძახება ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით;
8) ანაზღაურებად შვებულებაში არ ითვლება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევები (მაგ., დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის გამო, ახალშობილის შვილად აყვანის და ბავშვის მოვლის გამო შვებულება და სხვ.);
9) ზემოთ მითითებული წესისგან განსხვავებული შემთხვევები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

2. ანაზღაურების გარეშე შვებულება:
1) ადმინისტრაციულ, დამხმარე და აკადემიურ პერსონალ უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით;
2) ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებულმა 02 კვირით ადრე უნდა მიმართოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს განცხადებით ანაზღაურების გარეშე შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელია გადაუდებელი ან სხვა ობიექტური გარემოებების გამო.

**4. სამუშაოს შესრულების ადგილი. სამსახურებრივი მივლინება.** დასაქმებული საქმიანობას ახორციელებს ბნსუ-ს კანონიერ მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში (ტერიტორიაზე). შესაძლებელია ბნსუ-ს მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ ეს ცვლილება არ წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლას. გადაწყვეტილებას მივლინებაში გაგზავნის შესახებ იღებს ბნსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი, სამივლინებო ფურცელი გაიცემა ხელმოწერილი ბრძანების საფუძველზე. მივლინებაში გაგზავნის საკითხები, მათ შორის შესაძლო ხანგრძლივობა, ანაზღაურების წესი და სხვ., რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**5. მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა.** მიყენებული ზიანისათვის დგება ზიანის ანაზღაურების ფინანსური და/ან მატერიალური პასუხისმგებლობა. ბნსუ-სთვის მიყენებული ზიანის (ბნსუ–ს ქონების, მატერიალურ-ტექნიკური ან სხვ. რესურსის დაზიანება/განადგურება ან სხვ.) იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (ზიანის ანაზღაურების ოდენობა დგინდება მიყენებული ზიანის გათვალისწინებით და განისაზღვრება აღნიშნულის უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით მიყენებული ზიანის გათვალისწინებით). მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**6. შრომითი დისციპლინა**

ბნსუ-ში მოქმედი წესების თანახმად:
1) დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობები სამუშაო დროის განმავლობაში;
2) დასაქმებული ვალდებულია სამუშაო პირადად შეასრულოს. ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან-კანცლერთან შეთანხმებით შესაძლებელია განსაზღვრული ვადით სამუშაოს შესრულება მესამე პირის მიერ;
3) დასაქმებული ვალდებულია შვებულებაში გასვლამდე ან სამსახურებრივ მივლინებაში გამგზავრებამდე უზრუნველყოს მასთან არსებული სამსახურებრივი ხასიათის დოკუმენტაციის გადაცემა მისი შემცვლელი პირის ან უშუალო ხელმძღვანელისათვის.
4) სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია, მისი სამსახურეობრივი დაქვემდებარების გათვალისწინებით, აღნიშნულის შესახებ დაქვემდებარებისამებრ აცნობოს ბნსუ–ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და წარუდგინოს განცხადება სამსახურში არყოფნის პერიოდის ან დაგვიანების შესახებ მიზეზის მითითებით: ა) წინასწარ უცნობი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში პირი ვალდებულია წერილობითი ან ზეპირი ფორმით აცნობოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს გამოუცხადებლობის მიზეზის და სავარაუდო პერიოდის შესახებ; ბ) წინასწარ ცნობილი მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში - წინასწარ მიმართოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და წარადგინოს წერილობითი განცხადება, მიუთითოს სამსახურში შემდგომი არყოფნის მიზეზები და სავარაუდო პერიოდი, და ითხოვოს ამ ხნის განმავლობაში სამსახურებრივი მოვალეობისგან დროებით გათავისუფლება. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (დასაბუთების მითითებით) უარს აცხადებს ხელმოწერაზე ან თანხმობის ნიშნად ხელს აწერს განცხადებას და შუამდგომლობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან განცხადების დაკმაყოფილებაზე;
5) ბნსუ–ს აკადემიური, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნით მოწვეული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია იმავე სემესტრის (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში)/სწავლების ციკლის უახლოეს სასწავლო კვირებში აღადგინოს საპატიო თუ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი საკონტაქტო და საკონსულტაციო საათები;
6) შრომის შინაგანაწესის დარღვევის საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს: დოკუმენტურად დადასტურებული ხანგრძლივი ავადმყოფობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ხანგრძლივი მკურნალობის საჭიროება და შრომისუუნარობა, ორსულობა, მშობიარობა და ბავშვის მოვლა, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობა, საზღვაო რეისში გასვლა/რეისიდან დაბრუნება, ბნსუ-ში ბნსუ-ს სახელით/თანხმობით სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა, სხვა ობიექტური გარემოებები, რომლებიც დადგა დასაქმებულისგან დამოუკიდებლად და რომელთა დაწყება და დასრულება არ არის დამოკიდებული მის ნებაზე;
7) არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე დაგვიანების/სამუშაოს გაცდენის ან შინაგანაწესის, შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების/შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბნსუ უფლებამოსილია გამოიყენოს წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. შრომის შინგანაწესის, ქცევის წესების, სამუშაო განრიგის, წინამდებარე შინაგანაწესით/შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების განზრახ/სისტემატიურად დარღვევის შემთხვევაში ბნსუ უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

**მუხლი 24. ბნსუ-ს პერსონალის და სხვა დასაქმებულ პირთა ქცევის წესები**

1. ბნსუ-ს და ბნსუ-სთან შრომით ურთიერთობებში მყოფი ნებისმიერი პირი ვალდებულია:
- ჰქონდეს პიროვნული, მოქალაქეობრივი და სოციალური ვალდებულებების შესრულების და ეთიკური ნორმების დაცვის პასუხისმგებლობა, საკუთარი და სხვა მოქალაქეების უფლებების, თავისუფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის, პიროვნული ღირსების აღიარებისა და პატივისცემის მოტივაცია;
- პატივი სცეს განსხვავებულ შეხედულებებს, არ დაუშვას თანამშრომლის, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ექსპლუატაცია ან დისკრიმინაცია. სამართლიანად და პატივისცემით მოეპყრას თანამშრომლებს, სტუდენტებს და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს, აღიაროს თითოეული ადამიანის უფლება მიიღოს განათლება ან განახორციელოს საქმიანობა ძალადობისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოში, იმოქმედოს სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების შესა-

გამისად;

- ხელი შეუწყოს აზრთა თავისუფალ გაზიარებას, პროფესიული განვითარებისა და აკადემიური გარემოს შექმნას;
- გაუფრთხილდეს ბნსუ-ს რეპუტაციას, პატივი სცეს მის ტრადიციებს, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ბნსუ-ს იმიჯის განმტკიცებას, მონაწილეობა მიიღოს ბნსუ-ს ცხოვრებაში და განვითარებაში;
- ბნსუ–ს სახელით განცხადების/კომენტარის შემთხვევაში დაიცვას ეთიკის ნორმები და ქცევის წესები. თუ განცხადება/კომენტარი გამოხატავს პირად პოზიციას/მოსაზრებას სავალდებულოა ამის აღნიშვნა;
- დაიცვას ეთიკის კოდექსი და აკადემიური ეთიკის კოდექსი;
- სათანადოდ შეასრულოს ნაშრომის/კვლევის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ., სწავლის სუბიექტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შემფასებლის/შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის წევრის/სხვ. მოვალეობები, არ დაარღვიოს და არ დაუშვას აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევა, მათ შორის პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შესაძლებლობა;
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;
- მართლზომიერად ისარგებლოს ბნსუ–ს ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით;
- იზრუნოს თავისი კვალიფიკაციის და კომპეტენციების ხარისხის ამაღლებაზე და სრულყოფაზე;
- არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც ბნსუ-ს მიერ მიიჩნევა ქცევის წესების დარღვევად და იწვევს დისციპლინურ სახდელს;
- არ გაავრცელონ/არ გაასაჯაროოს ბნსუ-ს საქმიანობასთან დაკავშირებული არასაჯარო/კონფიდენციალური დოკუმენტაცია/ინფორმაცია, ინფორმაცია კოლეგების, სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შესახებ და ინფორმაცია საკუთარი შეხედულებების, რწმენისა და პოლიტიკური მრწამსის შესახებ;
- არ გაავრცელოს საეჭვო, გადაუმოწმებელი ან ცრუ ინფორმაცია;
- არ გამოიყენოს კოლეგების, სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შესაძლებლობები პირადი სარგებელის მიზნით;
- არ ჩაიდინოს ქმედება, რაც რომელიმე სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს ჩააყენებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში;
- არ წარმოაჩინოს არასწორად/მცდარად კოლეგის და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეხედულება და არ გააკეთოს განცხადებები/კომენტარები კოლეგის, სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და მათი პირადი ცხოვრების შესახებ;
- არ დაუშვას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და არ წაახალისოს მსგავსი ქმედება;
- არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა/ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ბნსუ–ს ინტერესებს და რეპუტაციას ან აფერხებდეს/აზიანებს სასწავლო პროცესის გამართულ მიმდინარეობას;
- გაუფრთხილდეს ბნსუ–ს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს და დაიცვას უსაფრთხოების ზომები, დანიშნულებისამებრ და ბნსუ-ში მოქმედი წესის შესაბამისად ისარგებლოს ბნსუ-ს შენობით, ტექნიკით, აღჭურვილობით და სხვ., ბნსუ–ს მიერ ანაზღაურებული დრო, ბნსუ-ს მატერიალური რესურსები და ინტელექტუალური საკუთრება არ გამოიყენოს თვითნებურად პირადი მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბნსუ–ს ადმინისტრაციისაგან ამის ნებართვა არსებობს;
- შეატყობინოს ბნსუ-ს ადმინისტრაციას მის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლის დევნის, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის ან სასამართლოს მიერ შესაბამისი საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ;
- შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ–ში მოქმედი შინაგანაწესის და სხვა მარეგულირებელი დებულებების/წესების მოთხოვნები, მართვის სუბიექტების, აკადემიური და ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოების გადაწყვეტილებები;
- დაიცვას ბნსუ-ში ჩაცმულობის დადგენილი ფორმა (ასეთი მოთხოვნის დაწესების შემთხვევაში).

### მუხლი 25. პერსონალის დისციპლინური სახდელები. დისციპლინური საქმისწარმოება. სახდელის მოხსნა

ბნსუ იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას პერსონალის, სწავლის სუბიექტების და ბნსუ-ში მყოფი პირების უსაფრთხოება და და აღკვეთოს ისეთი ქმედება, რომელიც არღვევს ბნსუ-ში მიღებულ ქცევის წესებს ან საფრთხის ქვეშ აყენებენ ბნსუ-ის ტერიტორიაზე მყოფთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და მატერიალური ფასეულობების დაცულობას. ბნსუ–ში ყველა დასაქმებული პირი ვალდებულია თავისი ქცევა შეუსაბამოს საქართველოს კანონმდებლობის ნორმებს, შეასრულოს ბნსუ–ს შინაგანაწესის, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების მოთხოვნები, არ განახორციელოს ქმედება, რომელიც იწვევს პროპორციულ დისციპლინურ ზომას (სახდელს):

#### 1. უსაფუ სახდელები

1. გაფრთხილება - გამოიყენება ერთხელ ჩადენილ შემდეგ შემთხვევებში: შრომითი დისციპლინის და სამუშაოს განრიგის დარღვევა, სამუშაოზე დაგვიანება ან/და სამუშაოს გაცდენა; შინაგანაწესის და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების არასათანადოდ შესრულება; საეჭვო, გადაუმოწმებელი ან ცრუ ინფორმაციის გავრცელება; სტუდენტებისადმი/პროფესიული სტუდენტებისადმი/მსმენელებისადმი არაობიექტური დამოკიდებულება; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ან/და დოკუმენტაციის დაზიანება; თვითნებურად პირადი მიზნებისათვის ბნსუ-ს მატერიალური და ინტელექტუალური საკუთრების გამოყენება; ბნსუ–ს მიერ ანაზღაურებული სამუშაო საათების პირადი მიზნებისთვის გამოყენება; შენობაში/ტერიტორიაზე არანებადართულ ადგილებში თამბაქოს მოწევა, არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, ალკოჰოლური სასმელების შემოტანის მცდელობა; ბნსუ–ს შენობის/ტერიტორიის დაბინძურება, დაცვის სამსახურისადმი დაუმორჩილებლობა;

2. საყვედური - გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: 1) მიღებული დისციპლინური სახდელის – გაფრთხილების - მიუხედავად 01 წლის განმავლობაში (უვადო ან 01 წელზე მეტი ვადის ხელშეკრულების შემთხვევაში) ან ხელშეკრულების მოქმედების ვადაში (01 წელზე ნაკლები ვადით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში) იგივე ქმედების ჩადენა; 2) ერთხელ ჩადენილი: შინაგანაწესით ან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა/დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, რამაც დააზიანა სასწავლო პროცესის ნორმალური მიმდინარეობა; ბნსუ-ში რელიგიური ან პოლიტიკური ორგამიზაციის ჩამოყალიბების მცდელობა; ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც ზიანს აყენებს ბნსუ–ს ინტერესებს/რეპუტაციას, აფერხებდეს სასწავლო პროცესის გამართულ მიმდინარეობას ან ეჭვის ქვეშ აყენებს გამოცდის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების ობიექტურობას; სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, ქრთამის ან სხვა სარგებლის მიღების მცდელობა ან ამის

წახალისება; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბნსუ–ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას; ბნსუ-ს საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცრუ ინფორმაციის გავრცელება; ბნსუ-ს ეთიკის კოდექსის და აკადემიური ეთიკის კოდექსის დარღვევა (ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების დადასტურების შემთხვევაში პირი, ასევე, ვალდებულია ბნსუ-ს სრულად დაუბრუნოს სამეცნიერო კვლევის, ნაშრომის მომზადების/თარგმნის/გამოსაცემად მომზადების/გამოცემის მიზნით ბნსუ-ს მიერ გაცემული (მათ შორის, პირის მიერ უკვე გამოყენებული) დაფინანსება); ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ნაშრომის შემსწავლელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში - პროფესიული სტუდენტის (პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადებს პროგრამის შემტხვევაში - მსმენელის) შეფასების/შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის კომისიის წევრის/სხვ. მოვალეობების არასათანადოდ შესრულება, რამაც გამოიწვია პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემა ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზება; დოკუმენტებში ინფორმაციის/ფაქტების გაყალბება/განზრახ არასწორად მითითება/განმარტება; დოკუმენტაციის განადგურების/გაყალბების მცდელობა/მსგავსი ქმედების ხელშეწყობა/წახალისება ან დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით ბნსუ-ს ქონების/დოკუმენტაციის განადგურება ან კონფიდენციალური/არასაჯარო ინფორმაციის გასაჯაროება; ბნსუ–ს შენობაში/ტერიტორიაზე აზარტული თამაშების ორგანიზების მცდელობა/ხელშეწყობა ან ორგანიზებაში მონაწილეობა, ცივი იარაღის შემოტანის მცდელობა, ალკოჰოლური სასმელების შემოტანა/მოხმარება/შემოტანის ხელშეწყობა;

3. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა - გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: 1) ბნსუ-ს შინაგანაწესის და ქცევის წესების სისტემატურ დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა: 01 წლის განმავლობაში (უვადო ან 01 წელზე მეტი ვადის ხელშეკრულების შემთხვევაში) ან ხელშეკრულების მოქმედების ვადაში (01 წელზე ნაკლები ვადით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში) მიღებული დისციპლინური სახდელის (საყვედურის) მიუხედავად იგივე ქმედების ჩადენა ან ქცევის წესების სხვადასხვა დარღვევებისთვის 02 საყვედურის მიღება; 2) ბნსუ-ს შინაგანაწესის და ქცევის წესების უხეშ დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა: ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რასიზმის, ფაშიზმის, ძალადობის პროპაგანდა, რელიგიური თუ სხვა სახის ფანატიზმი, საქართველოს კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა და შეზღუდვა; განზრახ სასწავლო პროცესის ჩაშლა ან შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების, შრომის დისციპლინის დარღვევა, რითაც ზიანი მიადგა ბნსუ-ს, ბნსუ-ში დასაქმებულ/მყოფ პირებს/სწავლის სუბიექტებს; სხვისი, მათ შორის ბნსუ–ს, საკუთრების განზრახ დაზიანება/ განადგურება ან მოპარვა; ბნსუ–ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის; დოკუმენტაციის გაყალბება ან განზრახ დაზიანება/განადგურება ან კონფიდენციალური/არასაჯარო/პირადი ინფორმაციის გასაჯაროება; ქრთამის ან სხვა სარგებლის მიღება; ბნსუ-ს პერსონალისთვის/სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის მორალური/ფიზიკური ზიანის მიყენება; ბნსუ–ს შენობაში/ტერიტორიაზე განზრახ ისეთი ვითარების შექმნა/ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბნსუ–ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, ძალადობა/თავდასხმა, ძალადობის/თავდასხმის მცდელობა, აზარტული თამაშების ორგანიზება, ცივი იარაღის შემოტანა, ცეცხლსასროლი იარღის შემოტანის მცდელობა/შემოტანა, საფრთხის შემქმნელი მასალების/ნარკოტიკული/ძლიერმოქმედი/ტოქსიკური საშუალებების შემოტანა/შენახვა/გავრცელება/მოხმარება, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევა; 3) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები.

### 2. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება

1. პირის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავს მის უფლებას შეასრულოს სამსახურეობრივი მოვალეობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას;
2. საქმისწარმოება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შინაგანაწესით განსაზღვრული წესით;
3. ერთი დარღვევისთვის არ შეიძლება იყოს გამოყენებული ერთდროულად რამდენიმე დისციპლინური სახდელი;
4. დარღვევისთვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ მითითებულ შემთხვევებში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (სახდელი) განისაზღვრება ჩადენილი დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე;
5. საკითხის განხილვის ხანგრძლივობა განპირობებულია შესასწავლი საკითხის სირთულით და განსახილველი ინფორმაციის მოცულობით და არ უნდა გასცდეს გონივრულ ვადებს. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ უნდა იყოს მიღებული დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებიდან არაუმეტეს 15 სამუშაო დღეში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო ან საკითხის განხილვისთვის დადგენილია განსხვავებული ვადა (მაგ., ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების და ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ. მიერ არასათანადოდ შესრულებული მოვალეობის გამო პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შემთხვევების განხილვა);
6. პირს, რომლის მიმართ დაწყებულია/მიმდინარეობს დისციპლინარული საქმისწარმოება, უფლება აქვს: წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ, დაესწროს საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი პოზიცია, ისარგებლოს დაცვის უფლებით, მიიღოს განსახილველ საქმესთან დაკავშირებული მასალები, მიაწოდოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია/მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში, მოითხოვოს დისციპლინური წარმოების საკითხის საჯარო განხილვა, მიიღოს ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან 02 სამუშაო დღის ვადაში წერილობით მიმართოს ბნსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს და არგუმენტირებულად გამოხატოს თავისი პოზიცია მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სასამართლოში გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება;
7. დისციპლინური დარღვევის ფაქტს (გარდა ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების და ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ. არასათანადოდ შესრულებული მოვალეობის გამო პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შემთხვევებისა) იკვლევს ბნსუ-ს სადისციპლინო კომისია, რომლის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 5-ზე ნაკლები და რომლის მუდმივმოქმედი წევრები არიან: ბნსუ–ს იურისტი (კომისიის თავმჯდომარე), ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (კომისიის მდივანი) და ბნსუ-ს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სადისციპლინო კომისიის შემადგენლობაში სხვა წევრების შეყვანა ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის შესაბამისი ბრძანებით;
8. სადისციპლინო კომისიის მუშაობის ხანგრძლივობას განაპირობებს შესასწავლი მასალების რაოდენობა და საკითხის სირთულე. ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების, მანიპულირების ფაქტებს და ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ნაშრომის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შეფასების/მსმენელის შუალედური

და საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ. არასათანადოდ შესრულებული მოვალეობის გამო პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შემთხვევებს, აკადემიური პროგრამების ფარგლებში შეისწავლის ბნსუ-ს აკადემიური საბჭო ან აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი კომისია (შინაგანაწესის დანართი „აკადემიური ეთიკის კოდექსი"), ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო ან/და პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შექმნილი სააპელაციო კომისია;

9. სადისციპლინო კომისია ვალდებულია შეისწავლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებული მტკიცებულებები, ობიექტურად, სამართლიანად, მიკერძოების, დისკრიმინაციის გარეშე განიხილოს დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული გარემოებები, გამოკითხოს თვითმხილველები, მიიღოს დასაბუთებული დასკვნა პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის და დარღვევის სიმძიმის პროპორციული სახდელის გამოყენების/გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ;

10. სადისციპლინო კომისიის წევრი ვალდებულია საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საკითხების ობიექტურად განხილვის და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. ასეთი გარემოების არსებობისას კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების შესახებ (ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკრეტული საკითხის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში);

11. სადისციპლინო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3, გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით დამსწრე წევრთა ხმათა 2/3–ით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის წევრები სარგებლობენ თანასწორი ხმის უფლებით (ხმების თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა). სადისციპლინო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება დახურულ სხდომაზე;

12. სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით სხდომაზე მოიწვიოს წესების დამრღვევი პირი, დარღვევის მოწმეები, დაზარალებული პირები, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები და/ან სხვ.;

13. სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია ა) დამრღვევი პირის მიმართ გამოიტანოს დასკვნა სახდელის გამოყენების შესახებ (შესაბამისი დისციპლინური სანქციის მითითებით) ბ) მიიღოს გადაწყვეტილება სახდელის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ;

14. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ინფორმაცია გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს;

15. კომისიის მუშაობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე კომისიის ყველა წევრი;

16. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ფორმდება ადმინისტრაციის ხელძღვანელი-კანცლერის ბრძანებით წესრიგის დამრღვევი პირისთვის შესაბამისი სახდელის დაკისრების შესახებ, რის შემდეგ გადაწყვეტილება სადისციპლინო სანქციის დაკისრების შესახებ მიღებულად (ძალაში შესულად) ითვლება;

17. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დაინტერესებული პირის ინფორმირება ხდება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;

18. დისციპლინური საქმისწარმოების მასალები ინახება პირის პირად საქმეში;

19. სადისციპლინო კომისიის წევრები და/ან სხვ. საჩივრის განხილვაში ყველა მონაწილე პირი ვალდებულია დაიცვას საკითხის შესწავლისას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

20. ინფორმაცია პირის მიმართ დაწყებული დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ კონფიდენციალურია გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს პირის ნებართვა ან ბნსუ-ს კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

### მუხლი 26. დისციპლინური სახდელის მოხსნა

თუ დისციპლინის დამრღვევი პირი დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან 01 წლის განმავლობაში არ ჩაიდენს რაიმე დარღვევას, მას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით შეიძლება მოეხსნას დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

### მუხლი 27. პერსონალის წახალისების მექანიზმები

1. ბნსუ-ს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამეურნეო, სხვ. საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, განსაკუთრებული მიღწევებისათვის, ასევე, შემეცნებითი და შემოქმედებითი საქმიანობის წახალისების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მატერიალური და არამატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმები, მაგალითად: მადლობის გამოცხადება; დისციპლინარული სახდელის (გაფრთხილება, საყვედური) მოხსნა, დაკისრებული ჯარიმის მოხსნა და/ან სხვ.; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; პრემირება; კონფერენციებზე, სემინარებზე, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე და ა.შ. გაგზავნა-დაფინანსება, შრომის ანაზღაურების გაზრდა და/ან სამსახურებრივი დაწინაურება. შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა;

2. გადაწყვეტილებას წახალისების ფორმისა და ოდენობის შესახებ იღებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი საკუთარი გადაწყვეტილებით ან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წარდგინებით. გადაწყვეტილება მიიღება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით და ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის ბრძანებით.

## თავი III. სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი. სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის და მსმენელის უფლებები და მოვალეობები

### მუხლი 28. სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი, მსმენელი. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება

1. ბნსუ-ს სტუდენტი (პირი, რომელიც სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე), პროფესიული სტუდენტი (პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე) და მსმენელი (პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე) შეიძლება იყოს მხოლოდ ბნსუ-ს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველი, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ბნსუ-ს შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო/პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის უფლება. საქართველოს მოქალაქეებისთვის და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" საქართველოს კანონის $20^{13}$ მუხლით გათვალისწინებული პირებისთვის, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართ-

ველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, ჩარიცხვისათვის განსაზღვრავს ადგილების რაოდენობას ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღები სტუდენტების საერთო რაოდენობის არანაკლებ 1%-ისა (თითოეული პროგრამისთვის - 1%, განსხვავებული მიდგომა მტკიცდება რექტორის ბრძანებით/განკარგულებით). ასევე, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ბნსუ ადგენს ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გამოცდების გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთებისთვის და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ვაკანტური ადგილების რაოდენობას, საიდანაც არანაკლებ 2/3 განკუთვნილია უცხოეთში მცხოვრები თანამემალულეთათვის (მითითებული რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ბნსუ-ს გადაწყვეტილებით, ამ პირთა არარსებობის შემთხვევაში მათთვის გამოყოფილი ადგილები ჩაითვლება ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლისთვის გამოყოფილი ვაკანსიების საერთო რაოდენობაში);

2. ბნსუ-ს სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი და მსმენელი (შემდგომში ყველა - სწავლის სუბიექტი) ბნსუ-თან ერთად თანაბარზომიერად პასუხისმგებელია მის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განათლების მიღების ხარისხზე და ვალდებულია შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნები;

3. ბნსუ უფლებამოსილია დაადგინოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები (მაგ., კონკრეტული უცხო ენის ცოდნა ფლობის დონის მითითებით ან სხვ.), რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და წინასწარ ცნობილია პროგრამით სწავლის მსურველთათვის;

4. ბნსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, მათ შორის მობილობით ბნსუ-ს პროგრამით სწავლის გაგრძელება, ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით, ბნსუ-ს განსაზღვრული პირობების დაცვით;

5. პირმა, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში უნდა მიმართოს ბნსუ–ს, წარადგინოს სავალდებულო დოკუმენტები და ბნსუ-ში მოქმედი წესით გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. პირი, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, მაგრამ ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადებში არ მიმართა ბნსუ-ს - არ წარადგინა სავალდებულო დოკუმენტები და/ან არ გაიარა პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, კარგავს ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას (გამონაკლის შემთხვევებს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა);

6. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა, ასევე მობილობასთან, განათლების აღიარებასთან, დამატებით სემესტრები სწავლის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ., რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შინაგანაწესში და ბნსუ-ს სხვა მარეგულირებელ დებულებებში, წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 29. ინფორმირება პერსონალური მონაცემების და უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ

1. წინამდებარე მუხლში სწავლის სუბიექტში მოიაზრება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელი;

2. წინამდებარე შინაგანაწესი წარმოადგენს სწავლის სუბიექტსა და ბნსუ-ს შორის დადებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს, მისი შინაარსი ხელშეკრულების ხელმოწერამდე ცნობილია სწავლის სუბიექტისთვის. ამდენად, სწავლის სუბიექტისთვის ცნობილია ბნსუ-ში მოქმედი პერსონალურ მონაცემთა და ბნსუ-ში უსაფრთხოების დაცვის წესების შესახებ. ბნსუ-სთან ხელშეკრულების ხელმოწერით სწავლის სუბიექტი (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) ადასტურებს, რომ თანახმაა მისი/მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის პერსონალური მონაცემები ბნსუ-ს მიერ დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით სწავლის სუბიექტი (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენელი) ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ბნსუ-ს ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (გარდა სამედიცინო დახმარების პუნქტის, სამუშაო, გამოსაცვლელი და ჰიგიენისთვის განკუთვნილი ფართისა) წესრიგის, უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ვიდეო კონტროლის მოწყობილობების გამოყენების შესახებ.

### მუხლი 30. განათლების მომსახურების ხელშეკრულება

1. წინამდებარე მუხლში სწავლის სუბიექტში მოიაზრება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პრობრამის მსმენელი;

2. ბნსუ–ს და სწავლის სუბიექტს შორის ფორმდება განათლების მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება);

3. ბნსუ-ს სახელით ხელშეკრულებას ხელს აწერს ამ ხელშეკრულების ხელმოწერის უფლებამოსილი პირი;

4. არასრულწლოვანი სწავლის სუბიექტის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ხელშეკრულებას ხელს აწერს სწავლის სუბიექტის კანონიერი წარმომადგენელი (ხელშეკრულებას უნდა დაერთოს მისი პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);

5. ხელშეკრულება ფორმდება 02 თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა სწავლის სუბიექტს (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - მის კანონიერ წარმომადგენელს), მეორე - რჩება ბნსუ–ში;

6. ხელშეკრულება მოქმედებს ბნსუ–ში საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სწავლის მთელ ძირითად ვადაზე;

7. ხელშეკრულებაში განისაზღვრება მხარეების უფლება-მოვალეობები, პროგრამით სწავლის პერიოდში მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის პირობები, ხელშეკრულების ვადა, ბნსუ-ში კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის საფასურის ოდენობა და გადახდის წესი (იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე სწავლა არ ფინანსდება სრულად სახელმწიფოს მიერ), სხვ.;

8. დაუშვებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გაზრდა ხელშეკრულების პირობების დარღვევით. ხელშეკრულების პირობები სწავლის საფასურთან დაკავშირებით სწავლის სუბიექტისთვის უნდა იყოს ცნობილი ხელშეკრულების დადებამდე. აღნიშნული პირობები უცვლელად ხდება ხელშეკრულების ნაწილი. დადგენილი სწავლის საფასურის ცალმხრივად გაზრდა შესაძლებელია გარემოებების არსებითი ცვლილების დროს, რაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

9. ბნსუ–ს და სწავლის სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულება ითვლება შეჩერებულად სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში;

10. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა იწვევს დადებული ხელშეკრულების შეწყვეტას. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სწავლის სუბიექტი ვალდებულია მოახდინოს ბნსუ–სთან სრული ფინანსური ანგარიშსწო-

რება, რაც გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის არსებული ყველა ფინანსური ვალდებულების შესრულებას.

### მუხლი 31. სწავლის საფასური. სხვა ფინანსური ვალდებულებები

1. წინამდებარე მუხლში სწავლის სუბიექტში მოიაზრება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელი;
2. ქვემოთ მითითებული წესები არ ვრცელდება პროგამებზე, რომლებზეც სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ;
3. გარდა სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული პროგრამებისა:

- ბნსუ-ში სწავლის საფასურის ოდენობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განისაზღვრება თითოეული აკადემიური წლისათვის (აკადემიური წელი მოიცავს 2 სემესტრს). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, სწავლის საფასური დგინდება პროგრამის მთელი პერიოდისათვის. ამავდროულად, ცვლილებები არ ვრცელდება სწავლის სუბიექტზე, ვინც უკვე სწავლობს ბნსუ-ში (ვისთანაც ბნსუ–ს დადებული აქვს განათლების მომსახურების ხელშეკრულება);
- სწავლის სუბიექტი, რომელიც სწავლობს სრული/ნაწილობრივი თვითდაფინანსებით, ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასური (სრული თვითდაფინანსების შემთხვევაში) ან სხვაობა ბნსუ–ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და მის მიერ მიღებულ დაფინანსებას შორის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) დადგენილ ვადებში და ოდენობით: სწავლის საფასურის ნახევარის (სემესტრის/სწავლების ციკლის სწავლის საფასურის) გადახდა ხდება სემესტრის/სწავლების ციკლის  ადმინისტრაციული (პირველადი/სემესტრული / სწავლების ციკლის) რეგისტრაციის ვადებში. ბნსუ-ს (შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის) გადაწყვეტილებით სემესტრის / სწავლების ციკლის სწავლის საფასურის გადახდა შეიძლება მოხდეს ეტაპობრივად (რამდენიმე ნაწილად);

4. სწავლის სუბიექტის ფინანსურ ვალდებულებას წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასური და ის ფინანსური ვალდებულებები (მაგ., ბნსუ-სთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება; პროგრამის კომპონენტების/მოდულის განმეორებით შესწავლა; უმაღლესი საგანმაგათლებლო პროგრამების შემთხვევაში საკუთარი სურვილით სემესტრში დადგენილზე მეტი კრედიტების მიღება, და/ან სხვ.), რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების დადების შემდგომ პერიოდში;
5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში კრედიტის ღირებულება იანგარიშება შემდეგნაირად: მაგ., 01 აკადემიური წლის სწავლის საფასურია 2000 და სტუდენტს მისაღები აქვს 5 კრედიტი. ამ შემთხვევაში გადასახადი (5 კრედიტის ღირებულება) შეადგენს: (2000 / 60) x 5 = 167 (სადაც „60“ არის ერთი აკადემიური წლის კრედიტების საერთო რაოდენობა). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება კანონმდებლობითა და ბნსუ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების შესაბამისად, პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენისას;
6. ბნსუ-სთვის მიყენებული ზიანის (ბნსუ–ს ქონების, მატერიალურ-ტექნიკური ან სხვ. რესურსის დაზიანება/განადგურება ან სხვ.) იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (ზიანის ანაზღაურების ოდენობა დგინდება მიყენებული ზიანის გათვალისწინებით და განისაზღვრება აღნიშნულის უფლებამოსილი  პირის ბრძანებით, მიყენებული ზიანის გათვალისწინებით). მიყენებული ზიანი ანაზღაურდება  საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7. განსაზღვრულ ვადაში და ოდენობით ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა არის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერების საფუძველი. ამ საფუძვლით სტატუსშეჩერებული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენის პირობაა სტატუსის შეჩერებამდე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება.

### მუხლი 32. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანება

ბნსუ-ს საგანანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ფორმდება ჩარიცხვის ბრძანების გამოცემაზე უფლებამოსილი პირის ერთიანი აქტით. აუცილებელია ბნსუ-ს მიერ დადგენილი წესების შესრულება, მათ შორის პროგრამაზე პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა და ყველა სავალდებულო დოკუმენტის წარდგენა.

#### 2. საგანმანათლებლო პროგრამაზე პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია

#### 2.1. პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ზოგადი წესი

1. რეგისტრაციის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბნსუ–ს ვებგვერდზე განთავსებული რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციაში მითითებულზე ნაკლები;
2. კანონმდებობით დადგენილი წესით ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მოპოვების შემდეგ, პირი ვალდებულია  დადგენილ ვადაში მიმართოს ბნსუ-ს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე და წარმოადგინოს ყველა სავალდებულო დოკუმენტი (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი $10^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე);
3. ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ:

- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისთვის დადგენილი განათლების საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატის/დიპლომის/სხვ. დედანი და სანოტარო წესით დამოწმებული ასლი). უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში წარსადგენია სანოტარო წესით დამოწმებული: ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქართულენოვანი თარგმანი (დედანი და ასლი) და ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი და ასლი);
- პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სწავლისთვის დადგენილი განათლების საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატის/დიპლომის/სხვ. დედანი და სანოტარო წესით დამოწმებული ასლი). უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში წარსადგენია სანოტარო წესით დამოწმებული: ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქართულენოვანი თარგმანი (დედანი და ასლი) და ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი და ასლი). ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი და ასლი);
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი) - წარსადგენია სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირების, საქართველოს მოქალაქეების მიერ;

- საზღვაო სფეროს პროგრამის შემთხვევაში სავალდებულოდ წარსადგენია სამედიცინო შემოწმების ფორმა (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge);

4. გარდა ზემოთ მითითებულისა, ასევე, სავალდებულოდ წარსადგენია:
- განცხადება - შეივსება საბუთების ჩაბარების დროს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში განცხადებას ავსებს და ხელს აწერს პირის კანონიერი წარმომადგენელი). არასრულწლოვანი პირის და კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში აუცილებელია პირის კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის (დედანი) და მისი პირადობის მოწმობის/ID ბარათის (დედანი) წარდგენა;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის/სხვ.) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
- 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე).

5. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება პირებზე, რომლებმაც სწავლის უფლება მოიპოვეს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ყველა სხვა შემთხვევებში - აუცილებელია ბნსუ–ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ–ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დადასტურების არსებობა;

6. ზემოთ მითითებული წესები აღწერს ზოგად პროცედურულ საკითხებს და შეიძლება დაზუსტდეს ამ საკითხის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტის/ბრძანების გამოცემით.

### 2.2. გარე მობილობა

1. რეგისტრაციის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბნსუ–ს ვებგვერდზე განთავსებული რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციაში მითითებულზე ნაკლები;

2. კანონმდებლობით დადგენილი წესით მობილობის უფლების მოპოვების შემთხვევაში მობილობის მსურველი ვალდებულია ბნსუ–ს მიერ დადგენილ ვადებში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, $10^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე) წარმოადგინოს:
- განცხადება - შეივსება საბუთების ჩაბარების დროს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში განცხადებას ავსებს და ხელს აწერს პირის კანონიერი წარმომადგენელი). არასრულწლოვანი პირის და კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში აუცილებელია პირის კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის (დედანი) და მისი პირადობის მოწმობის/ID ბარათის (დედანი) წარდგენა;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი) - სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა;
- საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისთვის დადგენილი განათლების საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატის/დიპლომის/სხვ. სანოტარო წესით დამოწმებული ასლი). უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში წარსადგენია სანოტარო წესით დამოწმებული: ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქართულენოვანი თარგმანი (ასლი) და ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (ასლი), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შემთხვევაში, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი და ასლი);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი/სხვ.) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე – პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დედანი) - ამონაწერი ჩარიცხვის ბრძანებიდან და არსებობის შემთხვევაში - ამონაწერი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში აუცილებელია სტატუსის შეწყვეტის საფუძვლის მითითება); ამონაწერი სასწავლო ბარათიდან პროგრამის შესწავლილი კომპონენტების, მათი მოცულობის და მიღებული შეფასებების მითითებით;
- საზღვაო სფეროს პროგრამის შემთხვევაში სავალდებულოდ წარსადგენია სამედიცინო შემოწმების ფორმა (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი), რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge);

3. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ყველა სხვა შემთხვევებში - აუცილებელია ბნსუ–ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ–ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დადასტურების არსებობა;

4. მობილობით ბნსუ-ს პროგრამით სწავლის გაგრძელების (პროგრამაზე ჩარიცხვის) შემთხვევაში, ასევე, წარსადგენია:
- 4 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე);
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) პირადი საქმე და პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია;
- ყველა იმ დოკუმენტის დედანი, რომლებიც ჩარიცხვამდე იყო წარმოდგენილი მხოლოდ ასლის სახით;
- მობილობის შედეგად სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან ამონაწერი.

2. ზემოთ მითითებული წესები აღწერს ზოგად პროცედურულ საკითხებს და შეიძლება დაზუსტდეს ამ საკითხის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტის/ბრძანების გამოცემით.

### 2.3. შიდა მობილობა

1. ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადებში აუცილებელია შესაბამისი განცხადებით შიდა მობილობის სურვილის დაფიქსირება. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში განცხადებას ავსებს და ხელს აწერს პირის კანონიერი წარმომადგენელი). არასრულწლოვანი პირის და კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში აუცილებელია პირის კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის (დედანი) და მისი პირადობის მოწმობის/ID ბარათის (დედანი) წარდგენა;

2. ბნსუ-ს მიერ განცხადების განხილვისა და დადებითი გადაწყვეტილების (კანონმდებლობით აღნიშნულის დასაშვებობის და ბნსუ-ში აღნიშნულის განხორციელების შესაძლებლობის დადგენის), ასევე შიდა მობილობის მსურველისთვის შედეგების გაცნობისა და მისი თანხმობის შემთხვევაში, არჩეული პროგრამით სწავლის გაგრძელებისთვის) აუცილებელია:
- საზღვაო სფეროს პროგრამის შემთხვევაში - სამედიცინო შემოწმების ფორმის (დედანი/სანონარო წესით დამოწნებული ასლი)

წარდგენა, რომელსაც დადგენილი წესით გასცემს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულება (ჩამონათვალი განთავსებულია სააგენტოს ვებგვერდზე www.mta.gov.ge);

- არჩეულ პროგრამაზე პირველადი რეგისტრაციის გავლა.

3. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამაზე. ყველა სხვა შემთხვევებში - აუცილებელია ბნსუ–ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ–ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დადასტურების არსებობა;

4. შიდა მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე გადაეცემა შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო-ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს;

5. ზემოთ მითითებული წესები აღწერს ზოგად პროცედურულ საკითხებს და შეიძლება დაზუსტდეს ამ საკითხის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტის/ბრძანების გამოცემით.

### 3. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1. წინამდებარე პუნქტში სწავლის სუბიექტში მოიაზრება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი;

2. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლით სტუდენტი ადასტურებს ბნსუ–ში სწავლის გაგრძელების სურვილს. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის შედეგებით დგინდება თუ რამდენ სტუდენტს სურს სწავლის გაგრძელება ბნსუ–ს პროგრამით;

3. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ყველა სხვა შემთხვევებში - აუცილებელია ბნსუ–ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ–ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დადასტურების არსებობა;

4. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა ხდება სემესტრის დაწყებამდე ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადებში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, $10^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე). დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის უფლება შეიძლება მიეცეს სწავლის სუბიექტს, რომელმაც საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო დადგენილ ვადაში რეგისტრაციის გავლა. მითითებულ შემთხვევებში აუცილებელია შესაბამის განცხადებაში მიეთითოს რეგისტრაციის ვადის დარღვევის მიზეზი, განცხადებას დაურთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან გაიგზავნოს ბნსუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, $10^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე). ყველა განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილება ინდივიდუალურად. გადაწყვეტილება მიიღება განცხადებაში მითითებული გარემოებების, თანდართული დოკუმენტების და განცხადების წარდგენის თარიღის გათვალისწინებით. გადაწყვეტილება მიიღება წინამდებარე შინაგანაწესის შესაბამის მუხლში მითითებული წესით. გადაწყვეტილების მიღება და დაინტერესებული პირისთვის გაცნობა ხდება წინამდებარე შინაგანაწესით განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადაში. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლის (მათ შორის, განსხვავებულ ვადაში გავლაზე უარის თქმის) შემთხვევაში ხდება სტატუსის შეჩერება სემესტრის/პროგრამის კომპონენტით სწავლების დაწყებიდან მესამე სასწავლო კვირის დაწყებისთანავე;

5. ზემოთ მითითებული წესები აღწერს ზოგად პროცედურულ საკითხებს და შეიძლება დაზუსტდეს ამ საკითხის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტის/ბრძანების გამოცემით.

## მუხლი 33. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები - სპეციფიკური საორგანიზაციო ასპექტები

წინამდებარე მუხლი ვრცელდება უმაღლესი საგანმანათლებლო (საბაკალავრო და სამაგისტრო) პროგრამების სტუდენტებზე.

### 1. აკადემიური რეგისტრაცია

1. აკადემიური რეგისტრაციის წინაპირობაა პირველადი/სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა;

2. აკადემიურ რეგისტრაციას ბნსუ–ს სტუდენტი გადის სემესტრის დაწყებამდე ბნსუ-ს მიერ დადგენილ ვადებში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, $10^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე). დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში აკადემიური რეგისტრაციის გავლის უფლება შეიძლება მიეცეს სტუდენტს, რომელმაც საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო დადგენილ ვადაში რეგისტრაციის გავლა. მითითებულ შემთხვევებში აუცილებელია შესაბამის განცხადებაში მიეთითოს რეგისტრაციის ვადის დარღვევის მიზეზი, განცხადებას დაურთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან გაიგზავნოს ბნსუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, $10^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე). ყველა განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილება ინდივიდუალურად. გადაწყვეტილება მიიღება განცხადებაში მითითებული გარემოებების, თანდართული დოკუმენტების და განცხადების წარდგენის თარიღის გათვალისწინებით. დადებითი გადაწყვეტილება მიიღება წინამდებარე შინაგანაწესში გათვალისწინებულ შემთხვევებში. გადაწყვეტილების მიღება და დაინტერესებული პირისთვის გაცნობა ხდება წინამდებარე შინაგანაწესით განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადაში. სემესტრული აკადემიური რეგისტრაციის არ გავლის შემთხვევაში ხდება სტატუსის შეჩერება სწავლების დაწყებიდან მესამე სასწავლო კვირის დაწყებისთანავე;

3. აკადემიური რეგისტრაციის დროს სტუდენტი რეგისტრირდება: საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო კომპონენტებზე; მისთვის სასურველ არჩევით სასწავლო კურსებზე; საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში - დამატებითი პროგრამის კომპონენტებზე (თუ საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს დამატებით პროგრამას). ასევე, სტუდენტი რეგისტრირდება პროგრამის კომპონენტებზე, რომლებიც: ა) წარმოადგენენ მობილობის შედეგად მისაღებ კრედიტებს, ბ) ახლიდან აქვს შესასწავლი მიღებული უარყოფითი (F) შეფასების გამო, გ) წარმოადგენენ ე.წ. „დამატებით კრედიტებს“.

### 2. დამატებითი კრედიტები

1. სტუდენტმა, რომელსაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტების გარდა, სურს დამატებითი კრედიტების მიღება (მაგ., შედეგის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის კონკრეტული კომპონენტ(ებ)ის განმეორებით შესწავლა, სემესტრში განსაზღვრულზე მეტ კრედიტებზე რეგისტრაცია ან სხვ.), აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე უნდა მიმართოს პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანს განცხადებით, ყველა განცხადება განიხილება ინდივიდუალურად. დამატებით კრედიტებზე რეგისტრაციისთვის აუცილებელი პირობებია:

- პირველ რიგში აუცილებელია აკადემიური რეგისტრაციის გავლა ა) პროგრამის სავალდებულო კომპონენტებზე, ბ) პროგრამის იმ კომპონენტებზე, რომლებზეც მისაღებია კრედიტები მობილობის ან უარყოფითი (F) შეფასების გამო, გ) არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების დადგენილ რაოდენობაზე. სემესტრში განსაზღვრულზე მეტ კრედიტზე რეგისტრაცია დასაშვებია თუ წე-

ლიწადში დატვირთვა არ გახდება 75 კრედიტზე მეტი;

- სტუდენტის სურვილით პროგრამის კომპონენტების განმეორებით შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ პროგრამის ძირითად ვადაში, კერძოდ: საბაკალავრო პროგრამა – II-VIII სემესტრებში, სამაგისტრო პროგრამა – II-IV სემესტრებში;
- ზემოთ მითითებული შემთხვევები იწვევს დამატებით ფინანსურ ვალდებულებას და შესაძლებელია შესაბამისი კრედიტების საფასურის დადასტურებული გადახდის შემთხვევაში.

### 3. არჩევით სასწავლო კურსებზე არჩევანის შეცვლა

1. აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში, ასევე სემესტრის დაწყებიდან მაქსიმუმ 01 კვირის ვადაში შესაძლებელია არჩევით სასწავლო კურს(ებ)ზე რეგისტრაციის გაუქმება და სხვა სასწავლო კურს(ებ)ის არჩევა;
3. განცხადებით არჩევანის შეცვლის შესახებ სტუდენტი მიმართავს პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანს;
4. სტუდენტმა შესაძლოა ვერ განახორციელოს არჩევანის შეცვლა შემდეგ შემთხვევებში: არჩეული სასწავლო კურსის წინაპირობების ვერ დაკმაყოფილება; თუ წელიწადში დატვირთვა გახდება 75 კრედიტზე მეტი; ამ სასწავლო კურსზე ყველა არსებულ სასწავლო ჯგუფში ვაკანტური ადგილების არარსებობა (სასწავლო ჯგუფისთვის დადგენილი ადგილების სრულად შევსება).

### 4. სასწავლო ჯგუფი. არჩევითი სასწავლო კურსების/ინტენსიური სწავლების სასწავლო ჯგუფის ჩამოყალიბება

1. ბნსუ–ში სასწავლო ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა საშუალოდ განისაზღვრება 20–25-ით. ჯგუფი, რომელშიც სტუდენტთა რაოდენობა არის 5 და ნაკლები, მიიჩნევა მცირერიცხოვან ჯგუფად;
2. ბნსუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სილაბუსებში დადგენილ მოთხოვნათა დაცვით მცირერიცხოვანი სასწავლო ჯგუფისთვის ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის შემუშავების ან სასწავლო ჯგუფის გაუქმების შესახებ (ამ შემთხვევაში წინასწარ მოხდება სტუდენტების წინასწარი ინფორმირება და იმავე სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტის შემსწავლელ სხვა ჯგუფთან გაერთიანება. ამის შეუძლებლობის შემთხვევაში სასწავლო პროცესი გაგრძელდება აკადემიური წლის/სემესტრის დასრულებამდე);
3. ბნსუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება არჩევით სასწავლო კურსზე მცირერიცხოვანი სასწავლო ჯგუფის შექმნის/შექმნაზე უარის თქმის შესახებ (ამ შემთხვევაში სტუდენტებს მიეცემათ რეკომენდაცია დარეგისტრირდნენ მათთვის სასურველ სხვა არჩევით სასწავლო კურსზე). გადაწყვეტილების მიღება და მცირერიცხოვანი ჯგუფის შექმნაზე უარის თქმის შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე განთავსება მოხდება აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე;
4. ბნსუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილებები: ა) დასკვნითი გამოცდების დასრულების შემდგომ სემესტრის დარჩენილ ვადაში (ინტენსიური სწავლებით) პროგრამის იმ კომპონენტების შესწავლის შესაძლებლობის შესახებ, რომლებშიც მისაღებია კრედიტები მობილობის ან უარყოფითი (F) შეფასების გამო, ბ) ამ მიზნით მცირერიცხოვანი სასწავლო ჯგუფის შექმნის/შექმნაზე უარის თქმის შესახებ. უარყოფითი გადაწყვეტილებების შემთხვევებში პროგრამის კომპონენტების შესწავლა მოხდება სასწავლო გეგმით მათთვის დადგენილ/დადგენილთან თავსებად შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრში. გადაწყვეტილების მიღება და ინფორმაციის ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე განთავსება მოხდება დასკვნითი გამოცდების პერიოდის დასრულებამდე;
5. ზემოთ მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

### მუხლი 34. სასწავლო განრიგი. არდადეგები. უქმე დღეები

1. ბნსუ-ში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური წელი მოიცავს 2 სემესტრს (შემოდგომის, გაზაფხულის სემესტრები) და მათ შორის არდადეგების პერიოდს. პროფესიული პროგრამების შემთხვევაში სასწავლო პროცესის ადმინისტრირება წარმოებს პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად, ამავდროულად სწავლებისა და არდადეგების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს განსხვავებული პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე;
2. საკონტაქტო საათებში გათვალისწინებული საქმიანობა მიმდინარეობს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის და პროგრამის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი მეცადინეობის და გამოცდების ცხრილის მიხედვით;
3. სასწავლო პროცესი ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით (გარდა უქმე დღეებისა), ძირითადად შემდეგი განრიგით: ორშაბათი-პარასკევი - $10^{00}$ - $18^{00}$ სთ, ხოლო შაბათი - $10^{00}$ - $15^{00}$ სთ. მაგისტრანტთა/დასაქმებულ პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით (მაგისტრანტთა/პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო ჯგუფის თხოვნით) სასწავლო პროცესი შეიძლება განხორციელდეს ორშაბათი-პარასკევი - $20^{00}$ სთ-მდე, შაბათს - $10^{00}$ - $15^{00}$ სთ პერიოდში;
4. უქმე დღეებად მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეები: 1 და 2 იანვარი; 7 იანვარი; 19 იანვარი; 3 მარტი; 8 მარტი; 9 აპრილი; სააღდგომო დღეები (დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომის დღე, აღდგომის მეორე დღე - ორშაბათი. თარიღები გარდამავალია); 9 მაისი; 12 მაისი; 26 მაისი; 28 აგვისტო; 14 ოქტომბერი; 23 ნოემბერი. კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა ბნსუ–ს გადაწყვეტილებით შეიძლება დამატებითად განისაზღვროს ბნსუ–ში დასვენების/უქმე დღეები;
5. სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მეცადინეობების, კონსულტაციების, გამოცდების ცხრილები და სხვ.) განთავსებულია ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე;
6. თითოეული სემესტრის/სწავლების ციკლის დასრულების შემდეგ არის არდადეგები, მათი ხანგრძლივობა დაკავშირებულია სემესტრის/სწავლების ციკლის დამთავრების და მომდევნო სემესტრის/სწავლების ციკლის დაწყების თარიღებთან და განისაზღვრება თითოეული აკადემიური წლისთვის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილი აკადემიური კალენდარის შესაბამისად;
7. ზემოთ მითითებული წესები აღწერს ზოგად საორგანიზაციო საკითხებს და შეიძლება დაზუსტდეს ამ საკითხის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტის/ბრძანების გამოცემით.

### მუხლი 35. საპატიო მიზეზად მიჩნეული გარემოებები. ინდივიდუალური განრიგი და სასწავლო გეგმა

1. წინამდებარე მუხლში გამოყენებული ტერმინების განმარტება:
- სწავლის სუბიექტში მოიაზრება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელი;
- პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულში მოიაზრება ფაკულტეტი (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში) და პროფესიული განათლების დეპარტამენტი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისპროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში).

2. ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, სასწავლო პროცესი, საგამოცდო/შეფასების პერიოდი და გამოცდები/შეფასებები მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი განრიგის შესაბამისად, რომლის დარღვევის საპატიო მიზეზად მიიჩნევა: დოკუმენტურად დადასტურებული ხანგრძლივი ავადმყოფობა, ჯან-

მრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ხანგრძლივი მკურნალობის საჭიროება და შრომისუუნარობა, ორსულობა, მშობიარობა და ბავშვის მოვლა, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობა, საზღვაო რეისში გასვლა/რეისიდან დაბრუნება, ბნსუ-ში სწავლის პარალელურად მუშაობა, ბნსუ-ს სახელით/თანხმობით სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა, სხვა ობიექტური გარემოებები, რომლებიც დადგა სწავლის სუბიექტისაგან დამოუკიდებლად და რომელთა დაწყება და დასრულება არ არის დამოკიდებული მის ნებაზე;

3. საპატიო მიზეზად მიჩნეული გარემოებების ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების არსებობის ყველა განცხადება განიხილება ინდივიდუალურად. ზოგადი და დაუსაბუთებელი განცხადება არ განიხილება;

4. საპატიო მიზეზად მიჩნეული გარემოებების შემთხვევაში, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ან გამოიწვიეს დადგენილი განრიგის დაცვის/მოქმედი გეგმით სწავლის შეუძლებლობა, სწავლის სუბიექტს, მისი ხელშეწყობის მიზნით, შეიძლება მიეცეს:

- ინდივიდუალური განრიგით - დადგენილისგან განსხვავებულ ვადებში - ადმინისტრაციული და/ან აკადემიური რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა;
- ერთი სემესტრისთვის შედგენილი ინდივიდუალური განრიგით და/ან გეგმით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, ინდივიდუალური განრიგით სწავლა/შეფასება ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სარგებლობა.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აუცილებლობის შესახებ დგება საკითხი, თუკი:

- სწავლის სუბექტს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას;
- სწავლის სუბიექტს არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა ობიექტური გარემოებებს (მიზეზების) გამო, გარკვეული დროით საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს და სპეციალურ სასწავლო პროგრამას;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აუცილებლობის შესახებ დგება საკითხი, ასევე თუ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვერ ერთვება სასწავლო პროცესში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მათ შორის ასეთი შემთხვევები შესაძლოა დაკავშირებული იყოს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენისას, მობილობისას, მიღებული განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას, შშმ პირების სწავლებისას და სხვ.

5. ინდივიდუალური განრიგი შეიძლება შემუშავდეს იმ შემთხვევაში, თუ სემესტრში/სწავლების ციკლში სწავლის დასრულებამდე დარჩენილ ვადაში იქნება შესაძლებელი პროგრამის კომპონენტების სრულფასოვანი შესწავლა, დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობის შესრულება, დასკვნითი და დამატებითი შეფასებების ჩატარება და შედეგების გამოცხადება;

6. ინდივიდუალური სარეგისტრაციო და/ან სასწავლო განრიგით და ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის მიზნით სწავლის სუბიექტმა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - კანონიერმა წარმომადგენლმა) განცხადებით უნდა მიმართონ შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს:

- განცხადება უნდა იქნეს წარმოდგენილი ამ შინაგანაწესში მითითებული წესით (ბნსუ-ს კანცელარიაში ჩაბარება ან ბნსუ-ს ოფიციალურ ფოსტაზე გაგზავნა (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, $10^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე);
- განცხადება უნდა იყოს წარმოდგენილი წინასწარ. თუ ეს შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო, მაშინ უნდა მოხდეს შესაბამისი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ინფორმირება და გონივრულ ვადაში განცხადების და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა;
- ამ მუხლში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი მხედველობაში მიიღება, თუ მასში მითითებულია: ცნობის გამცემი დაწესებულების/პირის დასახელება/ვინაობა, ფაქტობრივი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ცნობის სარეგისტრაციო ნომერი, ცნობის გაცემის თარიღი და საფუძველი, ცნობა უნდა დასტურდებოდეს უფლებამოსილი პირის (ვინაობის და თანამდებობის მითითებით) ხელმოწერით და დაწესებულების ბეჭდით;
- ბნსუ იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ცნობის/დოკუმენტის ნამდვილობა. განცხადებაში მკაფიოდ უნდა იქნეს მითიებული რას ითხოვს სწავლის სუბიექტი (ინდივიდუალური განრიგი, ინდივიდუალური გეგმა).;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სწავლის სუბიექტს უპირობოდ ეძლევა ინდივიდუალური განრიგით და გეგმით სწავლის შესაძლებლობა. ყველა სხვა შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება განცხადების და თანდართული დოკუმენტების, ასე მათი წარდგენის და სწავლების დაწყების ვადების გათვალისწინებით;

7. გადაწყვეტილება სწავლის სუბიექტს ეცნობა წინამდებარე შინაგანაწესით განცხადების განხილვისთვის დადგენილ ვადაში;

8. ზემოთ მითითებული აღწერს ბნსუ-ს ზოგად მიდგომებს, ინდივიდუალური გეგმით შემუშავების და გეგმის გაუქმების საკითხები რეგულირდება აკადემიური პროგრამების შემთხვევაში - ბნსუ-ს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და განხორციელების წესით", პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მარეგულირებელი დებულებით".

## მუხლი 36. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის პროცედურები

### 1. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება

1. წინამდებარე მუხლში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

- სწავლის სუბიექტში მოიაზრება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელი;
- პროგრამის განმახორციელებელ სასწავლო-ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულში მოიაზრება ფაკულტეტი (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში) და პროფესიული განათლების დეპარტამენტი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში).

2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბნსუ–ს და სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 05 წლის ვადით რის შემდეგ პირს შეუწყდება შესაბამისად სტუდენტის სტატუსი; ხოლო პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელის შემთხვევაში, მსმენელის სტატუსის შეჩერების ვადა განისაზღვრება შესაბამისი პროცედურების მომწესრიგებელი აქტით, რის შემდეგ პირს შეუწყდება შესაბამისად პროფესიული

სტუდენტის სტატუსი;

3. ბნსუ-ში სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: სტატუსის შეჩერების შესახებ სტუდენტის გადაწყვეტილება (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) და პირადი განცხადება (სტუდენტის შემთხვევაში - მიზეზის მითითების გარეშე; საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება: უცხო ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა); ორსულობა; მშობიარობა; ბავშვის მოვლა; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა; ფინანსური დავალიანება, ფინანსური ვალდებულებების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა; სამართლებრივი დევნის დაწყება ან სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლა, თუ: ა) განაჩენი გამოტანილია ისეთი ქმედების ჩადენისთვის, რომელიც ბნსუ-ში არ წარმოადგენს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს; ბ) გამორიცხავს სასწავლო პროცესში სწავლის სუბიექტის ჩართულობას; მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები;

4. ბნსუ-ში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის (პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელის) სტატუსის შეჩერების საფუძველია: სტატუსის შეჩერების შესახებ სწავლის სუბიექტის გადაწყვეტილება (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) და პირადი განცხადება (მიზეზის მითითებით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მიზეზი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი); საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება; უცხო ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა); ორსულობა (რა დროსაც შეუძლებელია სასწავლო პროცესში მონაწილეობა); მშობიარობა; ბავშვის მოვლა; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება, ფინანსური ვალდებულებების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა; სამართლებრივი დევნის დაწყება ან სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლა, თუ: ა) თუ განაჩენი გამოტანილია ისეთი ქმედების ჩადენისთვის, რომელიც ამ შინაგანაწესით არ წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს; ბ) გამორიცხავს სასწავლო პროცესში სწავლის სუბიექტის ჩართულობას, მობილობის ფარგლებში სხვა სასწავლებელში გადასვლის შესახებ განცხადების დარეგისტრირება, პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 50%-ზე ნაკლების აუთვისებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდაზე/განმეორებით გამოცდაზე არგამოცხადება ან არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

5. სწავლის სუბიექტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეჩერება შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც სწავლის სუბიექტმა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა მიმართოს ბნსუ-ს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით, რომელშიც მიეთითება: სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, თარიღი, რომლიდანაც სურს სტატუსის შეჩერება, და განცხადების თარიღი. განცხადება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან გაიგზავნოს ბნსუ-ს ოფიციალურ ფოსტაზე სწავლის სუბიექტის ოფიციალური კორპორაციული ფოსტიდან (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, $10^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე);

6. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამაზე. ყველა სხვა შემთხვევებში - თუ სწავლის სუბიექტი სემესტრის/სწავლების ციკლის/პროგრამის კომპონენტზე სწავლების დაწყებიდან 05 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს ბნსუ-ს განცხადებით სტატუსის შეჩერების შესახებ, მას დაუბრუნდება ადმინისტრაციული რეგისტრაციისას გადახდილი სწავლის საფასურის 90%. ამ ვადის გასვლის შემდეგ: 1) გადახდილი თანხა სწავლის სუბიექტს არ დაუბრუნდება (ბნსუ-ში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ეს თანხა ჩაითვლება სტატუსის აღდგენის შემდეგ გადასახდელ სწავლის საფასურში) ან 2) დაუბრუნდება სწავლის სუბიექტის გადაწყვეტილებით სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის (შესაბამისად, განათლებით მომსახურების ხელშეკრულების) შეწყვეტის შემთხვევაში - ორივე მითითებულ შემთხვევაში მოიაზრება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის გადახდილი სწავლის საფასურიდან უკვე გასული სასწავლო პერიოდის საფასურის გამოკლების შედეგად მიღებული თანხა;

7. ბნსუ–ს გადაწყვეტილებით სტატუსის შეჩერება ხდება შემდეგი პირობების დაცვით: სწავლის სუბიექტი, რომლის მიმართ დაწყებულია სტატუსის შეჩერების წარმოება, უნდა იყოს ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ, მას უნდა მიეცეს ახსნა-განმარტების წარმოდგენის და არაუმეტეს 02 კვირის ვადაში სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შესაძლებლობა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: 1) აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება, 2) სწავლის სუბიექტის მიერ არ განხორციელდა ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაცია (მაგ, მას უარი ეთქვა განსხვავებულ ვადებში ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის გავლაზე);

8. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება სწავლის სუბიექტებზე, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ყველა სხვა შემთხვევებში - ბნსუ–ს მიერ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში: 1) გადახდილი სწავლის საფასური სწავლის სუბიექტს არ დაუბრუნდება (ბნსუ-ში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში გადახდილი თანხა ჩაითვლება სტატუსის აღდგენის შემდეგ გადასახდელ სწავლის საფასურში) ან 2) დაუბრუნდება სწავლის სუბიექტის გადაწყვეტილებით სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის (შესაბამისად, განათლებით მომსახურების ხელშეკრულების) შეწყვეტის შემთხვევაში - ორივე მითითებულ შემთხვევაში მოიაზრება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის გადახდილი სწავლის საფასურიდან უკვე გასული სასწავლო პერიოდის საფასურის გამოკლების შედეგად მიღებული თანხა;

9. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერება ფორმდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით და მონაცემები შეიტანება უმაღლესი/პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10. ზემოთ მითითებული წესები აღწერს ზოგად პროცედურულ საკითხებს და შეიძლება დაზუსტდეს ამ საკითხის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტის/ბრძანების გამოცემით.

## 2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა

1. წინამდებარე მუხლში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

- სწავლის სუბიექტში მოიაზრება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი, პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელი;
- პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულში მოიაზრება ფაკულტეტი (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში) და პროფესიული განათლების დეპარტამენტი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში).

2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა ხდება არაუგვიანეს სტატუსის შეჩერებისთვის დადგენი-

ლი ვადის განმავლობაში. ფინანსური დავალიანების, ფინანსური ვალდებულებების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტატუსის აღდგენისთვის აუცილებელია დარღვევის აღმოფხვრა;
3. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება სწავლის სუბიექტებზე, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ყველა სხვა შემთხვევებში - ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტატუსის შეჩერებამდე გადახდილი თანხა ჩაითვლება სტატუსის აღდგენის შემდეგ გადასახდელ სწავლის საფასურში (მოიაზრება სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის გადახდილი სწავლის საფასურიდან უკვე გასული სასწავლო პერიოდის საფასურის გამოკლების შედეგად მიღებული თანხა);
4. სტატუსის აღდგენის მიზნით სწავლის სუბიექტმა განცხადებით უნდა მიმართოს ბნსუ-ს (პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს). განცხადების წარდგენა უნდა მოხდეს სემესტრის დაწყებამდე (ადმინისტრაციული რეგისტაციის ვადის დასრულებამდე). სტატუსშეჩერებულ სწავლის სუბიექტს, რომელმაც საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო დადგენილი წესის დაცვა, შეუძლია მიმართოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს განცხადებით, მიუთითოს მოქმედი წესის დარღვევის მიზეზი (განცხადებას უნდა დაერთოს მითითებული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი) და ითხოვოს დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში სტატუსის აღდგენა, ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაცრაციის გავლა და სწავლის გაგრძელება. განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა ჩაბარდეს კანცელარიას ან გაიგზავნოს ბნსუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, $10^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე). ყველა განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს განიხილავენ რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. გადაწყვეტილება მიიღება განცხადებაში მითითებული გარემოებების, თანდართული დოკუმენტების და განცხადების წარდგენის თარიღის გათვალისწინებით. დადებითი გადწყვეტილება შეიძლება იყოს მიღებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის/სწავლების ციკლის/დაწყებული სწავლების დარჩენილ ვადაში შესაძლებელია (მათ შორის, ინდივიდუალური განრიგით) პროგრამის კომპონენტების შესწავლა და დადგენილი მოთხოვნების შესრულება. გადაწყვეტილება სწავლის სუბიექტს ეცნობა ამ შინაგანაწესით განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადაში;
5. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის აღდგენა ფორმდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით, მონაცემები შეიტანება განათლების მართვის საინფორმაიო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
6. ზემოთ მითითებული წესები აღწერს ზოგად პროცედურულ საკითხებს და შეიძლება დაზუსტდეს ამ საკითხის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტის/ბრძანების გამოცემით.

### 3. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა

1. წინამდებარე მუხლში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

- სწავლის სუბიექტში მოიაზრება როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელი;
- პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულში მოიაზრება ფაკულტეტი (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში) და პროფესიული განათლების დეპარტამენტი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში).

2. ბნსუ-ში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა; სტატუსის შეწყვეტის შესახებ სწავლის სუბიექტის (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება; საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება; საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა (დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა, შესაბამისი კვალიფიკაციის/პროფესიული კვალიფიკაციის არ მინიჭება); სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება (წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური დარღვევები, რომლებიც იწვევენ სტუდენტისსტატუსის შეწყვეტას); კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც გამოტანილია ისეთი ქმედების ჩადენისთვის, რომელიც ამ შინაგანაწესით წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს; პირის გარდაცვალება, კანონმდებლობის შესაბამისად პირის ქმედუუნაროდ ცნობა, მოქმედი კანონმდებლობით სხვა გათვალისწინებული შემთხვევები;
3. ბნსუ-ში პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა; სტატუსის შეწყვეტის შესახებ სწავლის სუბიექტის (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითებით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მიზეზი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტაზე უარის თქმის საფუძველი); სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება; საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება; საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა (დადგენილ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა, შესაბამისი კვალიფიკაციის/პროფესიული კვალიფიკაციის არ მინიჭება); პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება (წინამდებარე შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური დარღვევები, რომლებიც იწვევენ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტას); კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც გამოტანილია ისეთი ქმედების ჩადენისთვის, რომელიც ამ შინაგანაწესით წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს; პირის გარდაცვალება, კანონმდებლობის შესაბამისად პირის ქმედუუნაროდ ცნობა, პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების 50%-ის ან მეტის აუთვისებლობა პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში; პროფესიული სტუდენტის მიერ არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიუღებლობა, ან განმეორებით შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობა, მოქმედი კანონმდებლობით სხვა გათვალისწინებული შემთხვევები;
4. სწავლის სუბიექტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც მან (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა მიმართოს პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით, რომელშიც მიეთითება: სწავლის სუბიექტის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, თარიღი, რომლიდანაც სურს სტატუსის შეწყვეტა, განცხადებს თარიღი. განცხადება უნდა ჩაბარდეს კანცელარიას

ან გაიგზავნოს ბნსუ-ს ოფიციალურ ფოსტაზე სწავლის სუბიექტის ოფიციალური კორპორაციული ფოსტიდან (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, $10^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე);
5. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამაზე. ყველა სხვა შემთხვევებში - თუ სწავლის სუბიექტი სემესტრის/პროგრამის კომპონენტზე სწავლების დაწყებიდან 05 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს ბნსუ-ს განცხადებით სტატუსის შეწყვეტის შესახებ, მას დაუბრუნდება ადმინისტრაციული რეგისტრაციისას გადახდილი სწავლის საფასურის 90%. ამ ვადის გასვლის შემდეგ მას დაუბრუნდება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის გადახდილი სწავლის საფასურიდან უკვე გასული სასწავლო პერიოდის საფასურის გამოკლების შედეგად მიღებული თანხა;
6. ბნსუ–ს გადაწყვეტილებით (გარდა პროგრამით სწავლის დასტულების/მობილობის შემთხვევებისა) სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა ხდება შემდეგი პირობების დაცვით: ა) სწავლის სუბიექტი, რომლის მიმართ დაწყებულია სტატუსის შეწყვეტის წარმოება, უნდა იყოს ინფორმირებული აღნიშნულის შესახებ; ბ) მას უნდა მიეცეს ახსნა-განმარტების წარმოდგენის შესაძლებლობა;
7. წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება სწავლის სუბიექტებზე, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ყველა სხვა შემთხვევებში - ბნსუ-ს გადაწყვეტილებით სწავლის სუბიექტისთვის სტუდენტის/პროფესიული სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში პირს დაუბრუნდება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის გადახდილი სწავლის საფასურიდან უკვე გასული სასწავლო პერიოდის საფასურის გამოკლების შედეგად მიღებული თანხა;
8. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის ბრძანებით მონაცემები შეიტანება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9. ზემოთ მითითებული წესები აღწერს ზოგად პროცედურულ საკითხებს და შეიძლება დაზუსტდეს ამ საკითხის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტის/ბრძანების გამოცემით.

### მუხლი 37. კვალიფიკაციის, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება. მოწმობა პროგრამის კომპონენტების მოსმენის შესახებ

1. საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, რის შედეგად მას მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია/პროფესიული კვალიფიკაცია;
2. კვალიფიკაციას/პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში გამოიცემა ბრძანება კვალიფიკაციის/პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის/პროფესიული დიპლომის გაცემისა და საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტთა 75%-ში შეფასება "A" (91-100 ქულა), დანარჩენ 25%-ში კი შეფასება "B" (81-90 ქულა) შემთხვევაში გაიცემა „წარჩინების" დიპლომი; ყველა სხვა შემთხვევაში გაიცემა ჩვეულებრივი დიპლომი;
3. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა განათლების შესაბამისი საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტების მოსმენის შესახებ;
4. ზემოთ მითითებული წესები აღწერს ზოგად პროცედურულ საკითხებს და შეიძლება დაზუსტდეს ამ საკითხის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტის/ბრძანების გამოცემით.

### მუხლი 38. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები

1. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს აქვს უფლება:
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით;
- მოითხოვოს ბნსუ–სთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულება, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა და სწავლისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;
- მოითხოვოს მისი პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობის, კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა;
- მოითხოვოს სასწავლო პროცესში თანასწორი მონაწილეობის, ცოდნის ობიექტური და სამართლიანი შეფასების, მიღებული შეფასებების გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- გაასაჩივროს მიღებული შეფასებები და მიიღოს დასაბუთებული და დროული პასუხი;
- მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის ხარისხის და სხვ. შეფასების პროცესში, შეიმუშაოს რეკომენდაციები და გამოხატოს თავისი აზრი;
- მოითხოვოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის შესაძლებლობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- უარყოფითი შეფასებების შემთხვევაში, განმეორებით შეისწავლოს სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები/მოდულები;
- მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია, მათ შორის სრული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო პროცესის ორგანიზების შესახებ და სხვ.;
- თანაბარ პირობებში ჩაერთოს კოლექტიურ პროექტებში, განახორციელოს ინდივიდუალური საქმიანობა და ისარგებლოს ბნსუ-ში არსებული შესაძლებლობებით;
- თანაბარ პირობებში ისარგებლოს სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის სერვისებით, ბნსუ-ს ინფრასტრუქტურით, საინფორმაციო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვ. რესურსით, მონაწილეობა მიიღოს ბნსუ–ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, გაცვლით პროგრამებში (არსებობის შემთხვევაში), პროექტებში, ტრეინინგებში და სხვ., ჩაერთოს შემეცნიებით/შემოქმედებით საქმიანობაში;
- იყოს სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის წევრი, თანასწორი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე არჩეული იყოს მის მართვის ორგანოში;
- თანასწორი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე არჩეული იყოს ფაკულტეტის საბჭოში (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის შემთხვევაში), პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოში (პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში), თანაბარი ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს, შესაბამისად, ფაკულტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის მართვაში და გადაწყვეტილებების მიღებაში;
- ზეწოლის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის და მობილობის უფლება;

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოსგან, საგანმანათლებლო დაწესებულებისგან, სხვადასხვა ფონდებისგან/ორგანიზაციებისგდან, კერძო პირებისგან ან სხვა კანონმდებლობით ნებადართული წყაროდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება და სხვა შეღავათები;
- დისციპლინური დევნისას განახორციელოს კანონმდებლობით და წინამდებარე შინაგანაწესით მინიჭებული უფლებები, მიიღოს მონაწილეობა საკითხის განხილვაში, წარმოადგინოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, ისარგებლოს დაცვის და საკითხის ობიექტურად განხილვის უფლებით; სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები;
- ბნსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად მიიღოს სტიპენდია (წახალისების ამ მექანიზმის არსებობის შემთხვევაში), მატერიალური და სოციალური დახმარება;
- პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ასევე: აირჩიოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;
- ისარგებლოს წინამდებარე შინაგანაწესით, ბნსუ–ს მარეგულირებელი დებულებებით/წესებით გათვალისწნებული შესაძლებლობებით.

2. სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:

- შეასრულოს ბნსუ–სთან დადებული ხელშეკრულების პირობები და მოთხოვნები;
- წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამებზე, ყველა სხვა შემთხვევაში - ბნსუ–სთან დადებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით (ვადებში და ოდენობით) გადაიხადოს ბნსუ–ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბნსუ–ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ გრანტს/დაფინანსებას შორის არსებული სხვაობა (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში), შეასრულოს ყველა ფინანსური ვალდებულება;
- შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები, ისწავლოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კურსები/პროგრამის კომპონენტები/მოდულები და სტუდენტის შემთხვევაში, ის სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია;
- დაიცვას ბნსუ-ში მოქმედი ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსები და ქცევის წესები და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობის, ბნსუ–ში მოქმედი შინაგანაწესის და სხვა მარეგულირებელი დებულებების/წესების მოთხოვნები, ბნსუ-ს მართვის ორგანოების (სუბიექტების) კანონიერი გადაწყვეტილებები;
- არ ჩაიდინოს ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ბნსუ-ში მოქმედ ქცევის წესებს, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექს;
- გაუფრთხილდეს ბნსუ–ს ტრადიციებს და რეპუტაციას;
- იცოდეს ბნსუ-ს მისია, ბნსუ-ში მოქმედი ძირითადი მარეგულირებელი დებულებები/წესები, სასწავლო პროცესების ორგანიზების, რეგულირების და კონტროლის სისტემა;
- გაეცნოს ბნსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბნსუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას, შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები.

2. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პასუხისმგებლობას წარმოადგენს:

- ბნსუ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობების, წინამდებარე შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის და სხვა მარეგულირებელი წესების სრული დაცვა;
- ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების, კანონიერების, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპების, არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

### მუხლი 39. შეფასების გასაჩივრება

1. წინამდებარე მუხლში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

- სწავლის სუბიექტში მოიაზრება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელი;
- პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულში მოიაზრება ფაკულტეტი (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში) და პროფესიული განათლების დეპარტამენტი (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემთხვევაში).

2. თუ სწავლის სუბიექტის ნაშრომი ფასდება მხოლოდ ერთი შემფასებლის მიერ და სწავლის სუბიექტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მას შეუძლია შეფასების გამოცხადების შემდეგ მიმართოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და გაეცნოს ნაშრომს და/ან მომდევნო სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს მიღებული შეფასება;
3. საპრეტენზიო განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნას კანცელარიაში წერილობით ან გაიგზავნოს ბნსუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე (ორშაბათი-პარასკევი, $10^{00}$ სთ-დან $18^{00}$ სთ-მდე).;
4. საპრეტენზიო განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული, მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული რას აპროტესტებს სწავლის სუბიექტი. ზოგადი ხასიათის განცხადება არ განიხილება;
5. გადაწყვეტილება საპრენეტზიო განცხადების განხილვის ან განუხილველად დატოვებაზე საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
6. თუ საპრეტენზიო განცხადება დასაბუთებულად იქნება მიჩნეული, განხორციელდება მისი შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. საპრეტენზიო განცხადების განხილვის შემთხვევებს, პროცედურულ საკითხებს და გადაწყვეტილების მიღების წესებს არეგულირებს სასწავლო-ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის დებულების შესაბამისი მუხლები;
7. განცხადებაზე/საჩივარზე პასუხის მიღება (საპრეტენზიო განცხადების განხილვის შედეგი ან განცხადების განხილვაზე უარის თქმის დასაბუთება) ხდება კანცელარიაში ან ბნსუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტის მეშვეობით, საპრეტენზიო განცხადების კანცელარიაში რეგისტრაციიდან/ელ.ფოსტით მიღებიდან 05 სამუშაო დღის ვადაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ობიექტური გარემოებების გამო განხილვა და პასუხის მომზადება მოითხოვს მეტ ვადას;
8. სწავლის სუბიექტის საპრეტენზიო განცხადების განხილვის და გადაწყვეტილების წესი აღწერილია შესაბამისი სასწავლო-ად-

მინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის (ფაკლტეტის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის) დებულებაში;
9. ზემოთ მითითებული წესი აღწერს ზოგად პროცედურულ საკითხებს და შეიძლება დაზუსტდეს ამ საკითხის მომწესრიგებელი სხვა დოკუმენტის/ბრძანების გამოცემით.

### მუხლი 40. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ქცევის წესები

ბნსუ-ში ქცევის წესები მოიცავენ როგორც ქცევის ზოგად წესებს, ისე გამოცდებზე/დაცვებზე ქცევის წესებს. ამ წესების ნებისმიერი დარღვევა მიიჩნევა ბნსუ-ში ქცევის წესების დარღვევად.

#### 1. ქცევის ზოგადი წესები

1. სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:

- იყოს კანონმორჩილი, ჰქონდეს პიროვნული, მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობა;
- დაიცვას საკუთარი და სხვისი კანონიერი ინტერესები, უფლებები და თავისუფლებები;
- დაიცვას ბნსუ-ს ეთიკის კოდექსი, აკადემიური ეთიკის კოდექსი და ბნსუ-ში მოქმედი ქცევის წესები;
- არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც ბნსუ-ს მიერ მიჩნევა ქცევის წესების დარღვევად და იწვევს დისციპლინურ სახდელს;
- არ ჩაიდინოს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, აკადემიური, მოწვეული, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის და სხვა პირებისადმი უხეში და დამამცირებელი ქმედება, ძალადობა, შეურაცხყოფა, ძალის გამოყენების მუქარა;
- კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით მოეკიდოს სწავლის პროცესს, მისთვის უნდა იყოს მიუღებელი პლაგიატი, ინფორმაციის/ფაქტების ფაბრიკაცია/ფალსიციკაცია, სხვის მიერ მომზადებული დავალების/ნაშრომის ნაწილობრივ ან მთლიანად გადმოწერა, გამოცდებზე წინასწარ მომზადებული ჩანაწერების გამოყენება, საშინაო/საგამოცდო დავალების შესრულებისას ინფორმაციის გაყალბება და შეცვლა, ყალბი წყაროებისა და მონაცემების გამოყენება, მითითება და სხვ.;
- მართლზომიერად გამოიყენოს ბნსუ–ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, დაემორჩილოს ბნსუ–ს მარეგულირებელ წესებს;
- საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დაიცვას ბნსუ-ში ჩაცმულობის დადგენილი ფორმა.

2. სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა უნდა იცოდეს, რომ ბნსუ-ში დაუშვებელია:

- ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რასიზმის, ფაშიზმის, ძალადობის პროპაგანდა, რელიგიური ფანატიზმი, საქართველოს კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა და შეზღუდვა;
- სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცილისწამება, ღირსების შეურაცხყოფელი ქცევა;
- სხვა სტუდენტებისთვის/პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის განათლების მიღების უფლების შეზღუდვა და სასწავლო პროცესის ჩაშლა; სხვა სტუდენტების/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ ბნსუ-ს შენობით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და წიგნადი ფონდით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
- ქცევის წესების, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის და სხვა მარეგულირებელი დებულებების დარღვევა, სასწავლო/გამოცდის პროცესის ჩაშლის მცდელობა, მეცადინეობებზე/გამოცდებზე/შეფასებაზე დაგვიანებით შესვლა, თვითნებურად მიტოვება ან ქცევის წესების/ წესრიგის დარღვევად მიჩნეული სხვა ქმედების ჩადენა;
- დაცვის სამსახურისადმი დაუმორჩილებლობა და გაფრთხილების უგულვებელყოფა, წესრიგის დარღვევა, ბნსუ-ს შენობის და ტერიტორიის დაბინძურება და წესრიგის დარღვევად მიჩნეული სხვა ქმედების ჩადენა;
- სხვისი, მათ შორის ბნსუ-ს საკუთრების მითვისება, ბნსუ-ს დოკუმენტების/ჩანაწერების ფალსიფიცირება, გადაკეთება, შეცვლა და განადგურება, ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განზრახ დაზიანება/განადგურება, საფრთხეში ჩაგდება და არადანიშნულებისამებრ თვითნებურად გამოყენება;
- განზრახ, გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას;
- საგანგებო სიტუაციის შექმნა ან/და საგანგებო სიტუაციების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელება;
- ბნსუ-ს შენობაში/ტერიტორიაზე აკრძალულ (არანებადართულ) ადგილებში თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები, ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და მოხმარება, ასაფეთქებელი საშუალების, ცივი ან/და ცეცხლსასროლი იარაღის, საფრთხისშემქმნელი მასალების შემოტანა, შენახვა, გავრცელება, გამოყენება, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი ან/და ტოქსიკური საშუალებების შემოტანა, შენახვა, გავრცელება და მოხმარება, ქურდობა, ყაჩაღობა, ძალადობა, ძალის გამოყენება, თავდასხმა, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდარღვევების ჩადენა.

#### 2. გამოცდაზე/დაცვაზე/შეფასებაზე ქცევის წესები

1. შუალედურ, დასკვნით, დამატებით, საკვალიფიკაციო გამოცდებზე და განმსაზღვრელ შეფასებებზე (შემდგომში - გამოცდა) დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარების და ჰიგიენის (წყალი, წამლები, ხელსახოცები, კალამი და სხვ.) ნივთებისა და ლექტორის/პროფესიული განათლების მასწავლებელის/საგამოცდო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული ნებადართული ცნობარების/სხვ. შემოტანა (უნდა განთავსდეს საგამოცდო მაგიდის ზედაპირზე). დაუშვებელია: გამოცდაზე დაგვიანება; ქურთუკით, ქუდით ან თავსაბურავით შემოსვლა; დაწყებული გამოცდის მიტოვება; არანებადართული ნივთების (სასწავლო მასალის/სახელმძღვანელოს, ნებისმიერი სახის ჩანაწერების, მობილური ტელეფონის, ნოუთბუქის, ყურსასმენების და სხვადასხვა ხელსაწყოების) შეტანა, გამოყენების მცდელობა/გამოყენება; გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა, გამოცდის ჩაშლის მცდელობა/ჩაშლა) ან ბნსუ-ს შინაგანაწესით და ბნსუ–ში მოქმედი ეთიკის კოდექსის, აკადემიური ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა; საგამოცდო/შეფასების ფურცლის დაზიანება (მათ შორის, რაიმე სახის მინაწერის/წარწერის ან გრაფიკული გამოსახულების დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის საგამოცდო დავალების შესრულებასთან);
2. დაცვაზე დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარებისა და ჰიგიენის (წყალი, წამლები, ხელსახოცები და სხვ.) ნივთების, დაცვაზე წარსადგენ ნაშრომთან/ანგარიშთან დაკავშირებული მასალების (სქემები, ნახატები, ცხრილები ან სხვა საილუსტრაციო მასალა) და მოწყობილობების შემოტანა. დაუშვებელია: დაცვაზე დაგვიანება; ქურთუკით, ქუდით ან თავსაბურავით შემოსვლა; დაწყებული დაცვის მიტოვება; არანებადართული ნივთების (მობილური ტელეფონის, ყურსასმენების და სხვ.) შეტანა, გამოყენების მცდელობა/გამოყენება; გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა, დაცვის ჩაშლის მცდელობა/ჩაშლა); ბნსუ-ს შინაგანაწესით და ბნსუ–ში მოქმედი ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა;
3. გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევად მიიჩნევა: არანებადართული ნივთების შემოტანა, გამოყენების მცდელობა/გამოყენება;

გამოცდაზე/დაცვაზე ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედება ან ბნსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა. გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, ხოლო მიღებული გაფრთხილების მიუხედავად განმეორებით იგივე ან სხვა დარღვევის ჩადენის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი კარგავს გამოცდის/დაცვის დასრულების უფლებას (ფიქსირდება შეფასება 0 ქულა), დგება ახსნაგანმარტებითი ბარათი წესრიგის დამრღვევის სახელისა და გვარის და მის მიერ ჩადენილი ქმედების მითითებით, წესრიგის დამრღვევის მიმართ დაიწყება დისციპლინური წარმოება და იქნება გამოყენებული წინამდებარე შინაგანაწესით გათვალისწინებული სახდელი;

4. გამოცდაზე/დაცვაზე ქურთუკით, ქუდით ან თავსაბურავით შემოსვლის ან არანებადართული ნივთების შემოტანის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დატოვოს ეს ნივთები მითითებულ განცალკევებულ ადგილას, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მისი ქცევა მიიჩნევა გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევად;

5. გამოცდაზე/დაცვაზე დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი კარგავს გამოცდაზე/დაცვაზე შესვლის უფლებას. გამოცდის/დაცვის უნებართოდ მიტოვების ან გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი კარგავს გამოცდის/დაცვის დასრულების უფლებას;

6. გამოცდაზე/დაცვაზე არგამოცხადების/დაგვიანების, გამოცდის/დაცვის უნებართოდ მიტოვების ან გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს არ აქვს სხვა ვადაში ამ გამოცდის/დაცვის დანიშვნისა და ჩატარების მოთხოვნის უფლება;

7. საპატიო მიზეზის გამო გამოცდაზე/დაცვაზე არგამოცხადების/დაგვიანების ან გამოცდის/დაცვის მიტოვების შემთხვევები განიხილება ინდივიდუალურად და შეიძლება იყოს მიღებული გადაწყვეტილება სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის სხვა თარიღში ამ გამოცდის/დაცვის დანიშვნის შესახებ, რაც ფორმდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის განკარგულებით/ბრძანებით;

8. საგამოცდო ფურცლის/შეფასების ინსტრუმენტის დაზიანების (მაგ., საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინაწერის/წარწერის ან გრაფიკული გამოსახულების დატანა, რომელიც არ არის დაკავშირებული საგამოცდო დავალებასთან) შემთხვევაში არ ხდება საგამოცდო ნაშრომის განხილვა (ფიქსირდება შეფასება 0 ქულა/ვერ დადასტურდა) და დგება ახსნა-განმარტებითი ბარათი ნაშრომის შეფასებაზე უარის თქმის მიზეზის მითითებით;

9. ბნსუ–ში გამოცდის/დაცვის დროის ლიმიტია დადგენილი. სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს არ აქვს უფლება თვითნებურად გაზარდოს დადგენილი ლიმიტი ან მოითხოვოს მისთვის ამ ლიმიტის გაზრდა.

## მუხლი 41. სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა დისციპლინური სახდელები. დისციპლინური საქმისწარმოება

ბნსუ იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას პერსონალის, სწავლის სუბიექტების და ბნსუ-ში მყოფი პირების უსაფრთხოება და და აღკვეთოს ისეთი ქმედება, რომელიც არღვევს ბნსუ-ში მიღებულ ქცევის წესებს ან საფრთხის ქვეშ აყენებენ ბნსუ-ის ტერიტორიაზე მყოფთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და მატერიალური ფასეულობების დაცულობას. ბნსუ–ში ყველა დასაქმებული პირი ვალდებულია თავისი ქცევა შეუსაბამოს საქართველოს კანონმდებლობის ნორმებს, შეასრულოს ბნსუ–ს შინაგანაწესის, ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდექსის და ქცევის წესების მოთხოვნები, არ განახორციელოს ქმედება, რომელიც იწვევს პროპორციულ დისციპლინურ ზომას (სახდელს):

### 1. დისციპლინური სახდელი

1. გაფრთხილება - გამოიყენება ერთხელ ჩადენილ შემდეგ შემთხვევებში: სხვა სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების განათლების მიღების უფლების ან ბნსუ–ს შენობით, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და წიგნადი ფონდით სარგებლობის შეზღუდვის მცდელობა; საეჭვო, გადაუმოწმებელი ან ცრუ ინფორმაციის გავრცელება; სასწავლო პროცესის ჩაშლის/გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის დარღვევის მცდელობა/ხელშეწყობა, ბიბლიოთეკასა და აუდიტორიებში მობილური ტელეფონებით სარგებლობა ან ხმაური, სხვის ნაცვლად ან სხვის მიერ მის ნაცვლად გამოცდის ჩაბარების/განმსაზღვრელ შეფასებაზე გამოცხადების (საგამოცდო დავალების შესრულების ან სხვ.) მცდელობა; საზღვაო მიმართულების პროგრამების სტუდენტის/პროფასიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში - ბნსუ-ში ჩაცმულობის დადგენილი ფორმის დარღვევა; დაცვისადმი დაუმორჩილებლობა; ბნსუ–ს შენობაში/ტერიტორიაზე აკრძალულ/არანებადართულ ადგილებში თამბაქოს მოწევა, არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა, ალკოჰოლური სასმელების შემოტანის მცდელობის ხელშეწყობა, აზარტული თამაშების ორგანიზების ხელშეწყობა; ბნსუ–ს შენობის/ტერიტორიის დაბინძურება; ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნილური რესურსის არადანიშნულებისამებრ თვითნებურად გამოყენების მცდელობა/გამოყენების ხელშეწყობა; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით: ბნსუ-ს დოკუმენტაციის დაზიანება, ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დაზიანება ან საფრთხეში ჩაგდება, საგანგებო სიტუაციის შექმნა ან ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბნსუ–ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.

2. საყვედური - გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: 1) მიღებული დისციპლინური სახდელის – გაფრთხილების - მიუხედავად მიმდინარე აკადემიური წლის განმავლობაში იგივე ქმედების ჩადენა; 2) ერთხელ ჩადენილი: შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რამაც დააზიანა სასწავლო/გამოცდის პროცესის ნორმალური მიმდინარეობა; გამოცდაზე/დაცვაზე წესრიგის/ქცევის წესების დარღვევა; გამოცდებზე წინასწარ მომზადებული (არანებადართული) ჩანაწერების გამოყენება; აკადემიური ეთიკის კოდექსის დარღვევა (სხვის მიერ მომზადებული დავალების/ნაშრომის ნაწილობრივ ან მთლიანად გადმოწერის, ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების დადასტურების შემთხვევებში ნაშრომი ფასდება 0 ქულით - არ ხდება ნაშრომის შეფასება / უკვე შეფასებული ნაშრომის შემთხვევაში უქმდება მიღებული შეფასება. ასევე, ბნსუ-ს მიერ დაფინანსებული სტუდენტის ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების დადასტურების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებული ბნსუ-ს სრულად დაუბრუნოს კვლევის, ნაშრომის მომზადების/თარგმნის/გამოსაცემად მომზადების/გამოცემის მიღებული (მათ შორის, უკვე გამოყენებული) დაფინანსება); სხვა სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების განათლების მიღების უფლების ან ბნსუ–ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა; სხვის ნაცვლად ან სხვის მიერ მის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება (საგამოცდო დავალების შესრულება/სხვ.); ქრთამის მიცემის მცდელობა; ბნსუ-ში რელიგიური ან პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბების მცდელობა; სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების, ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სხვა პირებისადმი სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცილისწამება, დამცირება, ღირსების შეურაცხმყოფელი ქცევა, ძალის გამოყენების მუქარა; ბნსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არადანიშნულებისამებრ თვითნებურად გამოყენება, დაზიანება, დაზიანების მცდელობა ან საფრთხეში ჩაგდება; ბნსუ-ს შენობა-

ში/ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციის შექმნა/შექმნის მცდელობა/ხელშეწყობა ან საგანგებო სიტუაციების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელება, გაუფრთხილებლობით/დაუდევრობით ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ბნსუ–ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, აზარტული თამაშების ორგანიზების მცდელობა/ორგანიზება/ორგანიზებაში მონაწილეობა, ცივი იარაღის შემოტანის მცდელობა, ალკოჰოლური სასმელების შემოტანა/მოხმარება/გავრცელება; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით ბნსუ-ს დოკუმენტაციის განადგურება ან ბნსუ-ს დოკუმენტაციის გაყალბების/განადგურების/დაზიანების მცდელობა/ხელშეწყობა; ბნსუ-ს საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცრუ ინფორმაციის გავრცელება; დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით კონფიდენციალური/არასაჯარო/პირადი ინფორმაციის გასაჯაროება ან გასაჯაროების ხელშეწყობა.

შენიშვნა: სახდელი „გაფრთხილება"/„საყვედური"არ იწვევს სტატუსის შეჩერებას ან შეწყვეტას.

3. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტა - გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: 1) ბნსუ-ს შინაგანაწესის და ქცევის წესების სისტემატურ დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა: 01 აკადემიური წლის განმავლობაში მიღებული დისციპლინური სახდელის – საყვედურის - მიუხედავად იგივე ქმედების ჩადენა ან ქცევის წესების სხვადასხვა დარღვევებისთვის 02 ან მეტი საყვედურის მიღება; 2) ბნსუ-ს შინაგანაწესის და ქცევის წესების უხეშ დარღვევად მიჩნეული ქმედების ჩადენა: ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რასიზმის, ფაშიზმის, ძალადობის პროპაგანდა, რელიგიური თუ სხვა სახის ფანატიზმი, საქართველოს კონსტიტუციით და მოქმედი კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა და შეზღუდვა; შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, აკადემიური ეთიკის კოდექსის, ქცევის წესების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების განზრახ დარღვევა, რითაც ზიანი მიადგა ბნსუ-ს, ბნსუ-ში დასაქმებულ/მყოფ პირებს/სტუდენტებს/პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს; განზრახ სასწავლო პროცესის/გამოცდის ჩაშლა; სხვისი, მათ შორის ბნსუ–ს, საკუთრების განზრახ დაზიანება/განადგურება ან მოპარვა; ბნსუ–ს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის; დოკუმენტაციიას გაყალბება, განზრახ დოკუმენტაციის დაზიანება/განადგურება ან კონფიდენციალური/არასაჯარო/პირადი ინფორმაციის გასაჯაროება; განზრახ პერსონალისთვის/სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის მორალური/ფიზიკური ზიანის მიყენება; ბნსუ–ს შენობაში/ტერიტორიაზე განზრახ ისეთი ვითარების შექმნა ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელმაც საფრთხეში ჩააგდო ბნსუ–ს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების სიცოცხლე, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება; ძალადობა/თავდასხმა ან ძალადობის/თავდასხმის მცდელობა, აზარტული თამაშების ორგანიზება, ცივი იარაღის შემოტანა, ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანის მცდელობა/შემოტანა, საფრთხისშემქმნელი მასალების, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი ან/და ტოქსიკური საშუალებების შემოტანა/შენახვა/გავრცელება/ მოხმარება; საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევა.

## 2. დისციპლინური სახდელის საქმისწარმოება

1. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავს სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, ბნსუ–ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას;
2. საქმისწარმოება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შინაგანაწესით განსაზღვრული წესით;
3. ერთი დარღვევისთვის არ შეიძლება იყოს გამოყენებული ერთდროულად რამდენიმე დისციპლინური სახდელი;
4. დარვევისთვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ მითითებულ შემთხვევებში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (სახდელი) განისაზღვრება ჩადენილი დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე;
5. საკითხის განხილვის ხანგრძლივობა განპირობებულია შესასწავლი საკითხის სირთულით და განსახილველი ინფორმაციის მოცულობით და არ უნდა გასცდეს გონივრულ ვადებს. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ უნდა იყოს მიღებული დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებიდან არაუმეტეს 15 სამუშაო დღეში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო ან საკითხის განხილვისთვის დადგენილია განსხვავებული ვადა (მაგ., ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების და ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ. მიერ არასათანადოდ შესრულებული მოვალეობის გამო პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შემთხვევების განხილვა);
6. პირს, რომლის მიმართ დაწყებულია/მიმდინარეობს დისციპლინარული საქმისწარმოება, უფლება აქვს: წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ, დაესწროს საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი პოზიცია, ისარგებლოს დაცვის უფლებით, მიიღოს განსახილველ საქმესთან დაკავშირებული მასალები, მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია/მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში, მოითხოვოს დისციპლინური წარმოების საკითხის საჯარო განხილვა, მიიღოს ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან 02 სამუშაო დღის ვადაში წერილობით მიმართოს ბნსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს და არგუმენტირებულად გამოხატოს თავისი პოზიცია მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სასამართლოში გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება;
7. დისციპლინური დარღვევის ფაქტს (გარდა ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების და ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ. არასათანადოდ შესრულებული მოვალეობის გამო პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შემთხვევებისა) იკვლევს ბნსუ-ს სადისციპლინო კომისია, რომლის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 5-ზე ნაკლები: მისი მუდმივმოქმედი წევრები არიან ბნსუ–ს იურისტი (კომისიის თავმჯდომარე), ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (კომისიის მდივანი), სადისციპლინო კომისიის შემადგენლობაში სხვა წევრების შეყვანა ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის ბრძანებით;
8. სადისციპლინო კომისიის მუშაობის ხანგრძლივობას განაპირობებს შესასწავლი მასალების რაოდენობა და საკითხის სირთულე. ნაშრომში დაფიქსირებული პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების, მანიპულირების ფაქტებს და ნაშრომის ხელმძღვანელის/რეცენზენტის/ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრის/სხვ. არასათანადოდ შესრულებული მოვალეობის გამო პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების შემცველი ნაშრომის გამოცემის ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შემთხვევებს სტუდენტის შემთხვევაში - შეისწავლის ბნსუ-ს აკადემიური საბჭო ან აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი კომისია (შინაგანაწესის დანართი „აკადემიური ეთიკის კოდექსი"), პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში - შეისწავლის ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო ან პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი კომისია (შინაგანაწესის დანართი „აკადემიური ეთიკის კოდექსი");

9. სადისციპლინო კომისია ვალდებულია შეისწავლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებული მტკიცებულებები, ობიექტურად, სამართლიანად, მიკერძოების, დისკრიმინაციის გარეშე განიხილოს დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებული გარემოებები, გამოკითხოს თვითმხილველები, მიიღოს დასაბუთებული დასკვნა პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის და დარღვევის სიმძიმის პროპორციული სახდელის გამოყენების/გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ;
10. სადისციპლინო კომისიის წევრი ვალდებულია საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საკითხების ობიექტურად განხილვის და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში. ასეთი გარემოების არსებობისას კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილების შესახებ (ვერ მიიღებს მონაწილეობას კონკრეტული საკითხის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში);
11. სადისციპლინო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3, გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით დამსწრე წევრთა ხმათა 2/3–ით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის წევრები სარგებლობენ თანასწორი ხმის უფლებით (ხმების თანაბარი გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა). სადისციპლინო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდება დახურულ სხდომაზე;
12. სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით სხდომაზე მოიწვიოს წესების დამრღვევი პირი, დარღვევის მოწმეები, დაზარალებული პირები, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირები და/ან სხვ.;
13. სადისციპლინო კომისია უფლებამოსილია ა) დამრღვევი პირის მიმართ გამოიტანოს დასკვნა სახდელის გამოყენების შესახებ (შესაბამისი დისციპლინური სანქციის მითითებით), ბ) მიიღოს გადაწყვეტილების სახდელის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ;
14. საქართველოს სისხლის სამართლის დარღვევის გამოვლენისას ინფორმაცია გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს;
15. კომისიის მუშაობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე კომისიის ყველა წევრი;
16. სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ფორმდება ადმინისტრაციის ხელძღვანელი-კანცლერის ბრძანებით წესრიგის დამრღვევი პირისთვის შესაბამისი სახდელის დაკისრების შესახებ, რის შემდეგ გადაწყვეტილება სადისციპლინო სანქციის დაკისრების შესახებ მიღბულად (ძალაში შესულად) ითვლება;
17. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დაინტერესებული პირის ინფორმირება ხდება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;
18. დისციპლინური საქმისწარმოების მასალები ინახება დასაქმებულის პირად საქმეში;
19. სადისციპლინო კომისიის წევრები და/ან სხვ. საჩივრის განხილვაში ყველა მონაწილე პირი ვალდებულია დაიცვას საკითხის შესწავლისას მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;
20. ინფორმაცია პირის მიმართ დაწყებული დისციპლინური საქმისწარმოების შესახებ კონფიდენციალურია გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს პირის ნებართვა ან ბნსუ-ს კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

### მუხლი 42. დისციპლინური სახდელის მოხსნა

თუ დისციპლინის დამრღვევი სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი/მსმენელი დისციპლინური სახდელის დაკისრებიდან 01 წლის განმავლობაში არ ჩაიდენს რაიმე დარღვევას, მას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით შეიძლება მოეხსნას დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

### მუხლი 43. სტუდენტის და პროფესიული სტუდენტის/მსმენელის წახალისების მექანიზმები

1. ბნსუ-ს საგანმანათლებლო, სამეურნეო, სხვ. საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, სხვადასხვა განსაკუთრებული (მათ შორის, აკადემიური) მიღწევებისათვის, ასევე, შემეცნებითი და შემოქმედებითი საქმიანობის წახალისების მიზნით სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის წახალისების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მატერიალური და არამატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმები, მაგალითად: მადლობის გამოცხადება; დისციპლინარული სახდელის (გაფრთხილება, საყვედური) მოხსნა, დაკისრებული ჯარიმის მოხსნა და/ან სხვ.; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; კონფერენციებზე, სემინარებზე, სტაჟირების კურსებზე და ა.შ. გაგზავნა-დაფინანსება; აკადემიური სტიპენდია (ეძლევა განსაკუთრებული აკადემიური მიღწევებისთვის) და/ან სხვ. შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა;
2. გადაწყვეტილებას წახალისების ფორმისა და ოდენობის შესახებ იღებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი საკუთარი გადაწყვეტილებით ფაკულტეტის დეკანის/პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით და ფორმდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერის ბრძანებით.

### მუხლი 44. სტიპენდია

1. სტიპენდია გაიცემა შემდეგ შემთხვევებში:

- სტუდენტი - ერთი სემესტრის განმავლობაში: 1) მიღებული შეფასებებიდან არანაკლებ 75% შეადგენს „A“ შეფასებას (91-100 ქულა), ხოლო დანარჩენი - არანაკლებ B შეფასებას (81-90 ქულა); 2) ადგილობრივ/საერთაშორისო რეცენზირებად რეფერირებად ჟურნალში ერთი ნაშრომის გამოქვეყნება (რაც სარეიტინგო სიაში უთანაბრდება პირველ პუნქტს, მაქსიმალური ქულის მინიჭბის პრინციპით);
- პროფესიული სტუდენტი: პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში სტიპენდიანტთა ვინაობა განისაზღვრება შემდეგნაირად: აკადემიურ სტიპენდიას მიიღებენ პროფესიული სტუდენტები, რომლებიც სწავლების პირველი 6 თვის განმავლობაში 1) განხორციელებულ განმსაზღვრელი შეფასებისას არ ისარგებლებენ სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების უფლებით (გარდა არგამოცხადების საფუძვლით მოთხოვნილი განმეორებითი შეფასებისა, რომელიც გამოწვეულია ობიექტური გარემოების არსებობით და დადასტურებული იქნება შესაბამისი დოკუმენტით) და 2) ბნსუ-ს პროფესიული სტუდენტების „კურიკულუმის გარეშე აქტივობებისა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების“ შესაბამისად განახორციელებენ აქტივობებს/ღონისძიებებს ბნსუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ წესით განსაზღვრული პროცედურების დაცვით. ამ შემთხვევაში, სტიპენდიანტთა ქვოტის ფარგლებში (წელიწადში არანაკლებ 5 პროფესიული სტუდენტი) პროფესიული სტუდენტები შეირჩევიან I ეტაპზე - პირველი კრიტერიუმის შესაბამისად, ხოლო შემდეგ ეტაპზე ამ პუნქტის მეორე კრიტერიუმში პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ დადასტურებული აქტივობების რაოდენობის მიხედვით. აკადემიური სტიპენდია ინიშნება და გაიცემა სწავლების მეშვიდე თვიდან. სამ წლიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, სტიპენდიანტისათვის სტიპენდიის გაცემის

საკითხი გადაიხედება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს. ასეთ შემთხვევაში, სტიპენდიის გაცემის თაობაზე უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღება, თუ პროფესიული სტუდენტი არ აკმაყოფილებს სტიპენდიის გაცემისათვის განსაზღვრულ პირველ მოთხოვნას. აკადემიური სტიპენდია გაიცემა ყოველთვიურად (განსაკუთრებულ შემთხვევებში - ერთჯერადად).

2. აკადემიურ პროგრამებზე სტიპენდიანტთა რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო მიმართულების და განათლების საფეხურების მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალცაკლე. გადაწყვეტილება სტიპენდიანტთა შესაძლო რაოდენობის და სტიპენდიების ოდენობის შესახებ მიიღება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის მიერ;

3. ინფორმაციას სარეიტინგო სიების შესახებ ამზადებენ ფაკულტეტის დეკანი (სტუდენტების შემთხვევაში) და პროფესიული განათლების დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი (პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში);

4. სტიპენდიანტთა ვინაობა განისაზღვრება შემდეგნაირად: სტიპენდიას მიიღებენ სტუდენტები და პროფესიული სტუდენტები, რომლებიც სტუდენტთა სარეიტინგო და პროფესიულ სტუდენტთა სარეიტინდო სიებში დაიკავებენ უფრო მაღალ ადგილებს - სტიპენდიის დანიშვნისას მხელველობაში მიიღება სტიპენდიის კანდიდატთა (სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა) რაოდენობა და მათი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი. სტუდენტების შემთხვევაში სტიპენდია ინიშნება და გაიცემა ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველთვიურად (განსაკუთრებულ შემთხვევებში - ერთჯერადად);

5. ზემოთ მითითებულის გარდა, ბნსუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სხვა შემთხვევებშიც სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება ადმინისტრაციის ხელძღვანელის-კანცლერის მიერ ფაკულტეტების დეკანებთან (სტუდენტების შემთხვევაში) და პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან (პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში) კონსულტაციის გზით. გადაწყვეტილების მიღების საფუძველები; სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ინფორმაციის საჯაროობის პრინციპები;

6. სტიდენდია ინიშნება და გაიცემა სტუდენტების შემთხვევაში - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის-კანცლერის ბრძანებით, ხოლო პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში - პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით;

7. სტიპენდია წყდება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის ბრძანების გამოცემისთანავე.

### მუხლი 45. სოციალური და მატერიალური დახმარების მიღება

1. ბნსუ-ში დადგენილ შემთხვევებში სოციალური და/ან მატერიალური დახმარების მიღების მიზნით სწავლების დაწყებიდან არაუმეტეს 02 კვირაში (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია ობიექტური გარემოებების გამო) სტუდენტმა/პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს-კანცლერს. განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტები. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ხდება არაუგვიანეს განცხადებების წარდგენისთვის დადგენილი პერიოდის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში;

2. სოციალური და მატერიალური დახმარების მიღების წესი აღწერილია წინამდებარე შინაგანაწესის დანართში „პერსონალის, სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების მატერიალური და სოციალური მხარდაჭერა“.

### მუხლი 46. სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ხელშეწყობა

#### 1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ხელშეწყობა

1.1 ბნსუ-ს პრინციპები: განათლებისა და მხარდაჭერის მიღების თანასწორი უფლების აღიარება, პატივისცემა და ნებისმიერი დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების (შემდგომში - სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები/მსმენელები) საჭიროებების და შესაძლებლობების დიფერენცირება, ინდივიდუალური და კომპლექსური მხარდაჭერისა და რელევანტური საგანმანათლებლო სტრატეგიის შემუშავება, განვითარების, სოციალური ადაპტაციის და ინტეგრაციის ხელშეწყობა;

1.2. ბნსუ-ს პოლიტიკა: ყველა სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს აქვს განსხვავებული საჭიროებები. აუცილებელია ისეთი მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სასწავლო პროცესში ჩართულობას, მათი შესაძლებლობებისა და უნარების დემონსტრირების, განვითარების და რეალიზების შესაძლებლობას, ბნსუ-ს რესურსებთან წვდომას, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ყოველმხრივ (ადმინისტრაციულ, საგანმანათლებლო და სხვ.) მხარდაჭერას და მასთან უკუკავშირს, ხელს შეუწყობენ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს აკადემიური და სოციალური უნარების გაუმჯობესებაში და საკუთარი შესაძლებლობების თვიშეფასების ამაღლებაში, შექმნიან პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს და დადებით გავლენას მოახდენენ ბნსუ-ს პერსონალის პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე;

1.3. სპეციალისტების ჩართულობა: სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შესაძლებლობების დიფერენცირების, მათი საჭიროებების სწორი დადგენისა და ხელშეწყობის რელევანტური მექანიზმების შემუშავების პროცესში იქნება უზრუნველყოფილი სპეციალისტების ჩართულობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ჩაატარებენ ტრენინგებს ბნსუ-ს პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებისთვის, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს;

1.4. შენობების ხელმისაწვდომობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა: 1) სასწავლო სივრცის და ინფრასტრუქტურის ობიექტების ხელმისაწვდომობის უფრუნველყოფა; 2) ბნსუ-ს სივრცეში ორიენტაციის და ნავიგაციის კომპლექსური სისტემის შემუშავება; 3) ინდივიდუალური მეცადინეობებისთვის და დასვენებისთვის შენობის პირველ სართულზე ფართის მოწყობა; 4) სპეციალური სასწავლო ადგილების მოწყობა; 5) ბნსუ-ს სივრცეში ორიენტაციის გამარტივების და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით დამხმარე პირის დანიშვნა (საჭიროების შემთხვევაში); 6) საგანგებო სიტუაციის შესახებ აუდიო-, ვიდეო- შეტყობინების სისტემის მოწყობა;

1.5. აკადემიური ხელშეწყობა: სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით;

1.6. ადმინისტრაციული ხელშეწყობა: ბნსუ-ს ადმინისტრაციის ვალდებულებაა თითოეული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების საჭიროებების შესწავლა და მათი საჭიროებების შესაბამისი ფიზიკური გარემოს შექმნა, საგანმანათლებლო რესურსის მოძიება, სპეციალისტებთან და ოჯახის წევრებთან თანამშრომლობა, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა და ბნსუ-ს ღონისძიებებში ჩართულობის უზრუნველყოფა (მაგ., სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინდივიდუალური მომზადება სხვადასხვა კონფერენციებში, სპორტულ თუ ინტელექტუალურ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის და სხვ.), ბნსუ-ს პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლების ფსიქოლოგიური და პედაგოგიური კომპეტენტურობის განვითარება, ბნსუ-ში სოციალური ადაპტაციის და ინტეგრაციის ხელშემწყობი პირობების შექმნა;

1.7. ფინანსური ხელშეწყობა: ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შესაძლებელია: დამატებითი გადასახადის გარეშე სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების განმეორებით შესწავლა (აკადემიური წლის განმავლობაში არაუმეტეს 20 კრედიტისა), რომლებშიც სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს უარყოფითი შეფასება; საჭიროების შემთხვევაში ფინანსური და/ან მატერიალური დახმარების გაწევა, საკითხის ინდივიდუალურად შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა ფინანსური შეღავათების/მხარდაჭერის მექანიზმების ამოქმედების შესახებ;

1.8. სამედიცინო ხელშეწყობა: ბნსუ-ს პარტნიორი დაწესებულებაა შპს „საგიტარიუსი" - მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი, რომელშიც სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს შეეძლება ანაზღაურების გარეშე სამედიცინო მომსახურების და კონსულტაციების მიღება;

1.9. კონფიდენციალურობის დაცვა: ბნსუ-ს პერსონალმა და სპეციალისტებმა (ფსიქოლოგები, მედიკოსები, შესაბამისი გამოცდილების მქონე პედაგოგები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები, სხვ.) უნდა დაიცვან პროფესიული ეთიკის ნორმები - არ გაავრცელონ/არ გაასაჯაროონ სამედიცინო, ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ კვლევასთან, საკონსულტაციო ან სხვა სახის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, თუ ეს ზიანს მიაყენებს სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს ან მის ოჯახს;

1.10. ხელშეწყობის მექანიზმების მოქმედების ვადა: ზემოთ მითითებული წესები მოქმედებენ ბნსუ-ში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სწავლის მთელ (ძირითად და დამატებით) ვადაში და წყდება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის ბრძანების გამოცემისთანავე. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში ფინანსური და სამედიცინო ხელშეწყობის მექანიზმების გამოყენების/შეჩერების საკითხი განიხილება ინდივიდუალურად, გადაწყვეტილება მიიღება სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მდგომარეობის გათვალისწინებით.

**2. ავადმყოფობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ხანგრძლივი მკურნალობის, შრომისუუნარობის, ორსულობის, ბავშვის მოვლის, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობის, საზღვაო რეისში ყოფნის, ბნსუ-ში სწავლის პარალელურად მუშაობის შემთხვევებში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ადმინისტრაციული ხელშეწყობა**

2.1. წესი ვრცელდება როგორც აქტიური სტატუსის მქონე, ისე ავადმყოფობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ხანგრძლივი მკურნალობის, შრომისუუნარობის, ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, საზღვაო რეისში ყოფნის, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობის საფუძვლით სტატუსშეჩერებულ სტუდენტებზე/პროფესიულ სტუდენტებზე/მსმენელებზე;

2.2. ავადმყოფობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, ხანგრძლივი მკურნალობის, შრომისუუნარობის, ორსულობის, ბავშვის მოვლის, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობის, საზღვაო რეისში ყოფნის ან ბნსუ-ში სწავლის პარალელურად მუშაობის შემთხვევებში ბნსუ უზრუნველყოფს: სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის ხელსაყრელ ფორმატში ინფორმაციის და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სასწავლო მასალების მიწოდებას; ხელსაყრელ დროს კონსულტაციების გაწევას და საბიბლიოთეკო ფონდებით (ამონაბეჭდი/ელ.ფორმატში) სარგებლობას; სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი გრაფიკის, ინდივიდუალური განრიგის და გეგმის შემუშავებას (აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის); საჭიროების შემთხვევაში ხელშეწყობის სხვა მექანიზმების ამოქმედებას;

2.3. წესი მოქმედებს მითითებული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში;

2.4. წესი მოქმედებს ზემოთ მითითებული გარემოებების არსებობის ვადით.

## თავი IV. დასკვნითი დებულებები

### მუხლი 47. დანართები

1. წინამდებარე შენაგანაწესის დანართებია:
   - დანართი #01 - საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და ბიუჯეტირების რეგლამენტი;
   - დანართი #02 - აკადემიური ეთიკის კოდექსი, პრინციპები და სტანდარტები;
   - დანართი #03 - დისკრიმინაციის, ჩაგვრის, დაშინების და შევიწროების შემთხვევებზე რეაგირება;
   - დანართი #04 - სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
   - დანართი #05 - შრომის და სწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
   - დანართი #06 - პერსონალის, სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების მატერიალური და სოციალური მხარდაჭერა;
   - დანართი #07 - პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის, დატვირთვის და მუშაობის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგია;
   - დანართი #08 - პერსონალის ადაპტაციის ხელშეწყობა;
   - დანართი #09 - აკადემიური პერსონალის აფილირების წესი;
   - დანართი #10 - სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
   - დანართი #11 - სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების ადაპტაციის და უცხოელი სტუდენტების ხელშეწყობა;
   - დანართი #12 - პერსონალის გაცვლითი პროგრამების და სტაჟირებების ორგანიზების წესი;
   - დანართი #13 - სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების და სტაჟირებების ორგანიზების წესი;

2. შინაგანაწესის დანართები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

### მუხლი 48. შინაგანაწესის საჯაროობა/კონფიდენციალურობა

1. წინამდებარე შინაგანაწესი, მისი დანართები და წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ფორმები საჯაროა;
2. ბნსუ-ს პერსონალის და ბნსუ-ში სხვ დასაქმეული პირები, სტუდენტები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე შინაგანაწესს და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ბნსუ ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ შინაგანაწესის გაცნობის შესაძლებლობა.

### მუხლი 49. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების - შინაგანაწესის - ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს;
2. შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს აკადემიური საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი და პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი;
3. შინაგანაწესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;

4. შინაგანაწესის მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
5. შინაგანაწესის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება შინაგანაწესის სხვა მუხლე-ბზე/დებულებებზე;
6. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შინაგანაწესით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კა-ნონმდებლობით;
7. წინამდებარე შინაგანაწესი ძალას კარგავს ახალი შინაგანაწესის დამტკიცების შემთხვევაში.

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

| ცვლილებების № | ცვლილებების თარიღი | ცვლილებების შინაარსი |
|---|---|---|
| 2 | 29.08.2024 | სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალში დაემატა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი |
| | | |
| | | |